

2015

# ინტერვიუ
## მაქს მაჩაიძე

# სპეცპროექტი
## TEMPORARY ART
## ალტერნატივა

# პორტრეტი
## კაპრალი ყანჩაველი
## უდი პლომო ასასინი

# რეპორტაჟი
## კიევი „მაიდნიდან“ ერთი წლის შემდეგ

ბიზნესი

სამართალი

მედია

ტექნოლოგიები

სახელმწიფო მართვა

ჰუმანიტარული მეცნიერებები

ტურიზმი

ჯანდაცვა

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

WWW.CU.EDU.GE
ტელ: (+995 32) 237 77 77




# თაობა 2015


**08** დაიჯესტი 2014
- უკრაინის კრიზისი
- მანდარინები
- Ice Bucket Challenge
- ბერი გაბრიელი

**16** რეპორტაჟი
- კიევი „მაიდნიდან“ ერთი წლის შემდეგ

**24** ინტერვიუ
- „ძიების პროცესი არასდროს სრულდება“

**34** ფოტოპროექტი
- ალტერნატივა

**46** პორტრეტები
- კაპრალი ყანჩაველი
- უდიპლომო ასასინი
- მოგზაურობა სამტრედიიდან სამტრედიამდე

**60** სპეცპროექტი
- Temporary Art

**78** განათლება
- არჩევანი საზღვრებს გარეთ
- კარგი მასწავლებლის მოლოდინში

**88** ბლოგი
- პრაღის დროით














მიტარბი
შეინარჩუნე ხალისი

# სარედაქციო წერილი



საინტერესო პროფესიაა ჟურნალისტიკა. ასე ვფიქრობდი, სანამ კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტი გავხდებოდი და აზრი ჯერ-ჯერობით არ შემიცვლია. უკვე მესამე კურსის სტუდენტი ვარ და კარიერის პირველ ნაბიჯებსაც სწორედ ახლა ვდგამ.

მახსოვს, პირველი კურსის მეორე სემესტრში ჩვენმა მენტორმა, ზვიად ქორიძემ გვითხრა: პირველ რიგში, თქვენ ერთმანეთის კონკურენტები ხართ და ამას უკვე უნდა აცნობიერებდეთო. თითქმის ორი წელი გავიდა და მივხვდი, რომ ჯგუფელებზე მეტად, ლექტორებთან მიწევს კონკურენცია. სტუდენტების უმეტესობა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, სემესტრის ბოლოს ლექტორებისგან დამაკმაყოფილებელი შეფასებები დაიმსახურონ. იმის მოტივაცია, რომ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ, ნაკლებად ჩანს. სტატიების წერა თითქმის არავის უყვარს, ტელეწამყვანობაზე კი ბევრი ოცნებობს.

ჟურნალის მოსამზადებლად, დაახლოებით, სამი თვე გვქონდა. თემები ჯერ კიდევ ოქტომბერ-ნოემბერში გადავანაწილეთ, თუმცა სარედაქციო ჯგუფს დაიჯესტისთვის განკუთვნილი რამდენიმე სტატია ბოლო დღემდე არ მიგვიღია. იყო პლაგიატი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ დაიბეჭდა. რაც ყველაზე სამწუხაროა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მედიის სკოლის სტუდენტი რომელიმე ინტერნეტგამოცემიდან იპარავს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას. მეგობრებისგან ვიცი, რომ მსგავსი შემთხვევები სხვა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც ხდება. ვერ ვიტყვი, რომ ყელამდე ჭაობში ვართ, მაგრამ ფაქტია – მთლად დალხენილადაც არ გვაქვს საქმე.

გარკვეული სირთულეების მიუხედავად, როგორც ხედავთ, „თაობა 2015“ მაინც დაიბეჭდა. ამისთვის სარედაქციო ჯგუფის სახელით მადლობა მინდა ვუთხრა ჟურნალის მარკეტინგზე მომუშავე სტუდენტებს და ყველას, ვინც ფინანსურად დაგვიჭირა მხარი. მადლობა „ლიბერალს“, რომელიც ჟურნალის გავრცელებაში დაგვეხმარა. დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა შორენა შავერდაშვილს – მის გარეშე, ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა.

„თაობა 2015“ კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტებმა ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოვეცით. ვეცადეთ, ყურადღების დიდი ნაწილი ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ პროცესებსა და განათლებაზე გაგვემახვილებინა. ჩვენ გაჩვენებთ ალტერნატიულ რეალობას და გაგაცნობთ ადამიანებს, რომლებიც მის შექმნაში მონაწილეობენ.

**გიორგი დიასამიძე, რედაქტორი**



თაობა
2015



სარედაქციო ჯგუფი:
სოფო გოგიშვილი
გიორგი დიასამიძე
თენგო ტაბატაძე
მაგდა სარსევანიძე
დავით ჭუმბურიძე

ჟურნალისტები:
სოფო გოგიშვილი
გიორგი დიასამიძე
თენგო ტაბატაძე
მაგდა სარსევანიძე
გიორგი კიკაბიძე
ქეთი კაპანაძე
ტასო ცირეკიძე
ნანუკა კუტიბაშვილი
თამუნა პავლიაშვილი

მარკეტინგი:
ნათია ნატროშვილი
მარიტა ცინცქილაძე
მერიკო ბარაბაძე
მარიკა თალაკვაძე
ტასო ცირეკიძე
ნატუკა მხეიძე
მაგდა ცხადაძე
ნინი კამკამიძე

ფოტოგრაფი:
დავით ჭუმბურიძე

დიზაინერები:
დავით ჭუმბურიძე
თორნიკე ღორთქიფანიძე

ლექტორები:
შორენა შავერდაშვილი
სოფო ბუკია

სტამბა:
შპს „სეზანი“

ჟურნალი გამოცემულია
კავკასიის მედიის სკოლის
სასწავლო კურსის – ჟურნალის
გამოცემა – ფარგლებში



Black Sea Pilot Service LTD

A Pilotage Company

TEL.:+995 (422) 27 27 08

MOB.:+995 (577) 54 54 94

E-mail: mt@bsps.ge

# უკრაინის კრიზისი

მინსკში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერილი ორი ხელშეკრულების მიუხედავად, არ წყდება ბრძოლები აღმოსავლეთ უკრაინაში. ხელშეკრულება, რომლის შესრულებაზეც მონიტორინგს „ეუთო“ აწარმოებს, ფურცელზე დარჩა, ხოლო ინტენსიური შეტაკებები დონეცკის აეროპორტის მახლობლად ამ დრომდე გრძელდება.

პეტრე პოროშენკო უკრაინელ სამხედროებს მოუწოდებს, არ დათმონ დონეცკის აეროპორტი. უკრაინის პრეზიდენტის შეფასებით, ამ შემთხვევაში მტრისთვის მთელი უკრაინა ადვილად ხელმისაწვდომი გახდება. მისი თქმით, ამ ადგილს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

მინსკის შეთანხმების ვალდებულებას იღებენ სეპარატისტული მმართველები, თუმცა მათი ლიდერები აცხადებენ, რომ დონეცკიც და ლუგანსკიც განსაკუთრებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას არ აპირებენ. სეპარატისტთა ბანაკში რუსული ჰუმანიტარული დახმარების მანქანები შედის. უკრაინის ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ სწორედ ამ სატვირთო მანქანებით შეაქვს რუსეთს დონეცკსა და ლუგანსკში იარაღი, რომლის შემოწმებასაც „წითელი ჯვარი“ და უკრაინელი მებაჟეები ვერ ახერხებენ.



აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტი 2014 წლის აპრილში დაიწყო, როდესაც პრორუსი სეპარატისტების შეიარაღებულმა ჯგუფებმა დონბასის რეგიონის ქალაქებში ადმინისტრაციული შენობები და მილიციის განყოფილებები დაიკავეს. უკრაინის ხელისუფლებამ საპასუხოდ აღნიშნულ რეგიონში ანტიტერორისტული ოპერაცია წამოიწყო, რომელიც მასშტაბურ სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.

დეპუტატთა ნაწილმა უმაღლეს რადას ინიციატივით მიმართა, რათა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში მიმდინარე მოვლენები ანტი-ტერორისტული ოპერაციის ნაცვლად გამოცხადდეს, როგორც ომი რუსეთის ფედერაციასთან.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთი ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებს, რასაც კონფლიქტის დაწყებამდე ვარაუდობდნენ. ფასების შესახებ უთანხმოების და დაუფარავი დავალიანების გამო რუსულმა „გაზპრომმა“ უკრაინას გაზის მიწოდება მაისში შეუჩერა. ქვეყანას გაზის მიწოდება მხოლოდ მას შემდეგ აღუდგა, რაც წინასწარ გადაუხადა რუსულ კომპანიას 378 მილიონი დოლარი. ამ თანხის სანაცვლოდ უკრაინამ დეკემბერში ერთი მილიარდი კუბური მეტრი გაზი მიიღო.

აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს წინ უძღოდა ევრომაიდანი და ხელისუფლების ცვლილება. 2013 წლის 21 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ უკრაინის მაშინდელმა ხელისუფლებამ უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე, ხალხმა მაიდანზე სტიქიურად დაიწყო შეკრება.

30 ნოემბერს დემონსტრაცია მაიდანზე სპეცრაზმელებმა სასტიკად დაარბიეს, რასაც კიდევ უფრო ხალხმრავალი გამოსვლები მოჰყვა. იანუკოვიჩის ხელისუფლება დათმობაზე არ მიდიოდა და დემონსტრანტების დაშლას ძალის გამოყენებით ცდილობდა. იანვრის ბოლოს კიევის ცენტრში შეტაკებები დაიწყო, რასაც პირველი მსხვერპლი მოჰყვა. 18-20 თებერვალს კი, ხელისუფლებამ მომიტინგეების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა, რის შედეგადაც 100-მდე ადამიანი დაიღუპა.

დაპირისპირება მაიდანზე სამ თვეს გაგრძელდა. 22 თებერვალს იანუკოვიჩი კიევიდან გაიქცა, რასაც ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა. ქვეყნის პრეზიდენტად უკრაინელმა ხალხმა პეტრო პოროშენკო აირჩია.

გაეროს მონაცემებით, გასული წლის აპრილიდან მოყოლებული აღმოსავლეთ უკრაინაში 5000 ადამიანზე მეტი დაიღუპა, 10 ათასზე მეტი – დაშავდა. უკრაინის შესახებ მომზადებული რეზოლუციის მიხედვით, რომლის ტექსტსაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 140-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში 630 ათასზე მეტი ადამიანი დევნილად იქცა.





# მანდარინები

**ავტორი: გიორგი დიასამიძე**



ამერიკის კინოაკადემიის გადაწყვეტილებით, ოსკარის 87-ე დაჯილდოების ცერემონიაზე საუკეთესო უცხოენოვანი ფილმების კატეგორიაში პრიზის მოსაპოვებლად ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ იბრძოლებს. 1997 წლის შემდეგ, რაც ნანა ჯორჯაძის „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ იყო ოსკარზე ნომინირებული, ქართველი რეჟისორების მიერ გადაღებულ ფილმებს მსგავსი წარმატებისთვის აღარ მიუღწევიათ.

ფილმის სიუჟეტი, აფხაზეთის ომის პერიოდში, ესტონელებით დასახლებულ სოფელში ვითარდება, რომელსაც ორი ბალტიისპირელი მოსახლეოა შემორჩა. ისინი თავისი ნებით დარჩნენ აფხაზეთში, დანარჩენები კი სამშობლოში დაბრუნდნენ. ქართველებსა და ჩეჩნებს შორის მომხდარი შეტაკების შემდეგ, ერთ-ერთი ესტონელი საკუთარ სახლში სიკვდილის პირას მყოფ მტრებს შეიფარებს. ფილმის ბოლოს ირკვევა, რომ ესტონელი ივოს შვილი ომის დაწყებისას ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა და მათვე მოკლეს.

„მანდარინები“ კინოთეატრებში 2013 წელს გამოჩნდა და საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. პრემიერის შემდეგ მიღებულ არაერთ კომპლიმენტთან ერთად, დასკვნითი სცენის გამო, ქართველი მაყურებლის გარკვეული ნაწილი ურუშაძეს ისტორიული ფაქტების დამახინჯებასა და ანტიქართული ფილმის გადაღებას ედავებოდა. ბრალდების საპასუხოდ, რეჟისორი პასუხობდა, რომ მხატვრული ფილმი დოკუმენტურისგან განსხვავდება და შესაძლებელია სცენარი მისი ფანტაზიის მიხედვითაც წარიმართოს.

ფილმი ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის ორი ნომინაციის – „საუკეთესო რეჟისურისა“ და „აუდიტორიის ჯილდოს“ გამარჯვებული გახდა. „მანდარინებმა“ ესტონეთის კინოჟურნალისტთა ჯილდო, მანჰაიმ-ჰაიდელბერგის საერთაშორისო კინოფესტივალის მაყურებელთა პრიზი და ეგვიპტეში აუდიენციის ჯილდო მიიღო. ურუშაძის ფილმი ოქროს გლობუსზეც იყო ნომინირებული, თუმცა კინოკრიტიკოსებმა საუკეთესოდ ანდრეი ზვიაგინცევის „ლევიათანი“ მიიჩნიეს. რუსი რეჟისორის ნამუშევარი ოსკარის აღების მთავარ ფავორიტადაც ითვლება.

ქართულ-ესტონურმა პროექტმა 2012 წელს საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა. ფილმის ბიუჯეტი ჯამში 650 000 ევროს შეადგენს. დაფინანსების დიდი ნაწილი ესტონურმა მხარემ გაიღო, რის გამოც ფილმის ოქროს გლობუსსა და ოსკარზე ნომინირების უფლება ბალტიისპირელ პროდიუსერებს მიენიჭათ.

ის ფაქტი, რომ ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალზე ფილმი საქართველოს სახელით არ არის წარდგენილი, ურუშაძისთვის გარკვეულწილად საწყენი აღმოჩნდა. თუმცა, მისი თქმით, საერთაშორისო არენაზე ყველამ იცის „მანდარინების“ შექმნის ისტორია. ძირითადი და ავტორიტეტული უცხოური გამოცემებიც წერენ, რომ ფილმი ქართულ-ესტონური პროექტია. ამერიკის კინოაკადემიაზე ნომინანტთა შორის მოხვედრას ქართველი რეჟისორი უკვე გამარჯვებად თვლის. თუმცა, დაბალი შანსების მიუხედავად, მას პრესტიჟული ჯილდოს მოპოვების იმედი მაინც აქვს.

აიღებს თუ არა ქართულ-ესტონური ფილმი ოსკარს, ამის შესახებ 22 თებერვალს ამერიკის კინოაკადემიის 87-ე დაჯილდოების ცერემონიალზე გახდება ცნობილი.

# ICE BUCKET CHALLENGE

**ავტორები: გვანცა კიკვაძე, ნათია ნატროშვილი**

2014 წლის ზაფხულში ძალიან ცოტა ადამიანს თუ ნახავდით, ვისაც ყინულიანი წყალი არ გადაუსხამს. Ice Bucket Challenge სახალისო და ამავდროულად საქველმოქმედო აქციაა, რომელიც ამიოტროფული გვერდითი სკლეროზით დაავადებული ადამიანების დახმარებას ისახავდა მიზნად. ის 27 წლის კორი გრიფინმა მეგობრის დასახმარებლად წამოიწყო, რომელსაც ამ დაავადების დიაგნოზი დაუსვეს.

Ice Bucket Challenge სიტყვასიტყვით ყინულის კალათის გამოწვევას ნიშნავს. აქციაში გამოწვეული ადამიანები 24 საათის განმავლობაში სოციალურ ქსელში აქვეყნებდნენ ვიდეოს, სადაც ყინულებიან წყალს ისხამდნენ თავზე. მათ კიდევ 3 ადამიანი უნდა გამოეწვიათ ყინულის აქციაში მონაწილეობის მისაღებად. ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ 10 დოლარს რიცხავდნენ შესაბამის საქველმოქმედო ფონდში, ხოლო წყლის გადასხმაზე უარის შემთხვევაში – 100 დოლარს.



გასული წლის 29 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით ფონდში 98.2 მილიონი დოლარი გადაირიცხა

ორგანიზატორების თქმით, სხვა საქველმოქმედო აქციებს შორის Ice Bucket Challenge-მა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა არაერთმა ცნობილმა ადამიანმა მიიღო. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა და ახლანდელმა პრეზიდენტებმა – ჯორჯ ბუშმა და ბარაკ ობამამ, მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდომ, „ბარსელონას“ არგენტინელმა ლეგიონერმა ლეონელ მესიმ და ა.შ.

Facebook-ის მონაცემებით, აქციის ფარგლებში 2,4 მილიონზე მეტი ვიდეო გავრცელდა. გარდა ქველმოქმედებისა, გაიზარდა ხალხის ინფორმირებულობა ALS დაავადებასთან დაკავშირებით. გამოწვევების ტალღის შემდეგ, ინგლისურ ვიკიპედიაში ამიოტროფულ სკლეროზზე სტატიების წაკითხვის რაოდენობა 163 000-დან თითქმის 3 მილიონამდე გაიზარდა. ასევე, მოიმატა მაჩვენებელმა გერმანიასა და ესპანეთში.

BBC-ის ცნობით, გასული წლის 29 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით ფონდში 98.2 მილიონი დოლარი გადაირიცხა. 2013 წელს, დროის ამავე მონაკვეთში, ALS-ის ბიუჯეტი 2.7 მილიონ დოლარს შეადგენდა.

საზოგადოების ნაწილისთვის Ice Bucket Challenge ერთგვარი გართობის საშუალება გახდა. ბევრ მათგანს აქციის მიზნის შესახებაც არ ჰქონდა ინფორმაცია. მაგალითად, Charities Aid Foundation-ის კვლევის მიხედვით, ინგლისელ მონაწილეთა მხოლოდ 10%-მა გადარიცხა თანხა ფონდში. აქციის შესახებ ვრცელდებოდა არაერთგვაროვანი მოსაზრებები. ერთ-ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა, ვილერდ ფოქსტონმა კი მსოფლიო მასშტაბის გამოწვევას სველი მაისურების შეჯიბრი უწოდა.

ამიოტროფული გვერდითი სკლეროზი (Amyotrophic lateral sclerosis, ALS) პროგრესიული, ხშირად ფატალური, ნეიროდეგენერაციული დაავადებაა, რომელიც მოტორული ნეირონების დეგენერაციით არის გამოწვეული. ALS ზედა და ქვედა მოტორული ნეირონების დეგენერაციის გზით მათ სრულ კვდომას იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ვეღარ აწვდიან სიგნალს კუნთებს. ფუნქციადაკარგული კუნთები კი სუსტდებიან და შედეგად, სრულ ატროფირებამდე მიდიან.






2002

SHATRO

შატრო

რესტორანი „შატრო“ ადგილი, სადაც აუცილებლად დაბრუნდებით



მის. ილია ჭავჭავაძის 75; (კუს ტბის ასახვევის მოპირდაპირედ); ტელ: 2 22 78 32; 577 200 779

# ბერი გაბრიელი

**ავტორი: გიორგი დიასამიძე**



გასული წლის პირველივე კვირას მცხეთაში საქართველოს ყველა კუთხიდან უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მომლოცველები ბერი გაბრიელის საფლავამდე მისასვლელად საათობით იდგნენ რიგში, თუმცა ზოგიერთმა სანუკვარ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. საახალწლო სურვილების ასრულებას ადამიანები არა თოვლის ბაბუას ან რომელიმე სხვა სიმბოლურ და გამოგონილ პირს, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ გაბრიელ სალოსს შესთხოვდნენ.

## პირველად იყო ხილვა

2014 წლის 2 იანვარს სოციალურ ქსელში „მამა გაბრიელის“ სახელით დარეგისტრირებულმა მომხმარებელმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს სამთავროს მონასტერში მოღვაწე მონაზონ პარასკევას ხილვა ჰქონდა, რომელსაც ბერმა სიტყვასიტყვით უთხრა: „ყველა იმ ადამიანს, რომელიც შობამდე მცხეთაში, მამა გაბრიელის საფლავზე ან ციხისჯვარში, ბერი გაბრიელის სახელობის მონასტერში აბრძანდება, შეუსრულდება ორი სურვილი, თუ რა თქმა უნდა რწმენით იქნება ნათხოვარი.“

ინფორმაცია თავად მონაზონმაც დაადასტურა და მცხეთაში მეორე დღესვე ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი. ხოლო, მას შემდეგ, რაც საპატრიარქომ ხილვის შესახებ გავრცელებულ ცნობას დეზინფორმაცია უწოდა, პარასკევამაც უარყო თავისი სიტყვები.

ბერი გაბრიელის საფლავზე მისული ადამიანები სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურმა, დეკანოზმა პეტრე კვარაცხელიამაც გააკრიტიკა: „ის, რაც მცხეთაში ხდება, ვწუხვარ, მაგრამ ერის გაუკუღმართებული სულიერი ცხოვრების შედეგია. რა გგონიათ, ვინც პირველი მივა, მეტი საჩუქარი იმას შეხვდება?! იქნებ სანტა კლაუსის ფორმაც წაგელოთ და გადაგეფარებინათ წმინდანის საფლავზე.“

სასულიერო პირების მკაცრი განცხადებისა და მონაზვნის მიერ „ხილვის“ უარყოფის მიუხედავად, მცხეთაში მომლოცველთა რიგები კიდევ რამდენიმე დღე არ შემცირებულა. სააგენტოები მცხეთის ეპარქიაზე დაყრდნობით ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ბერი გაბრიელის საფლავზე მისულმა ადამიანებმა სანთლებში ჯამში 4 მილიონი ლარი დახარჯეს. თუმცა, საქართველოს პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა, რომ ასეთი სტატისტიკა არ არსებობს.





## სამთავრობო საშვები და უკმაყოფილო მრევლი

საპატრიარქოს ინიციატივით, სამთავროს დედათა მონასტერში, ბერი გაბრიელის საფლავი გასული წლის 22 თებერვალს გახსნეს. ტერიტორიას ქვეყნის შეიარაღებული ძალების ათასობით წარმომადგენელი იცავდა და ხალხის ნაკადს არეგულირებდა. სამხედროები ეკლესიაში სპეციალური საშვების გარეშე მხოლოდ იმ ადამიანებს უშვებდნენ, რომლებსაც სხვადასხვა მძიმე დაავადებით შვილები ჰყავდათ მიყვანილი. მათ, ვინც ვერ შეძლო მონასტრის ეზოში შესვლა, ხმის გამაძლიერებლებით უწევდათ წირვა-ლოცვის მოსმენა.

სპეციალური მოსაწვევებით შევიდნენ ეკლესიაში მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, მისი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური. სამთავრობო საშვებით პრივილეგირებულ თანამდებობის პირებს ათასობით ადამიანი აკრიტიკებდა. მათ შორის, თავად უმრავლესობის დეპუტატი, თინა ხიდაშელიც, რომელმაც აღნიშნულ ფაქტს მორიგი სამარცხვინო ამბავი უწოდა.

რამდენიმესაათიანი ლიტურგიის შემდეგ, სასულიერო პირებმა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ბერი გაბრიელის გახსნილი სამარხიდან ამოღებული მიწა დაინაწილეს. რიტუალს შემაღლებული ადგილიდან ადევნებდნენ თვალს ის ადამიანები, ვისთვისაც სვეტიცხოვლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე გადაადგილება შეზღუდული იყო.

მოგვიანებით ნეშტი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მიიტანეს, 24 თებერვალს – სამებაში. ტაძარში მრევლს 24 საათის განმავლობაში შეეძლო ნეშტთან მისვლა, ამისთვის კი, დაახლოებით ერთი საათით უწევდათ რიგში დგომა. საპატრიარქოს ინფორმაციით, სამების ეკლესიაში დღე-ღამის განმავლობაში 70 ათასამდე ადამიანი მიდიოდა მოსალოცად. საბოლოოდ, ბერი გაბრიელის ნეშტი სამთავროს დედათა მონასტერში დააბრუნეს, სადაც ის მოღვაწეობდა.

## საკრებულოს კეთილი ნება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, გასული წლის ოქტომბრის ბოლოს ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის ნაწილს სახელი შეეცვალა და ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი ეწოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი კი საბურთალოზე, იპოდრომთან მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას დაერქვა.

საზოგადოების დიდი ნაწილი აღნიშნული გადაწყვეტილების გამო საკრებულოს აკრიტიკებდა, თუმცა, თავად იმ ქუჩაზე მცხოვრები ადამიანების უმეტესობა ეროვნული გმირის სახელის გადარქმევას დადებითად აფასებდნენ. როგორც ნავთლუღის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ განაცხადა, გამზირისათვის ბერი გაბრიელის სახელის მინიჭების თხოვნით მას 3 ათასზე მეტმა ადამიანმა მიმართა და სწორედ ამ მიზეზით მიიღეს გადაწყვეტილება.

ქუჩის სახელის გადარქმევიდან სულ რამდენიმე დღეში, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ გაბრიელ სალოსის ხსენების დღესთან დაკავშირებით, ისნის რაიონში მდებარე წულაძის ქუჩის N23-ში ბერი გაბრიელის სახელობის ეკლესიის მშენებლობასაც ჩაეყარა საფუძველი.




საბა
ელექტრონული
წიგნების
სახლი

saba.com.ge

# საბა - ძველი და ახალი განმანათლებლები




ვისთვის უბრალოდ სახელია, ვისთვის ცნობილი და საპატიო ლიტერატურული პრემია. აი, ჩემთვის კი „საბა“ ელექტრონული წიგნების სახლია. ჩვენ უკვე ორ წელზე მეტია ერთმანეთს ვიცნობთ. „საბას“ აღმოჩენა რთული არ არის მათთვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს: ის შეიძლება ერთდროულად იყოს ჩვენს ტაბლეტში, ტელეფონსა და კომპიუტერში.

„საბამ“ წიგნის კითხვა უფრო კომფორტული და ხელმისაწვდომი გახადა. რა გრძნობაა წიგნს 0.99 ლარად რომ ყიდულობ?! Saba.com.ge-ზე ელ.წიგნები ბევრად იაფია, ვიდრე ბეჭდური. აქვეა უფასო ელ.წიგნების კატეგორიაც. თან ყველგან კითხულობ: მანქანაში, თვითმფრინავში, მთაში, რიგში დგომისას თუ ზღვაზე. უშუალოდ კითხვისას არ გჭირდება ინტერნეტი, არ გჭირდება ელექტროენერგია. საშუალოდ 4-5 ნაბეჭდი წიგნის წაღების ან ტარების ნაცვლად, 2000-მდე ელ.წიგნი ერთ მსუბუქ ხელსაწყოში გაქვს. ეს მართლაც სულ სხვა შეგრძნებაა. დაუსრულებლად შეიძლება კამათი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების უპირატესობებზე, მაგრამ მათთვის, ვინც ამბობს, რომ სულ სხვაა წიგნის სურნელი, გადაფურცვლა ან ქაღალდზე მუშაობა, არსებობს კითხვა: ტექსტი უფრო მნიშვნელოვანია თუ ქაღალდი?

ყოველთვის ნაკლები ინტერესით ვკითხულობდი პეიზაჟებისა და ბუნების აღწერას, მაგრამ გარემოზე „ზრუნვა“ თუ ასე გაგრძელდა, ერთადერთი ადგილი, სადაც ტყეს შეხვდებით – წიგნი იქნება. ვინ იცის, იქნებ მომავალში ასეთი ლიტერატურული ჯილდოც არსებობდეს ფანტასტიკის ჟანრში – ყველაზე მრავალფეროვანი ბუნების შეთხზვისთვის, ან რაიმე მსგავსი. წიგნის დასაბეჭდად ქაღალდია საჭირო, ქაღალდის დასამზადებლად კი ხე. ეკოლოგიის გლობალური ქსელის მონაცემებით, ქაღალდზე დამოკიდებული ინდუსტრიებისათვის, მსოფლიოში დაახლოებით 4 მილიარდი ხე იჭრება, ანუ ხის მარაგის 35%. ელექტრონული წიგნების პოპულარიზება და მათზე მოთხოვნის გაზრდა ამცირებს ქაღალდის წარმოებას, შესაბამისად, ტყის გაჩეხვას. თანამედროვე სამყაროში ახალი ტერმინი დამკვიდრდა – „ეკოლოგიურად მეგობრული“ (environmentally friendly). ეკოლოგიურად მეგობრული ტექნოლოგიების შექმნა და მათი გამოყენება მთელ მსოფლიოში კარგ ტონად ითვლება.

ელექტრონული წიგნები, წამკითხველები და მათი მომავალი – თემა საკმაოდ აქტუალურია და ინტერნეტსივრცეში არაერთი კვლევა და გამოკითხვა ტარდება მის გარშემო. მაგალითისთვის, პოპულარულმა საიტმა surveymonkey.com გამოკითხვა ჩაატარა სახელწოდებით – „ნაბეჭდი წიგნი vs. ელექტრონული“. გამოკითხულთა 58% ელექტრონული წიგნის წამკითხველით სარგებლობდა და თვლიდა, რომ დროთა განმავლობაში წიგნის გამოცემის ყველაზე პოპულარული ფორმა სწორედ ელექტრონული იქნება.

ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ უნიკალურია იმითაც, რომ უცხოური ელექტრონული მაღაზიების მსგავსად, ავტორს საშუალებას აძლევს შექმნას, გაავრცელოს და გაყიდოს საკუთარი ელექტრონული წიგნები. მარტივი რეგისტრაციის გავლის შემდეგ, „საბა“ შანსს გვაძლევს საკუთარი წიგნის გამომცემლები გავხდეთ. ასე მიიღებ საკუთარი წიგნიდან შემოსავალს, ასე იქნება შენი ინტელექტუალური საკუთრება დაცული და შეფასებული. კარგი მაგალითია ახალი თაობის საქართველოსთვის, არა?!

Saba.com.ge-ზე როგორც ნათარგმნი, ისე ქართველი მწერლების ნაწარმოებებია წარმოდგენილი. ელექტრონული ბიბლიოთეკა მუდმივად იზრდება. „საბასთან“ ერთად მადათოვს გადაუფრენთ (აკა მორჩილაძე), გაივლით ტრიუმფალური თაღის ქვეშ (რემარკი) და ლამაზ მეგობარსაც შეხვდებით (მოპასანი). ფლორენციელი ჯადოქარი „ადამიანის რელიგიაზე“ გესაუბრებათ (რუშდი), „საბა“ დრაკონის ტატუიან გოგონასაც გაგაცნობთ, რომელმაც კრაზანების ბუდე დაანგრია. მოკლედ, აქ ყველას და ყველაფერს შეხვდებით.

საქართველოს ელექტრონული წიგნების ბაზარზე ძალიან ცოტაა კონკრეტული გაჯეტისთვის შექმნილი შესაბამისი წიგნის ელექტრონული ვერსია. მაგალითად, ყველას ვისაც ქინდლი აქვს, მას აუცილებლად პატარა პრობლემაც ექმნება – ქართულ ენაზე ელექტრონული წიგნები ქინდლისთვის ძალიან ცოტაა. „საბაც“ სწორედ ამ პრობლემამ გამაცნო. Saba.com.ge-ზე ცალკე კატეგორიებადაა წამკითხველთა ჩამონათვალი: Windows; iPad/iPhone; Android; Kindle; Nook; Sony reader. აქ ქინდლისთვის ათვირთულ 300-ზე მეტ წიგნს აღმოაჩენთ.

ამას წინათ შუქი წავიდა. სრული მოწყენილობა იყო. ბნელი 90-იანების გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ პატარა ნივთი, უფრო სწორად, ის, რაც ამ ნივთში ინახებოდა, არ მაძლევდა ამის საშუალებას. აქ სინათლე იყო პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით – ელექტრონული წიგნების დიდი ბიბლიოთეკა ქართულ ენაზე. საქმე ისაა, რომ თანამედროვეობის ასეთი ხელშესახები და ამავდროულად ძალიან აბსტრაქტული პროდუქტი წარსულს უბრალოდ ვერ გაგახსენებს. „საბამ“ თანამედროვეობის ნაწილად გაგვხადა. მან გვითხრა, სასიამოვნო კითხვას გისურვებთო და შემდეგ ამის შესაძლებლობა მოგვცა.



რეპორტაჟი



# კიევი „მაიდნიდან“ ერთი წლის შემდეგ

ავტორი: ქეთევან კაპანაძე

ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი უკრაინელებიც არ უარყოფენ, რომ დღეს მათი ქვეყანა ყოფნა-არყოფნის გზაგასაყარზეა.

თვითმფრინავი კიევის აეროპორტში დაეშვა. ილუმინატორიდან აბსოლუტური სითეთრე ჩანს – ყველგან თოვლი დევს. ბორისპოლში თბილისის აეროპორტთან შედარებით უჩვეულო სიჩუმეა.

აეროპორტის ადმინისტრაციამ სულ ამაოდ იზრუნა საახალწლო გარემოს შესაქმნელად. საახალწლო ნათურებსა და უზარმაზარ ნაძვის ხეს მგზავრები თითქოს ვერც ამჩნევენ – ან სწრაფი ნაბიჯით, საქმიანად უვლიან გვერდს ან კიდევ რაღაც სხვაზე, აშკარად არაწინასაახალწლო თემაზე, არიან ჩაფიქრებულები.

გარეთ მინუს ხუთი გრადუსია. კიევური ვოიაჟისთვის საგანგებოდ მომზადებული გრძელი, ჩათბილული ქურთუკი სრულიად უსარგებლოა. მხოლოდ ამ სიცივეს შეჩვეული, ცხოველების ბეწვის ქურქებში გამოწყობილი უკრაინელები არ არიან აბუზულები.

ერთი წლის წინ ზუსტად ასეთი ყინვა იყო კიევში, როდესაც ასი ათასობით ადამიანი მაიდანზე უკრაინის ევროატლანტიკური კურსის დასაცავად და კორუფციასა და ძალადობაში ჩაფლული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა.

მაშინ მომიტინგეების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გამოყენებულმა ძალამ 100-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი იმსხვერპლა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა.

დღეს უკრაინის აღმოსავლეთი საომარ მოქმედებებშია ჩართული, ყირიმი ანექსირებულია და ამ პროცესებს თითქოს დასასრულიც არ უჩანს.

მანქანაში ჩავსხედით. ჩვენს მძღოლს საქარე მინაზე უკრაინის დროშა დაუმაგრებია და იგი გამონაკლისი არ არის – ეროვნული დროშა აქ თითქმის ყოველ მეორე მანქანაზე ფრიალებს.

ფანჯარაში ვიხედები, გარემო რუსთავს მაგონებს, ოღონდ ყვითლად და ლურჯად შეფერილ რუსთავს.

ცენტრისკენ ვმოძრაობთ, ჩვენს სახლამდე მისასვლელად მაიდნის გავლა გვიწევს. „მაიდნის" მოვლენებიდან ერთი წელი გავიდა, თუმცა იმდროინდელი კვალი კიევს დღემდე ეტყობა.

კიევში ESFL-ის (European Students For Liberty) კონფერენციაზე ჩამოვედი. ქართველების გარდა კონფერენციაში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტები, ჟურნალისტები, ეკონომისტები და პოლიტიკოსები მონაწილეობენ. დილით, ვიდრე კონფერენცია დაიწყება, ცენტრის დათვალიერებას ვასწრებ.

კიევის მთავარ ქუჩაზე – კრეშატიკზე გადამწვარი შენობები ჩამწკრივებულა – ყოფილი უნივერმაღი, პროფკავშირების ყოფილი სახლი, რომლებზეც ახლა უზარმაზარი ბანერებია გაკრული წარწერებით – „ერთიანი უკრაინა," „მშვიდობა და დაცვა ჩვენს შვილებს."










იქ, სადაც ზუსტად 1 წლის წინ ასი ათასობით ადამიანი ყინვაში ევროპული კურსის დასაცავად იდგა, დღეს მტრედებითა და მაიმუნებით გეგებებიან, რომელთა გვერდით ფოტოს გადაღებას 30 გრივნად უპრობლემოდ მოახერხებ. თუმცა შევაჭრების შემთხვევაში 20 გრივნადაც შეიძლება დაითანხმო ცხოველების პატრონი. იქვე „პუტინ ხუილოს" გამოსახულებიანი ტუალეტის ქაღალდები იყიდება.

თავისუფლების მოედანზე კანდელებისგან დიდი სამკაპია მოხაზული – უკრაინის გერბი და ასევე წარწერა „დიდება უკრაინას – გმირებს დიდება."

ცოტა ხალხია, ზოგი ერთი წლის წინანდელი დემონსტრაციების ამსახველ ფოტოებს ათვალიერებს, ზოგიც კი, თავისუფლების მოედნის მარცხნივ მთელი აღმართის აყოლებაზე დადგმულ მემორიალებთანაა მისული. მემორიალთან ყვავილების ზღვაა, არცერთი ყვავილი დამჭკნარი არაა – ყველა ახალია.




გაამართლა თუ არა უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ, როგორია რუსეთისა და მისი პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება, რა განწყობაა მაიდნიდან ერთი წლის თავზე და სად არის გამოსავალი? – იქ მყოფების უმრავლესობა ამ თემებზე საუბარს გაურბის. ინტერვიუზე უარს მეუბნებიან. შესაძლოა, ჟურნალისტებმა მოაბეზრეს თავი, ან კიდევ – ამ ყველაფრით გადაღლილებმა, არც იციან ბევრ კითხვაზე პასუხი. რამდენიმე მათგანთან გასაუბრებას მაინც ვახერხებ.

სამოციოდე წლის უკრაინელი ქალი, პომადა დაუდევრად აქვს წასმული, ცინიკური სახით მიყურებს და არც მალავს, რომ ჩემთან, ახალგაზრდა და გამოუცდელ გოგონასთან, საუბარი ასეთ თემებზე არ სურს, მისი თქმით, მე ამას უბრალოდ ვერ გავიგებ, ბოლოს ვეღარ ითმენს და მაინც მეუბნება :

„ჩემი ნება რომ იყოს, ყველას ვინც ჩვენს ტერიტორიაზე შემოდის დედაბუდიანად გადავბუგავდი. არავითარი ზავი, ისინი ყველანი უნდა გაანადგურო. უბრალოდ ძალიან მიჭირს დაჯერება, როგორ შეიძლებოდა ჩვენი მეგობარი ერი ასე მოგვქცეოდა.“

უცებ ახალგაზრდა, შარვალკოსტუმში გამოწყობილი ბიჭი შევნიშნე. სახეზე ვატყობ, რომ აინტერესებს რას ვეკითხები ხალხს და მაშინვე ვუახლოვდები, გახარებული ჩემი ამ საკითხით დაინტერესების გამო, მონდომებით მიზიარებს თავის შეხედულებას:

„ერთი წლის წინაც კი ნათელი იყო, რომ ევროკავშირში გაწევრიანება შეუძლებელს ხდიდა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას, თუმცა უკრაინელები ქვეცნობიერად უარყოფდნენ იმის შესაძლებლობას, რომ ერთი ვექტორის განვითარება ხელს შეუშლიდა მეორეს. უკრაინელებს ყველასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სურდათ და ჯერ კიდევ ერთი წლის წინ რუსებს ძმებად მიიჩნევდნენ. თუმცა ახლა ბევრი რამ შეიცვალა.“

კიევის საერთაშორისო სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ერთი წლის წინ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კითხვებზე: „ფიქრობთ თუ არა, რომ უკრაინა უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი?“ და „უნდა იმეგობროს თუ არა და უნდა შეინარჩუნოს თუ არა უკრაინამ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები რუსეთთან?“ – უკრაინელების თითქმის თანაბარმა რაოდენობამ დადებითი პასუხი გასცა.

ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე კი, პრორუსული პოლიტიკის მხარდამჭერი მხოლოდ 15% დარჩა. დანარჩენმა 85%-მა პროდასავლურ პარტიას მისცა ხმა.





რეპორტაჟი



ხალხისთვის ინტერვიუს თხოვნით ვიღლები, კრეშატიკზე სკამზე ვჯდები. ჩემ გვერდით მჯდომ ხანშიშესულ ქალბატონს ყოველი შემთხვევისთვის, უიმედოდ, ვეკითხები გამცემს თუ არა მსგავს შეკითხვებზე პასუხს, მოულოდნელად საუბარს იწყებს:

„- უბრალო ხალხს რუსეთთან მეგობრობა უნდა იმიტომ, რომ იქ არიან ჩვენი ძმები, ბავშვები, ჩვენ გადაჯაჭვულები ვართ და არ შეიძლება ვემტროთ ერთმანეთს, რადგან ერთი ოჯახი ვართ. თქვენ ხომ ჩემს გვარს არ დაწერთ?

– თქვენ ხომ არ გითქვამთ ჩემთვის თქვენი გვარი...

– მაშინ შემიძლია თავისუფლად ვთქვა რასაც ვფიქრობ. გამორთეთ ხომ უკვე დიქტოფონი?

– კი.

– ყოველთვის მახსენდება მამაჩემის სიტყვები, რომ ერთ დღესაც უკრაინა რუკაზე აღარ იქნება.“

უკრაინა დღეს მართლაც გზაგასაყარზეა და ამას ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი უკრაინელებიც აღიარებენ. იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს პერიოდში, დიდწილად არის დამოკიდებული ამ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი.

კონფერენცია, რომელსაც ვესწრებოდი, საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, „ცოდნის ფონდის“ დამფუძნებლის, კახა ბენდუქიძის ხსოვნას მიეძღვნა, – ადამიანს, რომელიც კონფერენციის პროგრამის მიხედვით დახასიათებული იყო, როგორც „თავისუფალი ბაზრის ყველაზე ჭკვიანი და ენერგიული დამცველი პოსტსაბჭოთა სივრცეში“.

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სპიკერები უკრაინის პერსპექტივებზე, რეფორმებსა და თავისუფლებაზე საუბრობდნენ. არცერთი სპიკერის სიტყვას საქართველოს ხსენების გარეშე არ ჩაუვლია. უკრაინელებისთვის მიბაძვის ობიექტი გახდა ის ეკონომიკური წინსვლა, რომელსაც საქართველომ ბოლო 12 წლის განმავლობაში მიაღწია. როგორც კონფერენციაზე გამომსვლელი სპიკერები ამბობდნენ, დღეს უკრაინის მიზანია გაიმეოროს ისეთი ეკონომიკური რეფორმები, როგორებიც საქართველოში 2004-2008 წლებში ჩატარდა.

კონფერენციაში მონაწილე უკრაინელი სტუდენტები, რომლებსაც დავუმეგობრდი, მეკითხებოდნენ მართალი იყო თუ არა, რომ ჩვენთან პოლიცია ქრთამს აღარ იღებს, რომ უნივერსიტეტში საგნების ფულით ჩაწყობა არ მოსულა, რომ ნებისმიერი საბუთის ასაღებად მხოლოდ ოფიციალურ გადასახადს იხდი ბიუჯეტში... ჩემი პასუხები მათთვის, როგორც ისეთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სადაც კორუფცია



დღემდე ბატონობს, დაუჯერებელი იყო.

პრეზიდენტ იანუკოვიჩის ხელისუფლების გადაყენების შემდეგ, სიტუაცია უკრაინაში უკეთესობისკენ არ შეცვლილა. „მაიდნის“ მოვლენებმა ქვეყანას პრორუსული და კორუმპირებული ხელისუფლება კი მოაშორა, მაგრამ ახალმა მთავრობამ, რომელსაც ქვეყნის მთავარ შიდა საფრთხესთან – კორუფციასთან ბრძოლის ნაცვლად დღეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და გარე საფრთხეებთან გამკლავება უხდება, ბევრი ვერაფერი შეცვალა.

ოფიციალური სტატისტიკით, „მაიდნის“ რევოლუციური მოვლენების შემდეგ 3,5-ჯერ გაიზარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და კრიმინალის შემთხვევები.

„მანქანას ქუჩაში რომ დატოვებ, უკვე აღარ უნდა გაგიკვირდეს თუ მინა ჩამსხვრეული დაგხვდა, ჩანთა კი წაღებული“, – ამბობს 26 წლის უკრაინელი ტოტო.

დედაქალაქი დონეცკიდან, ლუგანსკიდან და სხვა საფრონტო ქალაქებიდან დევნილების ნაკადს ვერ აუდის. მათ არც საცხოვრებელი ფართი აქვთ და არც სამუშაო ადგილი.

ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიერ კორუფციის სიმბოლოდ აღიარებულ „მეჟიგორიეში“ – ვიქტორ იანუკოვიჩის ყოფილ რეზიდენციაში, დღეს დევნილები შესახლდნენ. როგორც ამბობენ, ამ რეზიდენციაში უკვე 11 ახალშობილიც კი დაბადებულა.

კონფერენციაზე გამომსვლელები თანხმდებოდნენ, რომ უკრაინას დღეს თავის ისტორიაში ყველაზე რთული დღეები უდგას და ამ ჩიხიდან საკუთარი ძალებით გამოსვლას ვერ მოახერხებს. სწორედ ამიტომ უკრაინის რადამ სპეციალური კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც, უმაღლეს თანამდებობებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დანიშვნა გახდა შესაძლებელი.

კიევში ყოფნის ბოლო დღეებში, როცა ჯანდაცვის მინისტრად ალექსანდრე კვიტაშვილი დაინიშნა, ყველა მეკითხებოდა, თუ რამდენად წარმატებული მინისტრი იყო იგი და მეც, ჩემი მხრივ, ვეკითხებოდი რამდენად ენდობოდნენ უკრაინელები ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთ ხელისუფლებაში.

„ჩვენს ხელისუფლებაში კახა ბენდუქიძე რომ მოსულიყო, როგორც დაგეგმილი იყო, მე დაუფიქრებლად ვიტყოდი – „მას გამოუვა!“ უკრაინას დღეს სწრაფი და უხეში რეფორმები სჭირდება. შეიძლება მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი. და არ აქვს მნიშვნელობა ვინ ჩაატარებს მათ, უკრაინელი თუ ქართველი“, – ამბობს პოლიტიკური მეცნიერებების უკრაინელი მაგისტრი სტანისლავ ზოზულია.

კონფერენცია უმეტესად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. თუმცა პანელური დისკუსიების დროს არცერთ უკრაინელს შეკითხვა ამ ენაზე არ დაუსვამს. როგორც კი შესაძლებლობა ეძლეოდათ, მაშინვე უკრაინულად იწყებდნენ საუბარს და არა რუსულად, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უფრო გასაგები იყო უმრავლესობისთვის.

ვერა კიჩანოვა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. პუტინის პოლიტიკის აქტიურ მოწინააღმდეგე 23 წლის გაბედულ გოგონას ეტყობოდა, რომ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ძალიან ნერვიულობდა.

პირველი რაც სცენაზე ასვლისას თქვა იყო, რომ რუსეთშიც შემორჩნენ ნორმალური ადამიანები. ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ პუტინის პოლიტიკა და იბრძვიან ლიბერტარიანული იდეალებისთვის.

„ჩემი დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლების მიმართ თავისთავად ნეგატიურია, თუმცა მე მჯერა, რომ იქაც შემორჩნენ ნორმალური ადამიანები. შეიძლება მათმა რიცხვმა მოსახლეობის 5%-იც კი არ შეადგინოს, მაგრამ ისინი არსებობენ,“ – მითხრა კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ, 20 წლის სტუდენტმა, იური ჟატკინმა.

კიევში ყოფნის უკანასკნელი დღეც დადგა. აქ გატარებული რამდენიმე დღე სრულიად არასაკმარისი გამოდგა იმ ყველაფრის სანახავად და მოსასმენად, რისი შემოთავაზებაც ჩემთვის ამ ქალაქსა და მის მაცხოვრებლებს შეეძლოთ.

ისევ ბორისპოლი, ისევ მგზავრების უემოციო სახეები, ისევ ილუმინატორიდან შემოჭრილი სითეთრე. თვითმფრინავი ღრუბლებს ზემოთ აიჭრა, ჩამეძინა. მზის სხივებმა გამაღვიძეს და მივხვდი, უკვე ჩემს სამხრეთულ სამშობლოში ვიყავი, ჩემი ჩრდილოეთელი მეგობრები კი, ათი ათასობით კილომეტრის მოშორებით, მინუს 7 გრადუსში მიმეტოვებინა.

ინტერვიუ

# „ძიების პროცესი არასდროს სრულდება“

## ინტერვიუ მაქს მაჩაიძესთან

**ავტორი: გიორგი დიასამიძე, გიორგი კიკაბიძე**
**ფოტო: დავით ჭუმბურიძე**

როდესაც ახალგაზრდა მუსიკოსთან ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტეთ, მასთან დასაკავშირებლად, დაახლოებით, ერთი კვირა დაგვჭირდა. სოციალურ ქსელებში მაქს მაჩაიძის სახელით რამდენიმე გაუქმებული ანგარიში და ფანებისთვის შექმნილი ერთი გვერდი მოიძებნა, რომელზეც ბოლო სიახლე 2012 წლის 19 ოქტომბერს არის გამოქვეყნებული. როგორც გავიგეთ, ლუნას საკუთარი მობილური არ აქვს და საერთო ნაცნობიც ვერავინ ვნახეთ, ვიდრე ნინო ჟიჟილაშვილმა უფროს მაჩაიძესთან არ დაგვაკავშირა. მოკლედ, ნიკასგან მოვიპოვეთ ჩვენი რესპოდენტის საკონტაქტო ინფორმაცია, და როგორც იქნა, მაქსზეც გავედით.

რამდენად პოპულარულია MC ჩვენს ქვეყანაში და იცნობს თუ არა მუსიკის ამ მიმდინარეობას ქართველი მსმენელი? რატომ არ იქცა ქართული ბენდების შემოქმედება „სახალხო მუსიკად“ და რამდენად მომგებიანი ბიზნესია მუსიკა საქართველოში? როგორია ნიკა მაჩაიძესთან ერთად მუშაობის პროცესი და რა ფაქტორები ეხმარება ლუნას პროფესიონალ მუსიკოსად ჩამოყალიბებაში? რამდენად მნიშვნელოვანია მუსიკოსის განსხვავებული იმიჯი წარმატებული კარიერისთვის?

მაქს მაჩაიძემ ჩვენს კითხვებს განათლების მულტიმედია ცენტრში უპასუხა.



**პირველად როდის დაინტერესდი მუსიკით?**

მუსიკით ადრეული ასაკიდან დავინტერესდი. მამაჩემი რომ აკეთებდა მუსიკას, ვიჯექი და სულ ვუსმენდი. პარალელურ რეჟიმში ვუსმენდი ყველანაირ ხმას, ქალაქში, სახლში – ყველგან. საერთოდ, მუსიკამდე, ჯერ ხმით დავინტერესდი. მახსოვს, სკოლაში სულ რაღაცებს ვაკეთებდი და მაგიდებზე ვურტყამდი. თავიდან უფრო სპირიტული მუსიკით ვიყავი დაინტერესებული. ტომებში და სხვაგან ლოცვები ესეთი მუსიკაა, უფრო მუდმ. ბავშვობაში ეგ უფრო ფიგურირებს, იმიტომ რომ შეხება გაქვს ამასთან და შეგიძლია ნებისმიერი ქმედება მუსიკად გადააქციო: დაუკრა მაგიდაზე, მოუსმინო წვიმას. მერე, ასე 8-9 წლის ასაკში, უკვე რომ აზრზე მოვედი კომპიუტერში და მივხვდი, რა როგორ ხდებოდა, ეს ყველაფერი მივივიწყე და დავიწყე უფრო მარტივად ელექტრონული მუსიკის კეთება. ვცდილობდი, გამეკეთებინა იგივე, რაც მესმოდა და ნელ-ნელა დავიწყე დაბრუნება უკან, ვაკეთებდი იმას, რაც სულ თავიდან მაინტერესებდა.

**მსმენელი გიცნობს, როგორც რეპერს, თუმცა შენ ამბობ, რომ ემსი (MC) ხარ. საქართველოში ამ სიტყვის განმარტება შეიძლება ძალიან ბევრმა არც იცოდეს. რამდენად პოპულარულია მუსიკის ეს მიმდინარეობა საქართველოში?**

საქართველო საერთოდ უცნაური ქვეყანაა. ქალაქს ფუნქცია აქვს დაკარგული და თან ძალიან ცოტა ადამიანი იწყებს მუსიკის კეთებას. ადამიანები რომ იწყებენ რაღაცის კეთებას, ავტომატურად წყდებიან საზოგადოებას და პატარა კოლონები იქმნება. არ არსებობს მოძრაობები, არსებობს პატარა დაჯგუფებები და უცნაურია ის, რომ ეს დაჯგუფებები ერთად იკრიბებიან.

საქართველო საერთოდ უცნაური ქვეყანაა. ქალაქს ფუნქცია აქვს დაკარგული და თან ძალიან ცოტა ადამიანი იწყებს მუსიკის კეთებას. ადამიანები რომ იწყებენ რაღაცის კეთებას, ავტომატურად წყდებიან საზოგადოებას და პატარა კოლონები იქმნება. არ არსებობს მოძრაობები, არსებობს პატარა დაჯგუფებები და უცნაურია ის, რომ ეს დაჯგუფებები ერთად იკრიბებიან. ვთქვათ, ორი კლუბია ერთად და ყველა ყველას იცნობს... ეს ნებისმიერს ეხება, ვინც რაღაცას აკეთებს, არ აქვს მნიშვნელობა, რას. ადამიანებმა ხელოვნება დაარქვეს ამ ყველაფერს. ვთქვათ, ჰიპ-ჰოპი ისეთი მუსიკაა, რომელიც დღეს უფრო პოპულარული გახდა. ეს მიმდინარეობა საინტერესოა, იმიტომ რომ „ბაზრობენ“. საინტერესო მოსასმენია, იმისდა მიუხედავად, რომ 90% უაზრობაა; შეუძლებელია, ქართულ რითმთა წყობას ისეთივე სტრუქტურა ჰქონდეს, რაც ინგლისურს აქვს. საინტერესოა რეჩიტატივის მოსმენა ამ ბიტზე, რომელიც ძალიან კარგია. ძირითადად, შინაარსობრივად შეიძლება არც იყოს საინტერესო, თუმცა, შეიძლება საინტერესოდ იყოს გატეხილი სიტყვები და ძალიან კარგი რითმები ჰქონდეს. დღესდღეობით ამ ყველაფერმა ამოიწია ზემოთ და ამ მიმდინარეობას უფრო მეტი მსმენელი ჰყავს.

**როგორ ფიქრობ, გაქვს ის ინდივიდუალიზმი, რომელიც წესით ყველა კარგ ემსის უნდა ახასიათებდეს? რითი ხარ შენ განსხვავებული ამ ჟანრის სხვა შემსრულებლებისაგან?**

არ ვიცი... ალბათ, პირველ რიგში იმით, რომ ყველაფერს ვაკეთებ ჩემთვის და გარშემომყოფი ადამიანებისთვის. თან ამას არ ვუყურებ, როგორც ძალიან ბევრ სხვა რამეს. მარტივად რომ ვთქვათ, მივედ-მოვედები არამხოლოდ მუსიკას. მუსიკის კეთება ჩემი არსებობის ერთ-ერთი ასპექტია. არასდროს არ მქონია ის შემართება, რამე განსხვავებული გამეკეთებინა. უბრალოდ, ყოველთვის რაღაცას ვაკეთებდი და მერე ხალხი ხვდებოდა, რომ განსხვავდება იმ ყველაფერისგან, რასაც დღეს სხვები აკეთებენ.

**როგორც ნიკა, ასევე შენც გარკვეულწილად ელექტრონულ მუსიკაზე მუშაობ. როგორც ვიცით, მუსიკის კეთება მამამ გასწავლა, ახლა კი დამოუკიდებლად „ჩალიჩობ“. უფროსი მაჩაიძის გარდა, ვინ დაგეხმარა იმაში, რომ მუსიკოსად ჩამოყალიბებულიყავი?**

რეალურად, მამაჩემს არ უსწავლებია მუსიკის კეთება. მან, უბრალოდ, დამსვა კომპიუტერთან, ჩამირთო პროგრამა და რომ ვკითხე, რა როგორ უნდა გავაკეთო-მეთქი, მითხრა: მეც ეგრე დავჯექი და ვისწავლე, მიდი და ახლა შენ ისწავლეო. რამდენიმე წელი უბრალოდ ვიჯექი და რაღაცებს ვაკეთებდი. მერე ნელ-ნელა ვისწავლე. ვუსმენდი ნიკას და ვცდილობდი გამეკეთებინა, მაგალითად, ერთი კონკრეტული ტრეკი, რომელიც ათ ტრეკს ერთად გავს. დღესდღეობით ვცილდობ, რომ გავაკეთო მუსიკა, რომელიც იქნება ანალოგი, ვთქვათ, წვიმის ხმის; ის არის ქაოტური და მუდმივი, რომელსაც მთელი ღამე შეგვიძლია ვუსმინოთ. ანუ, ტრეკი თუ კარგია, შეგვიძლია ჩავრთოთ და ვუსმინოთ მთელი ღამე. ამ შემთხვევაში, რეჩიტატივიან მუსიკაზე აღარ ვლაპარაკობ, უფრო ვლაპარაკობ ბით მუსიკაზე. ბევრ სხვა მუსიკალურ ჭრილში ვმუშაობ, უფრო დიდი ინტერესი მაქვს კეთების, ვიდრე პროდუქტის მიღების. ნიკაც სულ ამას ამბობს, ყველაზე მნიშვნელოვანია, ექსპერიმენტები აკეთო და გაერთო ამ ყველაფრით, იმიტომ რომ, რეალურად, მაგისთვის ვაკეთებთ ყველაფერს.

რეალურად, მამაჩემს არ უსწავლებია მუსიკის კეთება. მან, უბრალოდ, დამსვა კომპიუტერთან, ჩამირთო პროგრამა და რომ ვკითხე, რა როგორ უნდა გავაკეთო-მეთქი, მითხრა: მეც ეგრე დავჯექი და ვისწავლე, მიდი და ახლა შენ ისწავლეო. რამდენიმე წელი უბრალოდ ვიჯექი და რაღაცებს ვაკეთებდი. მერე ნელ-ნელა ვისწავლე. ვუსმენდი ნიკას და ვცდილობდი გამეკეთებინა, მაგალითად, ერთი კონკრეტული ტრეკი, რომელიც ათ ტრეკს ერთად გავს.

**ფიქრობ, რომ ჩამოყალიბდი როგორც დამოუკიდებელი არტისტი? რა დაგეხმარა? თვლი, რომ ძიების პროცესი დასრულებულია?**

ძიების პროცესი არასდროსაა დასრულებული და მეც არასდროს ჩამოვყალიბდები, ალბათ. ვერ ჩამოვყალიბდები, უბრალოდ... ამ პლანეტაზე შეუძლებელია ჩამოყალიბდე – ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ვთვლი, რომ ძალიან შემიწყო ხელი გარემომ, ჩემს გარშემო ყველა რაღაცას აკეთებდა: დედაჩემი მხატვარია, მამაჩემი – მუსიკოსი. ეს ყველაფერი ძალიან დამეხმარა და ბიძგი მომცა, მივსულიყავი იქამდე, სადამდეც ახლა ვარ. ვუყურე, რა როგორ კეთდება და ამ ყველაფერთან ერთად, კიდევ ჩემი გამიჩნდა. უკვე ნასწავლს ჩემი დავამატე, ეს ყველაფერი ერთად შევკარი და კიდევ სხვა მიზნით წავედი.

**ვიცით, რომ ნიკასთან ერთად ალბომის ჩაწერაზე მუშაობ. გვაინტერესებს, რაიმე ჟანრობრივ ცვლილებას ხომ არ გეგმავთ? უკვე იცით, როდისთვის გამოვა გაყიდვაში, რა ერქმევა და რამდენი კომპოზიცია შევა ალბომში?**

დაწყებული გვაქვს, მაგრამ ჯერ აზრზე არ ვარ, როდის გამოვა ალბომი. სულ ასეა: ერთ ტრეკს გავაკეთებთ, მერე დრო გადის და ვიკიდებთ... რამდენიმე ტრეკი უკვე გვაქვს, მაგრამ არც ნიკას სცალია, რომ სულ ასე დავსხდეთ. თან მას არ „ევასება“ სახლში ასე დაჯდომა და მუშაობა: უნდა გადმომიგზავნოს, გადავუგზავნო; გადმომიგზავნოს, გადავუგზავნო... ალბომს რა ერქმევა, ზუსტად არ ვიცი. ეს ყველაფერი ბოლოს წყდება ხოლმე. მე ძალიან მარტივად შემიძლია დავუჯდე და ერთ კვირაში დავასრულო ჩემი მუსიკის კეთება. სულ ეგრე ვაკეთებ. რაღაცებს ვპოსტავ, რაღაცებს – არა. კვირაში 3-4 ტრეკს ყველა ვარიანტში ვაკეთებ, ეს ყოველდღიური პროცესია.

**სანამ ალბომის კეთებას დაიწყებდით პროფესიონალურ დონეზე, იქამდე თუ გიმუშავია ნიკაკოისთან ერთად? გვიამბე, როგორია მამაშენთან ერთად მუშაობის პროცესი.**

მიმუშავია, კი. ძალიან მარტივი და საინტერესოა. მამაჩემი მაძლევს ბიტს, მერე მივდივარ სახლში და ვწერთ ხოლმე ამ ყველაფერს. სამი წლის წინ მიყიდა მიკროფონი და იმის მერე ყველაფერს დამოუკიდებლად ვწერ. მე და მამაჩემი ერთად იშვიათად ვაკეთებთ მუსიკას. უფრო ცალ-ცალკე ვმუშაობთ, რაც გაცილებით საინტერესოა. ისედაც მთელი ცხოვრება ერთად ვართ და სულ მუსიკა რომ ვაკეთოთ, უკვე ჩამოვყალიბდებით მამა-შვილის დუეტად.

**რამდენად მომგებიანი ბიზნესია მუსიკის კეთება საქართველოში? ვინ არის თქვენი ალბომის პოტენციური მყიდველი? ამაზე ფიქრობთ საერთოდ, თუ თქვენთვის ხელოვნების შექმნის იდეა უფრო მნიშვნელოვანია?**

ბიზნესის თვალსაზრისით საქართველოში აზრი არ აქვს მუსიკის კეთებას იმიტომ, რომ არაფერი გაყიდვადი არ არის. პარალელურ რეჟიმში, CD უკვე მოკვდა (არამარტო საქართველოში) და მის გამოშვებას აზრი არ აქვს. დღესდღეობით მუსიკოსი უნდა უშვებდეს „ვინილებს.“

CD-ის 16 ტალღა აქვს, „ვინილს“ – 24. მას ყველაზე კარგი ხარისხი აქვს, თუმცა საქართველოში არ იბეჭდება. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავის მუსიკა გამოსულა „ვინილზე.“ CD-ზე გამოუშვებ თუ ინტერნეტში დადებ, არ აქვს მნიშვნელობა. თან საქართველოში არავინ იყიდის... მაინც ყველა ინტერნეტიდან იწერს. მე ეს ძალიან მომწონს: ყველაფერი ხელმისაწვდომია, ყველაფერი შეგიძლია – პირატული სისტემაა.

**ვინ გეხმარება მუსიკალური ვიდეოკლიპების შექმნაში? გვიამბე ამ პროცესის შესახებ.**

მე თვითონ ვაკეთებ ამ ყველაფერს; რა კლიპიც გამიკეთებია, ყველა ჩემია. „ტაქსი“ საბა შენგელიამ გადაიღო, დანარჩენი – ყველაფერი ჩემი გაკეთებულია, რეჟისორი მე ვარ. ერთი „შორთ მუვი“ (Neo Tbs) გამიკეთეს ჩემმა მეგობრებმა, ნატა სოფრომაძემ და მაკა კუკულავამ.

**ფაქტი სახეზეა, რომ Body Art გაინტერესებს. პირველი ტატუ როდის გაიკეთე? რას ნიშნავს შენთვის ეს ტატუები?**

პირველი ტატუ გავიკეთე 13 წლის რომ ვიყავი – ნოტი. მინდოდა ტატუ და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მარტივად გადავწყვიტე. 60-მდე ტატუ მაქვს, მაგრამ ნელ-ნელა მივხვდი, რომ ტატუები არ მაქვს. მერე ეს ნოტიც გაქრა და მის მაგივრად გაჩნდა ხე – მეორე ტატუ. მერე მივხვდი, რომ ეს არის უბრალოდ რუკა. ტატუების ყველაზე სწორი მაგალითია ფილმი „მემენტო“, სადაც ყველაზე სწორად აქვს გაკეთებული იმ ტიპს „ტატუიროვკები“. ტატუირებით რეალურად ნიშნებს ისვამ, რომ არ დაგავიწყდეს წარსული… უბრალოდ, ფურცლის ნაცვლად, ხელზე იწერ. ზოგ ტატუს ფუნქციაც აქვს. ერთი, რაც მე და ირინას გვაქვს, ეს არის „ძილის პანელები.“ მაქვს „კომპასი“ და „რუნები“ და კიდევ ბევრი სხვა რაღაცები. უფრო შამანური „ტატუიროვკები“ მაქვს, რასაც გარკვეული მუხტი აქვს ჩემთვის. მათ სხვადასხვა ფუნქციები აქვთ. ზოგი საერთოდ არაფერს ნიშნავს. მაწერია „ართიფიშელ ფერედაის“ და „მოუსმინე ქალაქს, როგორ სუნთქავს.“ წარწერები მაქვს, რომლებიც მახსენებს, თუ რა უნდა ვაკეთო…

**მე მგონია, რომ იმიჯი არ არსებობს. ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ უცნაურად ჩაცმულ ტიპს რაღაც იმიჯი აქვს, ცოტა მეაბსურდება. წარმოიდგინეთ, რომ არის აპოკალიფსი. ტიპი მოდის და კიდია ძალიან ბევრი დურბინდი, ხმალი, წყალი, გაცრეცილი ტანსაცმელი აცვია და ძალიან მაგარი იმიჯი აქვს. არადა, ამ ტიპს იმიჯი არ აქვს, ამ მიზნით არ გაუკეთებია ეს ყველაფერი. მას წყალიც სჭირდება და დურბინდიც; ეს ტანსაცმელი ამინდთან არის დაკავშირებული და ეს ყველაფერი საჭიროა. ეს იგივეა დღევანდელ რეალობაშიც, ოღონდ ახლა სხვანაირი აპოკალიფსია.**

**რამდენად მნიშვნელოვანია მუსიკოსისათვის იმიჯი? გეხმარება თუ არა შენი სტილი (თუნდაც სხეულის მოხატულობა) ინდივიდუალიზმის ხაზგასმაში?**

მე მგონია, რომ იმიჯი არ არსებობს. ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ უცნაურად ჩაცმულ ტიპს რაღაც იმიჯი აქვს, ცოტა მეაბსურდება. წარმოიდგინეთ, რომ არის აპოკალიფსი. ტიპი მოდის და კიდია ძალიან ბევრი დურბინდი, ხმალი, წყალი, გაცრეცილი ტანსაცმელი აცვია და ძალიან მაგარი იმიჯი აქვს. არადა, ამ ტიპს იმიჯი არ აქვს, ამ მიზნით არ გაუკეთებია ეს ყველაფერი. მას წყალიც სჭირდება და დურბინდიც; ეს ტანსაცმელი ამინდთან არის დაკავშირებული და ეს ყველაფერი საჭიროა. ეს იგივეა დღევანდელ რეალობაშიც, ოღონდ ახლა სხვანაირი აპოკალიფსია – ცოტა ხალხმრავალია. გადატვირთული ქალაქია, სადაც ბევრი ხალხია და სხვა რაღაცებია საჭირო. ამ ქვებს „звездная небо“ („ვარსკვლავებით მოჭედილი ცა“) ქვია, რუსულად ყველაზე მეტად მიყვარს მისი სახელი; მიკეთია აგატი, ზურმუხტი, მთვარის ქვა, გიშერი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ქვაა. ეს ქვები მიყვარს თავისი ენერგეტიკით და ამის გამო უფრო მჭირდება. ბეჭედს მარტივად ატარებ. კიდევ, ქეისებით დამაქვს ხოლმე სხვადასხვა ქვები. ეს არის ჩემთვის კონკრეტული ობიექტი, რომელიც ხელში მიჭირავს… ძალიან ხშირად ხეები დამაქვს და ეს ყველაფერი რაღაცნაირად მჭირდება. მაქვს ნამდვილი ყვავის ფეხი და კრიალოსანი. ეს ყველაფერი არის ძალიან მნიშვნელოვანი არსებობისთვის, სულ ამას ვამბობ. ალბათ, ვიღაც რომ მიყურებს, ფიქრობს, მეც იმიჯი მაქვს. მე კი ვთვლი, რომ ის არ არსებობს. შეიძლება სუბიექტურია ეს ყველაფერი და ჩემგან გამომდინარეობს. ჩემ მეგობარს აქვს ძალიან მაგარი ტატუ – „Nothing is true and everything is permitted“ („სიმართლე არ არსებობს, ყველაფერი ნებადართულია“). მე და ნებისმიერ ადამიანს შეგვიძლია, დავინახოთ სამყარო ისე, როგორც გვინდა. „Everything is changing depending on the color of the glasses you are looking through“ („ყველაფერი იცვლება იმის მიხედვით, რა ფერის სათვალიდანაც იყურები“) – ჯარმუშის კინოში ამბობს ერთი ტიპი. მნიშვნელოვანი სიტყვებია – ყველაფერი განპირობებულია, ყველაფერი სუბიექტურია.

**შენთან დასაკავშირებლად რამდენიმე დღე დაგვჭირდა. საინტერესოა, ფიქრობ თუ არა ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების გაკეთებაზე? ასე ხომ უფრო მარტივი იქნება ერთი მხრივ პიარი და ამის მერე, საზოგადოებასთან, მსმენელთან ურთიერთობა…**

ახლა გავაკეთე ვებ-გვერდი, რომელსაც ჰქვია llttffrr.com. ვცდილობ, რომ არ ვჩანდე; ვცდილობ, ჩემთვის ვიყო და არავინ შევაწუხო და არც მე შემაწუხონ, იმიტომ რომ სოციუმში მუდმივად ფიგურირება დისკომფორტს მიქმნის. არ მინდა, ვინმეს დისკომფორტი შევუქმნა და ამით მეც შემექმნას დისკომფორტი. არ მიყვარს კამათი, რადგან ვთვლი, რომ სიმართლე ყველაფერშია: ყველა ადამიანს აქვს თავისი სიმართლე. ამიტომ არ მიყვარს არავისთვის ჩემი სიმართლის მტიცება და არ მიყვარს, რომ ხალხი თავის სიმართლეს მიმტკიცებს. მაქსიმალურად ვცდილობ, გამქრალი ვიყო და თუ ვიღაცას მართლა ჭირდება ჩემი ნახვა, ბოლოს, მაინც მპოულობს ხოლმე.

**შენი აზრით, რა აკლია ყველაზე მეტად ქართულ ხელოვნებას, ამ შემთხვევაში მუსიკას? რატომ არ იქცა ქართული ბენდების შემოქმედება სახალხო მუსიკად? თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს (LOUDspeakers, არა და ა.შ.)**

ძალიან ბანალურ პასუხს გაგცემთ, რაც ჩემთვის სულაც არ არის ბანალური. საქართველოში ძალიან არასწორი ნარკოპოლიტიკაა. ჩემი აზრით, ხალხს არ უნდა იჭერდნენ მარიხუანის გამო. კოლორადოში უკვე ავტომატები დგას – შეგიძლია ხურდა ჩააგდო, ID-ბარათი გაუსვა და „გალოვკები“ ჩამოაგდოს. მოსაწევით

**არ მიყვარს კამათი, რადგან ვთვლი, რომ სიმართლე ყველაფერშია: ყველა ადამიანს აქვს თავისი სიმართლე. ამიტომ არ მიყვარს არავისთვის ჩემი სიმართლის მტიცება და არ მიყვარს, რომ ხალხი თავის სიმართლეს მიმტკიცებს. მაქსიმალურად ვცდილობ, გამქრალი ვიყო და თუ ვიღაცას მართლა ჭირდება ჩემი ნახვა, ბოლოს, მაინც მპოულობს ხოლმე.**






უკვე კიბოს და შიზოფრენიას მკურნალობენ. ამის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ერთი ტარიანის გამო შეიძლება 7 წელი ჩაჯდეს ვიღაც – სრული აფსურდია. ამას ძალიან დიდი გავლენა აქვს მუსიკაზე. მე არ ვგულისხმობ მძიმე ნარკოტიკებს, ვლაპარაკობ მოსაწევზე. ვთქვათ, მაღაზიებში და ბარებში ტიპმა მოწია. ის გავა რაღაცების დასათვალიერებლად, სადღაც მუსიკასაც მოუსმენს, მშვიდი აურა დაყვება და ბევრი რამის მიმართ უჩნდება ინტერესი.

მე როგორი ტიპი ვარ, იცით? თუ არ მოვწიე, არ შემიძლია ისეთი მუსიკის სმენა, რომელიც მიყვარს, იმიტომ, რომ ძალიან ჰიპერაქტიული ვარ და ასე ვმშვიდდები. ფიზიკურად უკვე შემიძლია ვიჯდე (ბავშვობაში ეგეც არ შემეძლო). ტვინი როგორ მიფუნქციონირებს, იცით? ძალიან ბევრ რამეზე ვფიქრობ ერთად, ძალიან ბევრ ინფორმაციას ვისრუტავ და ყველაფრის გაანალიზებას ვცდილობ. ვთქვათ, იმ მუსიკის მოსმენა, რომელიც მიყვარს, არ შემიძლია. მჭირდება ძალიან ინტენსიური მუსიკა, რომელიც დამიჭერს. მიწევს, რომ სულ ამას ვუსმინო, ან ფონად მაინც უნდა იყოს ჩართული. ამიტომ, ვთვლი რომ ეს არის მთავარი.

ამასთან მუსიკოსებს არავინ უხდის ნორმალურად, იმიტომ რომ არ არის კლუბები. საერთოდ, ეს კულტურა არ არის განვითარებული. მოკლედ, პირველი ბიძგი ამ ყველაფრის არის ის, რომ მარიხუანა იყოს დეკრიმინალიზებული და ხალხს არ უნდა იჭერდნენ კრეტინობების გამო. იმ დღეს ჩემს მეგობარს აჯარიმებდნენ, მხოლოდ იმიტომ რომ ოპერატორთან ერთად იყო ასული იყალთოს გორაზე და პატრულს რაღაც ეჭვი გაუჩნდა: „რას უნდა შვრებოდეს ორი ტიპი იყალთოს გორაზე“ და მიადგა... იცით, ეს როგორი აფსურდია? ე.ი. არ შეიძლება, ქუჩაში გაისეირნო. მე მინდა, ქუჩაში დავჯდე ტროტუარზე, იმიტომ რომ მაინტერესებს და მინდა ქვედა პერსპექტივიდან შევხედო ადამიანების მიმოსვლას. მინდა დავაკვირდე, როგორ მოძრაობენ ადამიანები, როცა მათ არ უყურებ სახეში და უყურებ მხოლოდ ფეხებს. ჩემთვის ეს ყველაფერი



**მუსიკოსებს არავინ უხდის ნორმალურად, იმიტომ რომ არ არის კლუბები. საერთოდ, ეს კულტურა არ არის განვითარებული. მოკლედ, პირველი ბიძგი ამ ყველაფრის არის ის, რომ მარიხუანა იყოს დეკრიმინალიზებული და ხალხს არ უნდა იჭერდნენ კრეტინობების გამო.**

საინტერესოა და ტყის „ობრაზს“ ქმნის. ვთქვათ, ეგ მაინტერესებს და დავჯექი. ამ დროს ძალიან დიდი შანსია, პოლიციელი მოგადგეს და გითხრას: „ეე, რატომ ზიხარ აქ, შენ ალბათ ეწევი!“ – მარაზმია... მერე როგორი რაღაცები ჩნდება, იცით? უკვე აღარ შეიძლება დაჯდომა, აღარ შეიძლება გასეირნება – რაც შეიძლება რეალურად, ის, თურმე, არ შეიძლება. ეს არის კანონები, რომელიც იურიდიულად არ არსებობს, მაგრამ სადღაც მაინც ფიგურირებს.

**„სისტემა უნდა დაინგრეს“ – მუსიკოსების მიერ სიმღერით გამოხატული პროტესტი, რომელსაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ინტერნეტსივრცეში. როგორ ფიქრობ, რამდენად შეძლო ამ სიმღერამ ადამიანების უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება ქვეყანაში?**

ამ სიმღერას რაც უნდა გაეკეთებინა, ის გააკეთა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ მხარი დაგვეჭირა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სისტემამ ზიანი მიაყენა, კიდევ ბევრი ადამიანისთვის, ვისაც ეს შეეხო. თუმცა, სისტემა ვერ დაინგრევა. „სისტემა უნდა დაინგრეს“ – ეს მუდმივი შეძახილია, რომელიც არასოდეს მოხდება, მაგრამ თუ არ ვთქვით, ეგრეც არ „მოსულა“. პარალელს გავავლებ: შეიძლება მთელი ცხოვრება ეძებო და ვერასოდეს იპოვო. მაგრამ ძებნა არ უნდა შეწყვიტო იმიტომ, რომ მაშინ პოულობ, როცა ეძებ. სისტემა მაშინ ინგრევა, როდესაც გამოხატავ ამას; სისტემა შენში უნდა დაანგრიო და არა გარშემო. ვიღაცებმა სწორად მიიღეს ეს მესიჯი; ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ ჩვენ რომელიმე პარტიის მხარეს ვართ; ვიღაცებს უბრალოდ უზრდელები ვგონივართ. ალბათ, ყველა მართალია, იმიტომ რომ დედამიწაზე ნებისმიერი პერსპექტივა სწორია.

**„ამ სიმღერას რაც უნდა გაეკეთებინა, ის გააკეთა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ მხარი დაგვეჭირა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სისტემამ ზიანი მიაყენა, კიდევ ბევრი ადამიანისთვის, ვისაც ეს შეეხო. თუმცა, სისტემა ვერ დაინგრევა. „სისტემა უნდა დაინგრეს“ – ეს მუდმივი შეძახილია, რომელიც არასოდეს მოხდება, მაგრამ თუ არ ვთქვით, ეგრეც არ „მოსულა.“**

**ძველი სისტემის დანგრევიდან ორ წელზე მეტი გავიდა. გვაინტერესებს, რას ფიქრობს ამ ქვეყნის მოქალაქე მაქს მაჩაიძე დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებზე.**

ახალ სისტემასაც დავანგრევდი და ამის მერე რომელიც იქნება იმასაც. ნებისმიერი სისტემა არის არაკორექტული. ყოველთვის ვცდილობ, რომ აპოლიტიკური ვიყო, მაგრამ სადღაც ანარქისტიც ვარ და რადიკალიც, ძალიან პარადოქსულიც. საკუთარ თავს უარვყოფ ყოველ წინადადებაში და ამავდროულად ვეთანხმები. ერთხელ მკითხეს, აპოლიტიკური რატომ ხარო. აპოლიტიკური ვარ ამ კონკრეტულ ვითარებაში, დღევანდელ რეალობაში, თორემ ჩემი პოლიტიკა, ალბათ, მაქვს. ყველას აქვს თავისი პოლიტიკა; ყველას აქვს თავისი აქსიომები და იდეაფიქსები; ყველა რაღაცას გააკეთებდა და შექმნიდა, მაგრამ მე არასდროს მდომებია, რომ ვყოფილიყავი რაღაც სისტემის ნაწილი. ვცდილობ მაქსიმალურად მოვწყდე ამ ყველაფერს. არსებობს კორექტული სისტემა, ვთქვათ, ბუშიდო... უხეში მაგალითია, მაგრამ სამურაების კოდექსი არის ძალიან მნიშვნელოვანი სისტემა. მაგალითად, სამურაის რომ ბატონი უკვდება, მან ხარაკირი უნდა გაიკეთოს, რომ სამურაიდ დარჩეს. იმისდა მიუხედავად, რომ ყველაზე დიდ პატივს ვცემ ბუშიდოს, ამაზე მეტად მიყვარს რონინები – სამურაები ბატონის გარეშე. რონინი არ იკეთებს ხარაკირს, იმიტომ რომ თავისი მიზანი აქვს. ის არ თვლის, რომ არსებობს მასტერი, ვის გამოც შეიძლება დაამთავროს თავისი სიცოცხლე. მე, ალბათ, რონინი ვარ, იმისდა მიუხედავად, რომ ხმალი არ დამაქვს და გეტოს პერიოდიც არ არის. საქართველოში ვართ და აქ სულ სხვა სტრუქტურა აქვს ყველაფერს.

**უნდა ელოდოს თუ არა მსმენელი უახლოეს მომავალში შენგან საპროტესტო სიმღერას. მაგალითად, როგორიც იყო „სისტემა უნდა დაინგრეს.“ შენი აზრით, არაფერია ახლა გასაპროტესტებელი? იგივე ნარკოპოლიტიკაზე რომ დაწერო რამე?**

მივხვდი, რომ ჩემ გარშემო მყოფ ადამიანებს უნდა მოვუფრთხილდე და გავაპროტესტო უფრო მარტივად. რომ გამოვიდე ისევ და ყვირილი დავიწყო, აზრი არ აქვს, არაფერი შეიცვლება. ერთხელ ვიყვირე და, ალბათ, ძალიან კარგი ვქენი. ახლა ყვირილით აღარ ვცდილობ რაღაცების შეცვლას, პირიქით – ვცდილობ, რომ ამ ქვეყნიდან წავიდე და დავბრუნდე უკან. მინდა შემეძლოს ჩემ გარშემო მყოფ ადამიანებს, ვინც რაღაცას აკეთებს, ხელი შევუწყო (ალბათ, ყველა მაგას ცდილობს). ამით გამოიხატება ჩემი პროტესტი. ვცდილობ, რომ აქაური სისტემით არ ვიცხოვრო და ჩამოვაყალიბო ჩემი სისტემა, რომლითაც შევძლებ დავეხმარო სხვა ადამიანებს. ალბათ, ეგ არის ჩემი პროტესტი.

**როგორც ვიცით, გაგა რაზმაძის მოკლემეტრაჟიან ფილმ „შავ თუთაში“ მთავა–**

კატა ყველაზე მაგარი ცხოველია ქალაქში, რომელიც ურბანულ გარემოს აღიქვამს, როგორც ჯუნგლებს. ჩვენთვის ქალაქი არის ჩვენს კომფორტზე გათვლილი: გვაქვს წყალი, გათბობა, სახლები, ტრანსპორტი... კატებისთვის არის უბრალოდ ექსტერიერი, რომელზეც ნადირობს, წვება, ჯდება, ხტება და მორჩა. მისი თვალთახედვიდან, ქალაქს არაფრის ფუნქცია არ აქვს და საინტერესოა.

**რი როლი გერგო, რომელიც „სანდენსის“ ოფიციალურ პროგრამაში მოხვდა. აპირებ თუ არა მსახიობობას და თუ გქონია კონკრეტული შემოთავაზებები?**

არა, იმის მერე არ მქონია. ერთი-ორჯერ რაღაც მარტივი როლები იყო, მაგრამ დრო არ მაქვს. ძალიან ძნელია... დღეში 16 საათზე მეტს ვმუშაობდით. რთულია ფილმის გაკეთება, ოპერატორიდან დაწყებული – ნებისიერი სტაფის წევრით დამთავრებული. თუმცა ძალიან მსიამოვნებს ფილმის გადაღების პროცესი. საერთოდ, ძილი არ მიყვარს, მაგრამ სიზმრები მიყვარს. ვცდილობ, 5 საათი მეძინოს, იმიტომ რომ დღე გავაკეთო რაღაცები: ვიმუშავო იქამდე, სანამ წაიქცევი. სიზმრები ძალიან მიყვარს, თუმცა ირინას ვეუბნები ხოლმე, საბანი წამართვას და წყალი შემასხას, რომ მაინც ადრე ავდგე.

**მუსიკის გარდა, რითი ხარ დაკავებული? თავისუფალი დრო თუ გაქვს და რისი კეთება გსიამოვნებს ყველაზე მეტად?**

თავისუფალი დრო რა არის? მე სულ თავისუფალი დრო მაქვს. სტუდიაც ჩემთვის თავისუფალი დროა. სტუდია სახლში მაქვს მოწყობილი და ამ ბოლო დროს არსად დავდივარ, არც შაბათ-კვირას. 24 საათი მუსიკას თუ არ ვაკეთებ, ვწერ... თუ არ ვწერ, ვხატავ და თუ არ ვხატავ, რაღაცას ვაწყობ. სულ ვცდილობ, ვიპოვო ახალი საქმე, რისი კეთებაც შემიძლია. სულ ახალ-ახალ რაღაცებს ვაკეთებ და ვცდილობ, რომ არ გავჩერდე. თავისუფალ დროს ვუყურებ ფილმებს და ცოტ-ცოტას ვკითხულობ. ყველაზე მეტად მიყვარს: ხერხვა, ობიექტების აწყობა, მუსიკის კეთება და ხატვა. სკეიტერი თეორიულად ვარ, მაგრამ ახლა მგონი აღარ ვარ, იმიტომ რომ არ ვმდგარვარ დიდი ხანია. სკეიტ კულტურა არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ურბანული კულტურა, რომელიც გაჩნდა ქალაქთან ერთად, თან ძალიან ახალგაზრდაა. სკეიტბორდინგი არის მოძრავი არქიტექტურა და მუდმივად ცვლის ექსტერიერს. სკეიტბორდებს მეც ვაკეთებ.

ძალიან მნიშვნელოვანია ტარება. ძველად ცხენებს აჭენებდნენ. უბრალოდ მოძრაობა არაფერია ქალაქში; გამოდიხართ და მოძრაობთ იმიტომ, რომ ეს გსიამოვნებთ. ცოტა უცნაური ცნებაა და პატივს ვცემ. რატომ? არ ვიცი... ჩემთვის ცხენი, მანქანა, ბაიკერები, სკეიტერები რეალურად ერთი და იგივეა – რაღაც ამოძრავებთ ამ ადამიანებს. სკეიტბორდინგი ძალიან ახლოსაა არქიტექტურასთან. სკეიტბორდერები რომ არ არსებობდნენ, არ იარსებებდა ფუნქციის შეცვლა. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დღესდღეობით, რითიც ვარ დაინტერესებული, არის ფუნქციების არსებობა. ადამიანი მატერიალურ რეალობას ქმნის, რომელსაც აქვს სხვადასხვა ფუნქციები: ვთქვათ, მაგიდა გააკეთეს, ზემოდან რომ დაიდოს რაღაცები და მიუსხდნენ, მაგრამ მას არავინ ატრიალებს. მაგიდა ვინც ამოატრიალა, იმას დაერქვა ხელოვანი, რაც ყველაზე მარტივი სახელია. ამ ყველაფერზე ერთხელ ვფიქრობდი და მერე ვნახე რენე მაგრიტის ნამუშევარი, რომელზეც გამოსახულია ჩიბუხი და აწერია „This is not a pipe“. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ნამუშევარი, რაც კი ოდესმე მინახავს. ჭიქა რომ ამოატრიალო და თქვა რომ ეს ჭიქა აღარ არის, ამის სრული უფლება გაქვს. ანუ, უცვლი ფუნქციას – ეს ხდება ხელოვნების ჭრილში. არსებობს როგორი რაღაცები, იცით? ვიღაცები უცვლიან ფუნქციას ნივთებს. მსოფლიოში ბოთლებით ბანაობენ და რაღაცებს იგონებენ. „Cargo Cult“ რომ დასერჩოთ, სულ ასეთი რაღაცებია. ფუნქციასთან თამაში არის, რეალურად, რაც ქმნის ყველაზე საინტერესო ნაწილს მატერიალურ სამყაროში. სკეიდბორდინგი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ ცვლის ექსტერიერის ფუნქციას, ცვლის ქალაქის ფუნქციას. პარალელურად, სკეიდბორდინგთან ერთად, კატები მინდა დავამატო. კატა ყველაზე მაგარი ცხოველია ქალაქში, რომელიც ურბანულ გარემოს აღიქვამს, როგორც ჯუნგლებს. ჩვენთვის ქალაქი არის ჩვენს კომფორტზე გათვლილი: გვაქვს წყალი, გათბობა, სახლები, ტრანსპორტი... კატებისთვის არის უბრალოდ ექსტერიერი, რომელზეც ნადირობს, წვება, ჯდება, ხტება და მორჩა. მისი თვალთახედვიდან, ქალაქს არაფრის ფუნქცია არ აქვს და საინტერესოა.

**როგორც აღნიშნე, ცოტ-ცოტას კითხულობ. გვითხარი, ბოლოს რა წაიკითხე?**

ბევრს არ ვკითხულობ, იმიტომ რომ ხშირად ვიჭედები ხოლმე. მიყვარს რაღაც ინფორმაციების კითხვა. არ ვიცი… არ მიყვარს კითხვა. მუდმივად კითხვა არ შემიძლია, იმიტომ რომ მერე ვეღარ გამოვდივარ იმ ყველაფრიდან; ვიწყებ შიგნით ცხოვრებას და ის ზედმეტად ხდება ჩემი არსებობის ნაწილი. ვცდილობ, რაც შეიძლება ცოტა წავიკითხო, იმიტომ რომ ძალიან აისახება ეს ყველაფერი ჩემზე. ახლა აღარ მახსოვს ვის წიგნს ვკითხულობდი. უცებ მომაწოდეს წიგნი დაბადების დღეზე. „Amnesia Moon“ ქვია. წიგნი არის ტიპზე, რომელსაც ქვია ქაოსი. ძალიან საინტერესო თეორიაა შიგნით: ერთმანეთის სიზმრები ესიზმრებათ ტიპებს და ვისი სიზმარიც ყველაზე მეტად დომინირებს, იმის სიზმარშია მთელი ქალაქი. უბრალოდ, პოსტაპოკალიპსური ამერიკაა და მთელი ამერიკა სხვადასხვა ადამიანების სიზმრებშია. ეს ტიპი მოგზაურობს ამ ქალაქებში, რომლებშიც სულ სხვადასხვა სისტემები მოქმედებს. ამ ტიპს უბრალოდ ჰქვია ქაოსი, არანაირი მიზეზის გამო. მათ სახელები არ ახსოვთ. ძალიან მნიშვნელოვანია ეს, იმიტომ რომ შემთხვევით არაფერი ხდება. ვიღაცის სიზმარში ქაოსს ჰქვია მთვარე… მეც გამიხარდა უცებ ეს და რატომღაც მთვარე (Luna Nine) დავირქვი თავის დროზე.

**როგორც ვიცით, შენი გაკეთებული მაისურები გეცვა ხოლმე. დაანებე ამ საქმეს თავი, თუ ახლაც შენი გაკეთებული მაისურები გაცვია?**

ვაკეთებდი, კი. ახლა რაც მაცვია, ჩემი მოფიქრებულია და ირინამ შეკერა. ახლაც ვაკეთებ ტანსაცმელს. ვცდილობ, რომ მაქსიმალურად ფუნქციონალური ტანსაცმელი გავაკეთო. ახლა მინდა გავაკეთო „პლაშები“ ძალიან ბევრი ჯიბეებით, რომ ყველაფერი ჩამეტიოს შიგნით: ქუჩაში შეგროვებული ნივთები, ქვები, კანფეტები, სიგარეტი, ყველაფერი...



ფოტოპროექტი




# ალტერნატივა

## კრიზისი, როგორც სტიმული

ავტორები: სოფო გოგიშვილი, დათო ჭუმბურიძე
ფოტო: დავით ჭუმბურიძე

ბევრი მუსიკოსი იქამდე მიდის, რომ ხელს ჩაიქნევენ და აღარ უნდათ მუსიკის კეთება. მეც მქონდა ისეთი მომენტები, როცა ვფიქრობდი, რომ აქ არაფრის კეთებას აქვს აზრი. იდეები გაქვს, რომ დაუკრა და ინსტრუმენტი არა. რაღაც დროის მერე მივხვდი, რომ ამან მეტი მოტივაცია უნდა მოგცეს.



# მებო



ვქვია Bearfox, ვართ დათვი და მელა – მე და ბეთხო. ასეთი მომენტია – ვიცი, რომ იმას გრძნობს ბეთხო, რასაც მე; მეც იმას ვგრძნობ, რასაც ბეთხო. ეს არის ყველაზე კარგი მუსიკალური კოლაბორაცია, რაც შეიძლება არსებობდეს.

მუსიკას სახლში ვაკეთებთ, მისაღებ ოთახში. ხელშემშლელი ფაქტორები არის ის, რომ დროში იწელება. ბოლო ტრეკს 3 თვეა ვაკეთებთ, ისევ და ისევ ტექნიკის გამო. ერთის კეთება დავიწყეთ და ისეთი სიმღერაა, რომ სტუდიის გარეშე არ გამოდის, ჩვენ კი არ გვაქვს ფული, რომ დავასრულოთ. ბევრი მუსიკოსი იქამდე მიდის, რომ ხელს ჩაიქნევენ და აღარ უნდათ მუსიკის კეთება. მეც მქონდა ისეთი მომენტები, როცა ვფიქრობდი, რომ აქ აზრი არ აქვს ამის კეთებას. იდეები გაქვს, რომ დაუკრა და ინსტრუმენტი არა. რაღაც დროის მერე მივხვდი, რომ ამან მეტი მოტივაცია უნდა მოგცეს.

საქართველოში მუსიკით ფულის კეთება შეიძლება თუ რესტორანში მღერი, ან თუ „გამოუვალი მდგომარეობა“ ხარ. ისევ და ისევ მეინსტრიმ მედიამდე მივდივართ. „რუსთავი 2“ ვისაც აპიარებს, ის შოულობს ფულს. მე არასოდეს გავაკეთებ არჩევანს ფულის შოვნის სასარგებლოდ და ჩემს მუსიკაზე უარის თქმის ხარჯზე.

ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობ, რომ არ ვისწავლო, ჯარში წამიყვანენ. იქ მუსიკას ვერ გავაკეთებ. რომ ვთქვა, რომ მუსიკოსი ვარ და მინდა ამის კეთება, ხვალვე ჯარში აღმოვჩნდები. არჩევანის საშუალება რომ მქონოდა, არც უნივერსიტეტში ვისწავლიდი და მთლიანად მუსიკას დავუთმობდი საკუთარ თავს. მუსიკაა ჩემი ცხოვრება.





ფოტოპროექტი

ჩვენს საქმეში ძალიან
მნიშვნელოვანია
მსმენელთან
კონტაქტი.
ვიღაც ისმენს
შენს სიმღერას,
სამაგიეროდ უკან
ემოციას გიბრუნებს.
ეს ემოციის გაცვლაა
ყველაზე მთავარი და
არა მარტო მუსიკაში.



# LOUDspeakers

**ლევანი:** ეს არის ჩვენი სარეპეტიციო. ამ ადგილს „როკის სამინისტროს“ ეძახიან.

**ლევანი:** ჩვენს საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია მსმენელთან კონტაქტი. ვიღაც ისმენს შენს სიმღერას, სამაგიეროდ უკან ემოციას გიბრუნებს. ეს ემოციის გაცვლაა ყველაზე მთავარი და არა მარტო მუსიკაში. რა თქმა უნდა, ალტერნატიული მუსიკის კუთხით, არ არის ის სიტუაცია, რასაც ჩვენ და ყველა სხვა ბენდი ვისურვებდით, რომ იყოს. თუმცა, იმაზე მეტი გვაქვს, რასაც შეიძლება ვიმსახურებდეთ.



**დათო:** შარშან ზაფხულში ესპანეთში ვიყავით ფესტივალზე. სანამ ვიტყვი, თუ რა გამოცდილება მივიღეთ, მანამდე მინდა მოვყვე, როგორ მოვხვდით იქ: ვიყავით სახელმწიფო... ვიყავით სახარო სტრუქტურებში – კულტურის სამინისტროში, მერიაში; კერძო სექტორსაც ვთხოვეთ დაფინანსება – უშედეგოდ. მერიას თუ არ ჰქონდა ფული, სამაგიეროდ მეზობელს ჰქონდა. მოგვიწია უზარმაზარი ვალების აღება იმისთვის, რომ ამდენი ნაწვალები წყალში არ ჩაგვეყარა და მაინც წავსულიყავით ფესტივალზე. ვალებს დღემდე ვიხდით. სამაგიეროდ, ფესტივალზე დავუკარით ისეთ ცნობილ შემსრულებლებთან ერთად, როგორებიცაა: Placebo, Die Antwood, Crystal Fighters… კარგად დავუკარით, დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა.





თაობა 2015



მსმენელში და მუსიკოსებში ერთი და იგივე პრობლემებია. არც ერთი არ უსწრებს განვითარებით მეორეს. რა დონეზეც მსმენელია, ის მუსიკაა ზუსტად.

# ქარჩხა & გუგა გეგეჭკორი





ფოტოპროექტი

თავიდან რაღაც უცენზურო ლექსებს ვწერდით. უცენზურო პოეზიის ჯგუფიც გვაქვს „ფეისბუკზე.“ მიმდინარეობას დავარქვით „პორნოპოეზია.“ ბევრს ვიგინებოდით. მერე ზედმეტად ცენზურიან ლექსებს ვწერდით. ბოლოს იქამდე მივედით, რაც ვართ.

ხელოვნება ხომ ისაა, რაც შენ მოგწონს და რაც ხალხს მოსწონს – სულ ამის დაპირისპირებაა. შენ შეიძლება მოგწონდეს ერთი აკორდის დაკვრა მთელი დღე და ამით იკაიფო, მაგრამ ხალხს თუ არ მოსწონს, მორჩა.

მსმენელში და მუსიკოსებში ერთი და იგივე პრობლემებია. არც ერთი არ უსწრებს განვითარებით მეორეს. რა დონეზეც მსმენელია, ის მუსიკაა ზუსტად. ერთი საზოგადოების ნაწილია ორივე და ეს გასაკვირი არაა. უნიჭოები არ ვართ. თუ ფული არის და ინდუსტრია მუშაობს, ჩვენც შეგვიძლია, მაგრამ ფული არ არის.

საქართველოში ყოფნა ძალიან დიდ ბარიერს მიქმნის, იმიტომ რომ მთელი ცხოვრება პარალელურად რაღაც დამატებითი საქმიანობის კეთება მიწევს. მეტსაც გეტყვით, ძირითადი საქმიანობა ყოველთვის სხვა არის. ხუთი წელი ვიყავი სტატისტიკოსი საქართველოს ბანკში. ხმის რეჟისორი ვარ, ივენთ მენეჯერი, კრეატივშიკიც, რავიცი ყველაფერს მოვედე. რავი, რა ვარ კიდე? პრომო ბიჭი ვიყავი. მაშინ გამხდარი ვიყავი, მაღალი, ქერათმიანი და ცისფერთვალება. მთელი ცხოვრება იმ ჭიდაობაში ვარ მთელ ქვეყანასთან, რომ მინდა სულ ვიჯდე და ვაკეთო მუსიკა, მაგრამ მერე ფული არ მექნება საერთოდ. სადღაც თავი უნდა გადადო. ალბათ, ვერ გადავდე საკმარისად თავი საქმისთვის.





# ზურა ჭავახია












რადიოში ნაგავი მუსიკა გადის, ტელევიზიაში ნაგავი, ყველგან ნაგავი. მთელ ქვეყანაში ნაგავს არეკლამებენ.

მე და გიორგი მარ-ს ერთმანეთი ნანახი არ გვყავდა, როცა ჯგუფი „ზურგი“ შევქმენით. „სკაიპით“ ვგზავნიდით მუსიკებს და ასე ვწერდით სიმღერებს. ახლა ვარჩიეთ, რომ შესვენება ავიღოთ. მე უფრო ბენდ „არა“-სკენ გადავერთე. ჩვენი პირველი სიმღერა იყო „ტრაკის ქიცინი.“ მთავრობა ახალი შეცვლილი იყო და იმას მივუძღვენით.

მუსიკას აკეთებ იმიტომ, რომ შენი მოთხოვნები, სურვილები, ამბიციები დაიკმაყოფილო. მერე გაქვს კონცერტი, რომელზეც ან მოდის ხალხი, ან არა. უფრო ხშირად ვხედავ კონცერტებს, სადაც თითქმის არავინაა. რადიოში ნაგავი მუსიკა გადის, ტელევიზიაში ნაგავი, ყველგან ნაგავი. მთელ ქვეყანაში ნაგავს არეკლამებენ.

„არას“ ზაფხულში ჰქონდა გასტროლები. საქართველოს ბევრ ქალაქში ვიყავით და არ არის ადგილი, სადაც ბენდი დაკვრას შეძლებს. თუ არის, ისეთია, რომ არ არის.

საზღვარგარეთ კი მეტი ხელშეწყობა აქვთ მუსიკოსებს, მაგრამ „მე რომ იქ ვყოფილიყავი,“ რა არის, რა ლაპარაკია?! რაღა იმას ვიძახით, იქ ვიყოთ, ბარემ ვთქვათ, „მე რომ ვყოფილიყავი კრის მარტინი.“ არის ის კრის მარტინი თავისთვის, ორ კაპიკს შოულობს. არ ვართ ჩვენ კრის მარტინები და ჯიმ მორისონები. მე ვარ ადამიანი, რომელიც ამას აკეთებს შოუში და არა ცხოვრებაში.



ბევრ შეზღუდვას ქმნის ის, რომ საქართველოში ვარ. მასშტაბი ცოტაა და შესაბამისად ვერასოდეს ამოიღებ იმ ინვესტიციას, რასაც ჩადებ. აქ მუსიკის კეთებით, უბრალოდ, შენსას „ისწორებ."

# მარი მეტრეველი

ფოტოპროექტი

ალტერნატიულ მუსიკაში თავისუფლებაა მთავარი. ალტერნატიული მუსიკა სტერეოტიპებს გამსხვრევინებს, მსოფლმხედველობაზე მოქმედებს, რაღაცას გიცვლის. ამ თავისუფლების ნაკლებობაა საქართველოში. შესაბამისად, ყოველთვის ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ ვართ და სტერეოტიპებით ვცხოვრობთ.

არც მახსოვს, როდის დავიწყე მუსიკის წერა. ღრმა ბავშვობაში. ყველანაირ ჟანრს ვუსმენდი – ყველაფერში მაქვს ყური გაზელილი. ჯგუფ „ყველაში" შემთხვევით აღმოვჩნდი. სიმღერისთვის „სამშობლო" ჭირდებოდათ გოგოს ვოკალი. დამირეკეს და მართლა სამშობლოში აღმოვჩნდი. არ იყო დაგეგმილი, რომ ბენდის წევრი გავხდებოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მქონდა რაღაც საჭირო ჯგუფისთვის.

„ყველა" – ეს არ არის ის მიმდინარეობა, რაც ჩვენ მოგვწონს. პაროდია ჯგუფი ვართ. არაფერს ჩვენსას არ ვამბობთ. იმას ვაკეთებთ, რაც, მამას კი არა, ყველას უნდა.

ბევრ შეზღუდვას ქმნის ის, რომ საქართველოში ვარ. მასშტაბი ცოტაა და შესაბამისად ვერასოდეს ამოიღებ იმ ინვესტიციას, რასაც ჩადებ. აქ მუსიკის კეთებით, უბრალოდ, შენსას „ისწორებ."





# კაპრალი ყანჩაველი

ავტორი: ანასტასია ცირეკიძე

„ვწუთი თავი მიწაში მქონდა, რას ვგრძნობდი? ვერაფერს. არა, ვერაფერს ვგრძნობდი და არაფერზე ვფიქრობდი. რაზე უნდა მეფიქრა? დედაზე? არა, არც გადარჩენაზე და არც სიკვდილზე. მერე 40 წუთი ისევ ისროდნენ. თვითმფრინავში გავიღვიძე, ვღრიალებდი, ფეხი არ მომაჭრათ-მეთქი. მერე აღარ მახსოვს. მერე თვალი საავადმყოფოში გავახილე, უკვე კალიფორნიაში ვიყავი. გზა ავღანეთიდან მეორე კონტინენტამდე როგორ გავიარე, არ მახსოვს. პირველი, რაც დავინახე, ცალი ფეხი იყო, მეორეს ვერ ვხედავდი, ვერ ვგრძნობდი. აი, მაშინ კი ვიფიქრე, დედაჩემს როგორ ვუთხრა, ცალი ფეხი არ მაქვს-მეთქი. მაგრამ ექიმმა ფეხზე გადამხადა და დავინახე, რომ ფეხი ადგილზე იყო. რამდენიმე ოპერაცია გამიკეთეს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დამიფინანსა. ისევ გავიარე ფეხზე, კვლავ დავბრუნდი ჯარში.“

ეს კაპრალი სანდრო ყანჩაველის მონათხრობია, რომელიც 18 წლისა ავღანეთში, ნაღმზე აფეთქდა. სანდრო ამერიკის ჯარში მსახურობდა, ავღანეთში სპეციალურ წვრთნებზე იყო.

დაიბადა თბილისში, 1994 წლის 31 ოქტომბერს, ახლა 20 წლისაა. კლასელები ვიყავით. ვერასდროს წარმოვიდგენდი, როდესმე სანდრო ყანჩაველზე სტატიას თუ დავწერდი. როგორ უნდა წარმომედგინა?

ერთხელ ექსკურსიაზე ავტობუსს ყველა ბორბალი დანით დაუფუშა იმ იმედით, რომ მარტყოფში დავრჩებოდით. ერთხელ ჩვენი კლასელი წებოთი სკამზე დააწება. აქ რომ ვერაფერი მოუხერხეს, მეცხრე კლასში მშობლებმა ამერიკაში გაუშვეს სასწავლებლად. არიზონაში „სანტ პოლის მოსამზადებელი სკოლა“ დაამთავრა და მინესოტას „სანტ ტომასის“ უნივერსიტეტში ჩაირიცხა. პირველ კურსზე კარგად სწავლობდა, ლექციებს ესწრებოდა. მერე მეგობარი ჩააკვდა ხელში.

„ტაილერ მილერი ერქვა. სპიდბოლი ავიტანე ტაილერთან სახლში, ჰეროინის და კოკაინის ნაზავია. არ გაგიკვირდეს, იქ ახალგაზრდები სულ ასე ერთობიან.“

– უთხარი, რომ ბევრი არ გაეკეთებინა?

– არა არ მითქვამს, არც მიფიქრია, რომ რამე მოუვიდოდა, გაიკეთა და ხელებში ჩამაკვდა. მერე მეც გავიკეთე, მაგრამ ნაკლები დოზა.

მერე ოთხჯერ დაამტვრია მანქანა. დედა ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, უფრო ახლოს რომ ყოფილიყო თავის შვილთან. ძმებიც ჰყავს, ორი უფროსი ნახევარ-ძმა. ურთიერთობა არ აქვს, მამა უშლიდა, კარგს ვერაფერს ისწავლი მათგანო.

„დედა ამერიკაში ჩამოვიდა, მაგრამ თვიდან თვემდე ვერ მნახულობდა. მოტოციკლით დავდიოდი, ფხიზელი არასდროს ვიყავი. უნივერსიტეტიდანაც გამომაგდეს. უფრო სწორად, წამოვედი. თბილისში მინდოდა. თბილისში სულ მინდოდა. დედაჩემმაც 2 კვირით წამიყვანა. ყველამ გაიგო, რაც მჭირდა. საშინლად ვიქცეოდი. მაშინ მიიღეს ჩემმა მშობლებმა გადაწყვეტილება, რომ ჯარში უნდა წავსულიყავი. მეც გაბრაზებულმა ყველაზე სახიფათო პროფესიას მოვაწერე ხელი. შემეძლო ჯარში კულინარად წავსულიყავი, მაგრამ სნაიპერობა ვარჩიე.“

ამერიკულ ჯარში 8 თვე კარანტინში გაატარა. ღამით საშუალოდ 4 საათი ეძინა. ავღანეთში ოთხჯერ იბრძოდა, ქუვეითში და ერაყში – ერთხელ. 17 წლის იყო ამერიკის რეინჯერთა სკოლაში რომ მივიდა.

იმ წელს რეინჯერთა სკოლამ 846 კანდიდატი მიიღო, აქედან 48 ჯარისკაცმა დაამთავრა სკოლა და როგორც თვითონ სანდრო ამბობს, „ბეჟი ბერეტა დაიხურა“.










ფოტო: პირადი არქივი

48-დან 12 გადარჩა. 12-დან 3-მა თავი მოიკლა. არმიაში ერთადერთი ქართველი იყო, თან ყველაზე პატარა. კაპიტანი თვალწინ დაეღუპა, როცა მის გადარჩენას ცდილობდა.

მამის სიკვდილის დროს ავღანეთში იყო. ოცი დღის შემდეგ გააგებინეს, როცა კოლორადოში ომის გმირების რეაბილიტაციის ჰოსპიტალის ცენტრში იწვა. „მთელი ბატალიონი შემომილაგდა, მთავარი პოლკოვნიკიდან დაწყებული, უმცროსი ლეიტენანტით დამთავრებული და ერთ ხმაში მითხრეს, რომ მამაჩემი ოცი დღის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ძალიან დიდი სტრესის ქვეშ იყავი და არ შეგვეძლო გვეთქვაო.

– იტირე?

– კი.

– დასაფლავებაზე ვერ ჩამოხვედი.

– არ გამომიშვეს, არასტაბილური პიროვნება ხარ და დიდი სტრესი გაქვს გადატანილიო.

ერთხელ ბავშვობაში ტაქსიში ვიჯექით, ზამთარი იყო, ძალიან ციოდა, სკოლიდან გამოსულები სახლებში მივდიოდით, მძღოლს გათბობის ჩართვა თხოვა, მაგრამ ტაქსისტმა წაუყრუა. სანდრომ ჩანთიდან რვეული ამოიღო და ფურცლების ამოხევა დაიწყო, ფეხებთან დაილაგა და თან იძახდა, ნახეთ ბავშვებო, რა კოცონი ავაგიზგიზოო. სანთებელა ამოიღო და წაუკიდა. ტაქსისტი გაგიჟებული უყურებდა, მეგონა მანქანიდან გადაგვყრიდა და პოლიციას დაურეკავდა, მაგრამ ცეცხლი ცალი ხელით ძლივს ჩააქრო და გათბობაც ჩაგვირთო.

2013 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან, ბარაკ ობამასგან სამადლობელი წერილი მიიღო. დედას კი ბრილიანტის კულონი გაუგზავნეს.

ჯარში სნაიპერი იყო. ძირითადად „M24“-დან, „Remington 700“-დან, და „M4“-დან ისროდა. რადგან რვათვიან კარანტინს გაუძლო, თავიდანვე სპეც- დანიშნულების რაზმში ჩასვეს. ამიტომ ბაზაზეც არ ცხოვრობდა, სახლი ჰქონდა ნაქირავები.

ავღანეთიდან ბურგუნდიული თეთრი პითონი ჩამოიყვანა. ჩუმად ზრდიდა, თავიდან კვირაში ერთხელ ერთ ცალ თაგვს აჭმევდა, შემდეგ კურდღელს. პითონი 3 მეტრი გაიზარდა, თბილისში წამოსვლამდე, ეგზოტიკურ ზოო-მაღაზიაში ჩააბარა. „პასპორტი ვერ გავუკეთე, არალეგალური იყო და ვერ ჩამოვიყვანდი, თორემ მივეჩვიე, თბილისშიც მოვუვლიდი.“

ამერიკის მოქალაქეა, ავღანეთში ბრძოლის შემდეგ მისცეს მოქალაქეობა. ჯარის მოხდის შემდეგ, 3 თვის წინ, საქართველოში დაბრუნდა. მეგობრებს გვკითხა, სად სწავლობთო და საბუთები რამდენიმე თვის წინ კავკასიის უნივერსიტეტში შემოიტანა. თავისუფალი დასწრების უფლება მისცეს. ამ უნივერსიტეტის ისტორიაში პირველია, ვისაც მხოლოდ გამოცდებზე მოსვლის უფლება აქვს. საბჭომ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ სასაზღვრო დაცვის პოლიციაში მუშაობს. ავიაციის სადესანტო სკოლის შექმნა დაავალეს. ჯარში ბოლო პერიოდში დესანტის ინსტრუქტორად მუშაობდა. პარაშუტით 200 ნახტომი აქვს განხორციელებული და ამიტომ საქართველოში „პარაშუტიდან ხტომაში“ ყველაზე კომპეტენტურ პირად ითვლება.

2014 წლის 19 აგვისტოს მამის სამემკვიდრეო უნდა გახსნილიყო, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე სანდროს „Facebook“-ზე სალომე ყანჩაველმა მიწერა.

– პირველი სიტყვები რა გითხრა?

– გამარჯობა, მე შენი ნახევარ-და ვარო.

სალომე იტალიაში ცხოვრობს, მამამისის შვილია, უფრო სწორად, მამამისს უშვილებია წლების წინ, გვარი მიუცია და მთელი ცხოვრება ფინანსურადაც ეხმარებოდა. ახლა მემკვიდრეობას სალომეც ითხოვს.

– შეყვარებული ყოფილხარ?

– ხომ იცი, რომ ბევრჯერ.

შეყვარებული მართლაც ბევრჯერ ყოფილა, ახლა არავინ უყვარს. ერთხელ სკოლაში ვიღაც გოგოს მიტინგი მოუწყო. ბავშვებს პლაკატები დააჭერინა წარწერით – მიყვარხარ. ის გოგო სკოლიდან იმ წელსვე გადავიდა.

ბავშვობაში ფორტე-პიანოზე დავდიოდით ერთად. მე თითო გაკვეთილზე ერთ ახალ ნაწარმოებს ვსწავლობდი, ის – ოთხს. მერე მასწავლებელი იღლებოდა და თხოვდა, დანარჩენი შემდეგი გაკვეთილისთვის ესწავლა.

ᲘᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛ 846 ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 48 ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, „ᲑᲔᲨᲘ ᲑᲔᲠᲔᲢᲐ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ“. 48-ᲓᲐᲜ 12 ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ. 12-ᲓᲐᲜ 3-ᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲙᲚᲐ. ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲗᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ. ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲓᲐᲔᲦᲣᲞᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ.









ფოტო: პირადი არქივი

ერთხელ, საღამოს, როდესაც ყველანი ერთად ქობულეთში ვისვენებდით, სასტუმროს ეზოში სისხლიანი სანდრო შემოვიდა, და დაეცა. სასწრაფოდ ოთახში ავიყვანეთ, დავაწვინეთ, სისხლის მოწმენდას ვცდილობდით, მაგრამ მივხვდით, რომ აზრი არ ჰქონდა, მთლიანად სისხლში ცურავდა. საავადმყოფოში გავაქანეთ, იქ გონს მოვიდა, მთელი სხეული გასაკერი ჰქონდა.

მაშინ პირველად ვიტირე სანდროს გამო. მესმოდა, როგორ ღრიალებდა საოპერაციოდან. თურმე ძალიან დიდი სიჩქარით მიმავალი კვადროციკლით ამობრუნებულა, კვადროციკლი ზედ დაცემია. როცა გამოფხიზლდა, 2 კილომეტრი ფეხით გამოიარა და სასტუმრომდე მოვიდა. იმ დილით სკუთერიც დაამტვრია და ველოსიპედიც, მაგრამ არაფერი მოსვლია. ვთხოვდით საღამოს აღარაფერზე დამჯდარიყო, მაგრამ რა თქმა უნდა, არ დაგვიჯერა. მთელი ქობულეთი ამ ისტორიაზე ლაპარაკობდა, როგორ დაამტვრია 14 წლის ბიჭმა ერთ დღეში სკუთერი, ველოსიპედი და კვადროციკლი. სახეზეც ცნობდნენ, იმ წელს აღარავის მიუქირავებია მისთვის რამე.

მეგობრები სულ ვფიქრობდით, ამდენი ენერგია სად უნდა წაეღო. მაგრამ არცერთს გვიფიქრია, თუ ერთადერთი გამოსავალი ომი იქნებოდა.

ჯარში აღარ უნდა, აღარც ომში. მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ ჩემს ქვეყანას დაჭირდებაო. სამომავლო გეგმები არ აქვს, სახელმწიფო მართვაზე სწავლობს, უნივერსიტეტში იშვიათად დადის, ძირითად დროს წყნეთში ატარებს, თავის ძაღლთან.

ჩვენი საუბრის დროს უკრავდა. ახლაც პიანინოსთან ზის, ჩემზე მაინც ყველაფერი იციო.

ისევ ისეთია. ხანდახან ვხედავ აუტანელ სევდას, ტკივილს, შიშს, დაღლას მის თვალებში, მაგრამ მაინც ისევ ისეთია. „ყანჩაველი გაჩერდი“, „ყანჩაველი დაჯექი“, ყანჩაველი ფრთხილად“, „ყანჩაველი ნუ დარბიხარ“, „ნუ აფუჭებ“, „ნუ ამტვრევ“, „არ გადახტე“, „არ გადავარდე“ – ვუყურებ და ეს სიტყვები ჩამესმის. ისევ ისე იცინის, ვიცი ისიც ჩემსავით ფიქრობს, რომ ჯერ 20 წლისაა, სულ რაღაც ოცის და რამდენი რამ გადახდა თავს. წინ მთელი ცხოვრება აქვს.

ნეტავ, რა ელის კიდევ, მას ხომ თითო საათში თითო თავგადასავალი ხვდა წილად. თითო საათში თითო ხიფათი, თითო წარმოუდგენელი იდეა, აზრი, რა გააკეთოს, რა მოიმოქმედოს, რომ არ იცხოვროს ისე, როგორც ყველამ.



# უდიპლომო ასასინი

ავტორი: გიორგი დიასამიძე
ფოტო: დავით ჭუმბურიძე





22 წლის თაზო ბალაშვილი სასტუმრო „ლაერტონ თბილისში“ მიმტანად მუშაობს. იმ სივრცეში ის რიგითი თანამშრომელია. სასტუმროს ხელმძღვანელებმა თაზოს შესახებ თავიდან არაფერი იცოდნენ, თუმცა მას მერე, რაც მისი ძირითადი საქმიანობის შესახებ გაიგეს, ცდილობენ სამსახურის გრაფიკი შეუმსუბუქონ. თაზოს ახლადგახსნილ „ლაერტონში“ ყოველ მეორე დღეს დილიდან საღამომდე უწევს მუშაობა, კვირაში ორჯერ კი ბარ „ბარონში“ ბენდთან ერთად უკრავს და მღერის. ასეთი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, თავისუფალი დრო პრაქტიკულად აღარ რჩება, თუმცა მიწისქვეშა გადასასვლელებში მაინც ახერხებს დაკვრას.

პატარა მოუსვენარი ბიჭი, რომელიც სწავლით თავს არასდროს იკლავდა, სკოლაში თითქმის ყველა მასწავლებელს უყვარდა. ინგლისური თავიდანვე სხვებზე უკეთ ესმოდა. ბავშვობაში მთელი დღე Cartoon Network-ს უყურებდა და უცხო ენაც მულტფილმებით ისწავლა. ინგლისურზე მეტად ფიზკულტურა უყვარდა. როცა დარბაზში გამოჩნდებოდა, ფიზკულტურის მასწავლებელს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა. ახლადგარემონტებული სკოლის დარბაზის კედლებს მისი ფეხსაცმლის კვალი რამდენიმე წელი ემჩნეოდა. სხვა საგნები ნაკლებად აინტერესებდა. ძირითადად, გასართობად დადიოდა სკოლაში; იმის მიუხედავად, რომ იშვიათად ნახულობს ბავშვობის მეგობრებს, მათთან ახლაც კარგი ურთიერთობა აქვს.

სკოლის დამთავრების შემდეგ, მშობლებს უნდოდათ, რომ თაზოს სწავლა უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. თუმცა ის ფიქრობს, რომ დიპლომის გამო უმაღლეს სასწავლებელში ფულის ხარჯვა უაზრობაა და ამის გარეშეც შეძლებს წარმატების მიღწევას.

„მინდოდა თეატრალურზე ჩაბარება, მაგრამ ბოლო მომენტში გადავიფიქრე. ქართულ შოუ-ბიზნესთან რაღაც დონეზე ბავშვობიდან მაქვს შეხება და გავაცნობიერე, რომ აზრი არ ჰქონდა დიპლომის გამო სწავლას. ყოველ შემთხვევაში, აქამდე რისთვისაც მიმიღწევია, არსად დამჭირვებია დიპლომი. რაც მაინტერესებს, იმას ყოველთვის ვაკეთებ. თუ დავისახავ რაიმე მიზანს, ბოლომდე ვიხარჯები და მაინც გამაქვს ჩემი.“

„ერთხელ სიმღერის ტექსტების ზეპირად სწავლაც დავისახე მიზნად,“ – ისმის ხმა და სასტუმრო ოთახში წაბლისფერთმიანი გოგო შემოდის. ეს ქალბატონი ილიაუნის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის 19 წლის სტუდენტი და ბლოგერი თეო აზარიაშვილია. ისინი თითქმის ერთი წელია ერთად არიან.

– შენი შეყვარებული სიმღერის ტექსტებს ვერ სწავლობს? – ვეკითხები თეოს. თაზო ამ დროს ჩუმად გვისმენს, მაგრამ დიალოგით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანს.

„თაზო არასდროს ასრულებს სიმღერას იმ ტექსტით, რაც ავტორმა დაწერა. მისი ყველა შესრულება თავისებური მიხლაფორთებული ტექსტითაა, იმიტომ, რომ ეზარება სწავლა და არგუმენტი აქვს ასეთი: „ხალხი მაინც ვერ ხვდება და მაინც მოსწონთ.“ თუმცა, როცა საქმე სერიოზულ გამოსვლას ეხება, სადაც ყურადღება ყველა დეტალს ექცევა, რა თქმა უნდა, ტექსტსაც სწავლობს“, – მპასუხობს თეო, რომელსაც თაზოსთან ერთად გატარებული ყოველი დღე ძველი კანაფის ფურცლებზე სიტყვებად გადააქვს და ამ დღიურს საგულდაგულოდ ინახავს.

„თაზო რომანტიკოსია,“ – ამბობს თეო, თუმცა ტრეისერ-მუსიკოსი ამ ფაქტს უარყოფს. „ისე ამიხსნა სიყვარული, მგონი მწარედ იტყუება“, – ამბობს ღიმილით.

– მაინც როგორ? – ცნობისმოყვარეობამ მძლია მე.

– 8 მაისს, ქუჩის მუსიკის დღის შესარჩევ გამოსვლაზე მთხოვა მისვლა, „აუცილებლად.“ იქ ჩემი საყვარელი სიმღერა იმღერა და წინასიტყვაობა გაუკეთა, რომ მე მიძღვნიდა. ეს არც გამკვირვებია. იცოდა, რომ ამ სიმღერით მიიქცია ჩემი ყურადღება, მაგრამ ბოლოს სახალხოდ გამომიცხადა – მიყვარხარო! ვისთვის ბანალური და ვისთვის გაცვეთილი, მაგრამ ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და თბილი სიტუაცია იყო… განსაკუთრებით ის მომენტი, როცა გიტარა ვიღაცას მიაჩეჩა, გამოიქცა (ლამის წა-

> მუსიკოსობა სტაბილური საქმე გგონიათ? მუსიკოსი ყოველთვის და ყველგან არ სჭირდებათ. ამ საქმით, ფაქტობრივად, მთელი კვირის გრაფიკი შევავსე. მე რომ მუსიკით ძალიან ბევრ ფულს ვშოულობდე, მაინც გავაკეთებდი იგივე შოუებს; არ შევეშვებოდი პარკურს, არც „პადზემკაში“ დაკვრას, იმიტომ რომ ეს მსიამოვნებს.





ასაკის მატებასთან ერთად თაზოს ახალ-ახალი გატაცებები იპყრობდა. მერხიდან - მერხზე ხტუნაობა და ფიზკულტურის დარბაზის კედლებზე სირბილი მან პროფესიად აქცია. ახლა ის პროფესიონალი ტრეისერია. დიდი ხანი არაა, რაც ეს მიმდინარეობა საქართველოში პოპულარული გახდა; ცოტა ხნის წინ თბილისში სულ რამდენიმე ტრეისერი დახტოდა, მათ შორის იყო თაზო ბალაშვილიც. მეგობრებმა მას ASSASSIN შეარქვეს, რომელიც ცნობილი თამაშის მთავარ გმირს ჰქვია

---

იქცა) და მაკოცა... Вот Так! სიმღერას ერქვა In This River.

ახალგაზრდა მუსიკოსი სანზონაში ბებიასთან, მამასთან და პატარა ძმასთან ერთად კერძო ბინაში ცხოვრობს. ერთსართულიან სახლში სულ რამდენიმე ოთახია. კომპიუტერი არ აქვს და ამ ამბავს მის ძმასთან, ირაკლისთან ერთად განიცდის. თაზო ერთი პერიოდი მეგობრებთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, თუმცა მარტოდარჩენილმა საკუთარი შემოსავლებით ვეღარ შეძლო გადასახადების გადახდა და ოჯახს დაუბრუნდა. დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება უკვე აქვს და უნდა, მალე გადავიდეს ცალკე საცხოვრებლად: „საკუთარი ბინაში ყველაფერს ჩემს გემოზე მოვაწყობდი. არც სახლის დალაგება მეზარება და არც ჭურჭლის რეცხვა, მაგრამ დიდი სიამოვნებით ვიყიდიდი ჭურჭლის სარეცხ მანქანას და ყველანაირ თანამედროვე ინვენტარს“.

უდიპლომო მუსიკოსი პატარა ძმას დარიგებას აძლევს: კარგად ისწავლე, თუ გინდა კაცი გამოხვიდეო. ირაკლი ძმის რჩევებს არ ითვალისწინებს და ქუჩაში მირბის ფეხბურთის სათამაშოდ. ბებიასთან და მამასთან თაზოს მშვიდობიანი დამოკიდებულება აქვს. ერთადერთი, რაზეც ვერ თანხმდებიან, მისი ვიზუალია. კონკრეტულად – ვარცხნილობა.

„ეს არის საბრძოლო ვარცხნილობა.“„იროკეზი“ ერქვა ტომს, სადაც მხოლოდ კაცები ცხოვრობდნენ. სოფლებს რომ ააოხრებდნენ, იქიდან მიჰყავდათ ქალები დასაორსულებლად. ბიჭი თუ გაჩნდებოდა, მეომრად ზრდიდნენ, გოგო თუ გაჩნდებოდა – კლავდნენ. ეს ხალხი იმ დროს განუვითარებელი იყო, რაც არ არის გასაკვირი. მათ გამო ეს ვარცხნილობა ხალხს ძალიან აშინებდა. ამიტომაც იკეთებდნენ ჩაფხუტებზე „იროკეზის“ რომაელები, სპარტელები და ა.შ. ეს სახელი ახლა საბრძოლო თვითმფრინავსაც ჰქვია“, – გვიყვება ვარცხნილობის შესახებ თაზო, თუმცა გიორგის თავისი შვილის იმიჯზე აზრი მაინც არ შეცვლია.

ასაკის მატებასთან ერთად თაზოს ახალ-ახალი გატაცებები იპყრობდა. მერხიდან – მერხზე ხტუნაობა და ფიზკულტურის დარბაზის კედლებზე სირბილი მან პროფესიად აქცია. ახლა ის პროფესიონალი ტრეისერია. დიდი ხანი არაა, რაც ეს მიმდინარეობა საქართველოში პოპულარული გახდა; ცოტა ხნის წინ თბილისში სულ რამდენიმე ტრეისერი დახტოდა, მათ შორის იყო თაზო ბალაშვილიც. მეგობრებმა მას Assassin შეარქვეს, რომელიც ცნობილი თამაშის მთავარ გმირს ჰქვია. თაზოს „გეიმერი“ მეგობრები ამბობენ, რომ ის თამაშის გმირივით მოხერხებულად დახტის კედლიდან – კედელზე. ასასინის სიმბოლო მას წლების წინ თავზე ეხატა, ცოტა ხსნის წინ კი – დიდი ტატუც გაიკეთა მარჯვენა მკლავზე.

მისი საქმიანობის მიმართ ახლობლების დამოკიდებულება დიდად არ შეცვლილა. ადრე ამბობდნენ, რომ ეს უბრალოდ მაიმუნობა იყო: გაერთობა ბავშვი და დასერიოზულდებაო. თავიდან თაზოც ასე ფიქრობდა, თუმცა დროთა განმავლობაში პარკური პროფესიად აქცია და ამით ფულის კეთებაც დაიწყო.

„შესაკრებად კონკრეტული ადგილი არ გვქონდა ამორჩეული. სადაც უფრო ექსტრემალურ გარემოს ვნახავდით, იქ ვვარჯიშობდით. ნელ-ნელა იზრდებოდა ჩვენი

გუნდი და ცოტა ხანში შოუების გაკეთებაც დავიწყეთ. მივხვდით, რომ ამ საქმით ფულის გაკეთებაც შეიძლებოდა. სკოლის დასრულების შემდეგ თურქეთში ორჯერ წავედით ხელშეკრულებით. ქემერში დავბანაკდით, მაგრამ წარმოდგენების დასადგმად, სხვადასხვა ქალაქებში დავყავდით მძღოლს. ზოგიერთ სასტუმროში თურქი ანიმატორები გვეუბნებოდნენ, დიდი ხანია ასეთი გაოცებული არ გვინახავს აქაური მაყურებელიო.“

თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, 2012 წელს, პარკურის გუნდთან ერთად ასასინმა ტელეპროექტ „ნიჭიერში“ პირველად მიიღო მონაწილეობა. ჟიურიმ მათ ნომერს ძალიან კარგი შეფასება მისცა და ნახევარფინალშიც გადაიყვანა, სადაც ახალგაზრდა აკრობატებს მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა. თუმცა, ფინალში გადასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ტელემაყურებელმა თაზო სწორედ მაშინ გაიცნო, თუმცა, ის არ ფიქრობს, რომ ამით რაღაცას მიაღწია.

მეგობრის თხოვნით, იმავე პროექტში ასასინი მეორედაც გამოჩნდა, ოღონდ ამჯერად სცენაზე აკრობატული ილეთები არ უკეთებია. თაზომ „იროკეზი“ ცეცხლისფრად შეიღება და გიორგი ბითაძესთან ერთად იაპონელი კომიკოსების დუეტის „Gamarjobat“-ის ანალოგიური ნომერი წარადგინა თბილისის საკონცერტო დარბაზში. მაყურებელს ნომერი ძალიან მოეწონა და ჟიურის ოთხივე წევრმაც მხარი დაუჭირა დუეტის მომდევნო ტურში გადაყვანას. მიუხედავად ამ მცირე წარმატებისა, მხიარული ახალგაზრდები ნახევარფინალის „შორთ ლისტში“ ვეღარ მოხვდნენ. სოციალურ ქსელებში ჩასაფრებულმა კრიტიკოსებმა მათი ნომერი პლაგიატად მონათლეს, ზოგი კი პირდაპირ შეურაცხმყოფელ კომენტარებს ტოვებდა გიორგისა და თაზოს ფოტოებზე.

– დარბაზში მყოფ მაყურებელს და ჟიურის მოეწონა მხიარული ნომერი, თუმცა სოციალურ ქსელებში ბევრმა პლაგიატები გიწოდათ. ზოგმა შეურაცხმყოფელი კომენტარებიც კი არ დაიშურა თქვენი მისამართით...

– დიდად არ მაინტერესებს, ვინ რა დაწერა, მაგრამ ასეთ ხალხს კლავიატურის ლომებს უწოდებენ, როგორც წესი. საკუთარი წარუმატებლობით დაბოღმილები სხედან კომპიუტერთან და ცდილობენ სხვებსაც მოუწამლონ ხასიათი თავიანთი ნეგატივით. რაც შეეხება ბრალდებას პლაგიატორობაზე, ეს ალბათ ბატონი ნიკას სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ და ნაადრევმა შეფასებამ გამოიწვია; რა თქმა უნდა, საკუთარი თავის წარდგენისას ვიტყოდით, რომ იაპონელი კომიკოსების ანალოგიურ ნომერს წარვადგენდით. თუმცა, სცენაზე გამოჩენისთანავე გვარამიამ ეჭვის თვალით შემოგვხედა და მისალმებისას გვკითხა: „გამარჯობათ“ თქვენთან რაღაც კავშირში ხომ არააო...

დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ასასინი ინტენსიურად ვეღარ ვარჯიშობს, თუმცა, ხანდახან პარკურის გუნდთან ერთად სკოლის მოსწავლეებისთვის რამდენიმეწუთიან წარმოდგენებს მაინც მართავს. როგორც თავად ამბობს, ბავშვებს ძალიან მოსწონთ პარკური და ეს სფერო ნელ-ნელა ვითარდება საქართველოში. ასასინი ვეღარ ვარჯიშობს, მაგრამ თავისი თავის იმედი ყოველთვის აქვს; ბოლოს რომ ვნახე, თავდაჯერებულმა მითხრა, ნახევარი წლის უვარჯიშებელი თერთმეტწუთიან აკრობატულ შოუს მაინც გავაკეთებო!

– პარკური უფრო მეტად გიყვარს, თუ მუსიკა? – ვეკითხები ასასინს და წინასწარ ვხვდები მის პასუხს.

– დედა უფრო გიყვარს თუ სნიკერსი – ეს გეკითხა, ჯობდა – გაეცინა თაზოს.

– პარკური პარკურია და მუსიკა მუსიკა... – არ ვეშვები.

– ჰო, დედა დედაა და სნიკერსიც სნიკერსია. მაინც არ მაღირსა სერიოზული პასუხი.

საღამოს 8 საათისთვის სასტუმროში მხოლოდ თანამშრომლები მოძრაობენ. ჯერ-ჯერობით სასტუმრო ცარიელია და თავისუფლად ვახერხებთ ინტერვიუს ჩაწერას. თაზო ფიქრობს, რომ თანამშრომლებს ჩვენი საუბარი არ აინტერესებთ, თუმცა დაცვა ორი საათის განმავლობაში საეჭვოდ დაგვტრიალებს. პუტკუნა, ლოყებღაჟღაჟა ახალგაზრდას თითქოს თავის გამოჩენა სურს. მოსაწევად რომ გავედით, უკან გამოგვყვა, შანსი ხელიდან არ გაუშვა და თაზოს გამჭოლი მზერით მიუგო: ხომ იცი, რომ თანამშრომლები სასტუმროს მთავარ შემოსასვლელთან არ ვეწევითო. ასასინმაც რაღაც უთხრა ხუმრობით, ორი ნაფაზი სწრაფად ამოარტყა და სასტუმროს ბარში დაბრუნდა. თაზოს კიდევ ერთი თანამშრომელი გიორგი, ჩემთან ერთად, სასტუმროს შესასვლელთან კიდევ რამდენიმე წუთით იდგა. როგორი ტიპია თაზო, – ვკითხე გიორგის და სასტუმროში შესასვლელად მოვემზადე. „თაზო ჯიგარია, – ღიმილით მპასუხობს ასასინის თანამშრომელი, – ხუმარა და კაი ტიპია!“

„რუსულების და ჩქარების გარდა, ყველაფერს ვუსმენ“, – ნახევრად ხუმრობით ამბობს ახალგაზრდა მუსიკოსი. გიტარაზე დაკვრა მან რამდენიმე წლის წინ თვითონ ისწავლა და ამ საქმესაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი. ასასინს არაერთხელ შევხვდი რუსთაველის გამზირზე. ბოლოს რომ ვნახე, მიწისქვეშა გადასასვლელში უკრავდა გიტარაზე და გარესამყაროსგან სრულიად იყო მოწყვეტილი. წინ ვედექი და ვერც კი მამჩნევდა. ველოდებოდი, სანამ სიმღერას არ დაას–








რულებდა. საუბარი ამის შემდეგ დავიწყეთ.

ერთხელ მითხრა, მუსიკით მხოლოდ ვისვენებო. როგორც აღმოჩნდა, მიწისქვეშა გადასასვლელში ის მხოლოდ თავისი ჭიის გასახარებლად ჩადის. ამას რუსთაველის გამზირზე ნებისმიერ მიწისქვეშა გადასასვლელში მომუშავე ადამიანებიც მიდასტურებენ. ამ ხალხთან თაზოს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, რაც არავის გაუკვირდება – რამდენიმე წელია მიწისქვეშა გადასასვლელებში მომუშავე ხალხს თაზო კონცერტებს უმართავს.

„მუსიკას ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი უკავია. შეიძლება მთელი დღე ვიმუშავო და განტვირთვის მიზნით ჩავიდე „პადზემკაში“ დასაკრავად. ფულის გამო სამჯერ ან ოთხჯერ დამიკრავს, როდესაც მართლა დამჭირვებია. სესხება არ მიყვარს. ვალის აღებას მირჩევნია მშიერი მოვკვდე. არც ის მიყვარს, როდესაც მათხოვრად აღმიქვამს ვიღაც. თუ მუსიკას არ მოუსმენს და ისე დამიყრის ვინმე ხურდას, ძალიან ვბრაზდები. ხშირად გავკიდებულვარ და უკან დამიბრუნებია მათთვის ფული. ერთხელ ვიღაც ხინკლის სუნით აქოთებული ტიპი მოვიდა ქალებთან ერთად და 20 ლარი დამიგდო ჩანთაზე: გოგოებს რომ მოეწონოთ, ისეთი დაუკარიო. ოცი ლარის გვერდით ხუთ-ლარიანიც იდო. ის ფულიც დავამატე და ვთხოვე გზა გაეგრძელებინათ. ტიპი ისეთი უნამუსო იყო, მართლა წაიღო ჩემი ხუთი ლარიც“.

მისი თქმით, იმიჯის გამო, უსიამოვნებები საკმაოდ ხშირად მოსდის. ამბობს, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებზე მეტად, მისი ვიზუალი ახალგაზრდებს აღიზიანებთ. მისი მისამართით ხშირად ბევრ შეურაცხყოფასაც ატარებს, თუმცა ხანდახან უჭირს თავის მოთოკვა.

„არყის ბოთლებით ხელში რამდენიმე მთვრალი ტიპი დამიდგა მიწისქვეშა გადასასვლელში. ცინიკურ ფრაზებს ისროდნენ ჩემი მისამართით, მაგრამ დაკვრას ვაგრძელებდი. ჩემი მწყობრიდან გამოყვანა არაა მარტივი. მერე, მოვიდნენ ახლოს და ერთმა ფეხი მიარტყა გიტარის ჩანთას. ძალიან გავბრაზდი, თუმცა არ შევიმჩნიე და ზრდილობიანად მივმართე: შემთხვევით ფეხი მოგიხვდა ჩანთაზე-თქო. მერე, შუშის ბოთლები მიაჭახუნეს ერთმანეთს, შემოემტვრათ და არაყი მთლიანად ჩანთას დაესხა. ეს ვეღარ გავატარე და მათკენ გავიწიე. ვინც მუშაობს მიწისქვეშა გადასასვლელში, ის ხალხი მაკავებდა. რამდენიმე წამით ჩამოვჯექი, დამშვიდებას ვცდილობდი და ამ დროს რომელიღაცამ შემაგინა.აქ უკვე ვეღარავინ შემაკავებდნენ. გავიწიე თუ არა, ჩემი მეგობრებიც მოცვივდნენ და ატყდა ჩხუბი. ძალადობის მომხრე არ ვარ, მაგრამ ტიპებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ გალახულიყვნენ“, – იხსენებს თაზო.

ბევრი, ალბათ, ფიქრობს: თუ კარგი მუსიკოსია, თავისი პროფესიით ემუშავა, სასტუმროში მიმტანად რა უნდაო. თაზო არ ფიქრობს, რომ ციდან ვარსკვლავებს ხსნის თავისი მუსიკალური ნიჭით, თუმცა ამბობს, რომ სამსახურში ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს.

„მუსიკოსობა სტაბილური საქმე გგონიათ? მუსიკოსი ყოველთვის და ყველგან არ სჭირდებათ. ამ საქმით, ფაქტობრივად, მთელი კვირის გრაფიკი შევავსე. მე რომ მუსიკით ძალიან ბევრ ფულს ვშოულობდე, მაინც გავაკეთებდი იგივე შოუებს; არ შევეშვებოდი პარკურს, არც „პადზემკაში“ დაკვრას, იმიტომ რომ ეს მსიამოვნებს. სასტუმროში ხომ ხვეწნა-მუდარით არ მოვსულვარ… უბრალოდ, ინტერნეტში ნახეს ჩემი CV, დამირეკეს და ამიყვანეს. აქ რომ ცუდი პერსონალი დამხვედროდა და ისეთი სიტუაცია ყოფილიყო, რომელიც ხელს შემიშლიდა ჩემი საყვარელი საქმის კეთებაში, არ დავიწყებდი მუშაობას. აქ მოსვლა ჩემი ნება იყო... თან ხალხთან ურთიერთობა მსიამოვნებს. ისეთი ტიპი ვარ, რომ თუ რაღაც არ მომეწონება, იმ წუთას შემიძლია წამოვიდე.“

ასასინი ბოლოს რამდენიმე დღის წინ ვნახე და საკმაოდ დიდი ხანი ვისაუბრეთ. საღამოს ათი საათისთვის სასტუმროდან გამოვედით. მისი სამუშაო დღე დასრულდა. სადღაც აპირებს წასვლას, თუმცა არ მითხრა, სად. ზურგზე გიტარის ჩანთა ჰქონდა მოკიდებული.

იმ საღამოსაც „პადზემკაში“ ჩასულა…

შესაკრებად კონკრეტული ადგილი არ გვქონდა ამოჩემებული. სადაც უფრო ექსტრემალურ გარემოს ვნახავდით, იქ ვვარჯიშობდით. ნელ-ნელა იზრდებოდა ჩვენი გუნდი და ცოტა ხანში შოუების გაკეთებაც დავიწყეთ. მივხვდით, რომ ამ საქმით ფულის გაკეთებაც შეიძლებოდა.






# მოგზაურობა სამტრედიიდან სამტრედიამდე

**ავტორი: თამუნა პავლიაშვილი**



რუკაზე 169 ქვეყანა ლურჯად არის მონიშნული. დარჩენილი 26-იც და მისია შესრულებულია. რაკილა მიზანი ცნობილია, წლის გეგმაც მკაცრად არის განსაზღვრული. ყოველი ახალი თვის დაწყება ახალ მოგზაურობას ნიშნავს, ამიტომ თუ მასთან შეხვედრას გადაწყვეტთ, ყველაზე მარტივად აეროპორტში მიაგნებთ.

კავკასიის უნივერსიტეტის დამფუძნებლის და პრეზიდენტის კახა შენგელიას პირველი შთამბეჭდავი მარშრუტი: სამტრედია – თბილისი იყო. 16 წლის მშობლებმა დედაქალაქში პირველად ჩამოიყვანეს. გაოცება მეტრომ გამოიწვია. გვიყვება, რომ მეტროსადგურებიდან მთელი დღე ვერ ამოიყვანეს. იცვლიდა მატარებლებს, სადგურებს, ხაზებს მანამდე, ვიდრე არ დაიკარგა.

ტემპი აღარ დაუგდია: „ნიგერიის დედაქალაქ აბოჯაში პირველად რომ ჩავედი, აეროპორტიდან დაიწყო ჩემი კოშმარი, ღამე იყო და 1991 წლის თბილისი გამახსენდა, ყველას ავტომატი ეკავა ხელში, ვერ გავიგე, რა უნდა გამეკეთებინა, პასპორტის ჩამრტყმელი არ იჯდა, გარეთ გამოვედი და უამრავი ადამიანი მეხვეოდა თავს. მაშინ ყველაზე დაუცველად ვიგრძენი თავი, თუმცა, უარესი ამბებიც გადამხდენია, კამბოჯაში, ლაოსში, ვიეტნამში, ნეპალში, ბუტანში, რომელი ერთი გავიხსენო, აღარ ვიცი.“

კოლექციაში რას არ ნახავთ. აგროვებს ყველაფერს, რისი შეგროვებაც შეიძლება, ამიტომ ამდენ მოგზაურობაში კოლექციონერადაც ჩამოყალიბდა. თუმცა, ყველაზე შთამბეჭდავი მაინც სამტრედიის სახლში მიმოფანტული 300-ზე მეტი რუკაა, რომლებიც მთელი მსოფლიოს ირგვლივაც გამოგზაურებენ და საქართველოშიც.

შთამბეჭდავია ნარდის კოლექციაც. განსაკუთრებით ძვირფასი კი მოგზაურისთვის წიგნებია, რომლებსაც ყველა ქვეყნიდან ეზიდება. კახა შენგელიას ბიბლიოთეკა დღეს 40,000 წიგნს ითვლის. წარმოიდგინეთ, რა წონის ტვირთი მოაქვს მას ყოველ ჯერზე.

როცა ვკითხულობთ, მაინც რა არის მის კოლექციებში ყველაზე ფასეული, გვპასუხობს: „ვაგროვებ უნიკალურ წიგნებს, ხელნაწერებს, რომლებსაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ვინახავ, დაწყებული სულხან-საბას ლექსიკონით, დამთავრებული ილიას და აკაკის ხელნაწერებით. ეს ყველაფერი ჩემს საკუთრებაშია და უნივერსიტეტის მუზეუმს რომ გავაკეთებთ, აუცილებლად იქ განვათავსებ.“

იშვიათი ნივთების სია ვრცელია: კახა შენგელიას საკუთრებაში არსებულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს თან მისი ავტოგრაფიც აქვს; ხელნაწერთა შორის არის იულონ ბატონიშვილისა და მისი მეუღლის სალომეს 1803 წლის წყალობის წიგნი; იმამ-ყული-ხანის, მამად-ყული-ხანის, თეიმურაზ, მაჰმად-მირზას და ალი მირზას 1719 წლის წყალობის წიგნები. სულ 12 უნიკალური ხელნაწერი უკვე საქართველოში მოგზაურობისას არის შეგროვებული.

მე მისი სტუდენტი არ ვყოფილვარ, მაგრამ მსმენია, რომ „შეუვალი“ ლექტორია. განსაკუთრებით არ გპატიობს ერთი შეხედვით მარტივს – თუკი არ იცი საქართველოს რუკა და რეგიონები. ამიტომ, თუ გინდა საქართველოს ისტორიაში ბონუს ქულის მფლობელი გახდე, აუცილებლად მასთან ერთად, მისივე დაგეგმილი მარშრუტით უნდა იმოგზაურო საქართველოს რომელიმე მხარეში.







„სამომავლოდ მინდა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტმა ერთი სემესტრი მაინც გაატაროს საზღვარგარეთ და ეს სავალდებულო იყოს. უახლოეს მომავალში, ვერცერთი სტუდენტი ვერ მიიღებს დიპლომს, თუ მან ერთი სემესტრი მაინც არ ისწავლა უცხოეთში, აზია იქნება ეს, აფრიკა თუ ევროპა და აშშ, ამას მნიშვნელობა არ აქვს“ – გვეუბნება მოგზაური უკვე რექტორის სტატუსით.

90 ქვეყნის 96 უნივერსიტეტი – ასეთია მონაპოვარი საკუთარი სტუდენტებისთვის. ასობით სტუდენტი ამ შედეგით უკვე ყოველწლიურად სარგებლობს.

როდესაც აშშ-ს პირველად ეწვია სასწავლებლად, 21 წლის იყო და ჯიბეში 18 დოლარი ჰქონდა. მშობლები ღელავდნენ, რომ უკან აღარ დაბრუნდებოდა, თუმცა გვიყვება, რომ დარჩენა არასდროს არსად უფიქრია და როდესაც შაბათი დღის განრიგს გვიყვება, ცხადი ხდება, რატომ:

„შაბათს დილით ვდგები 6 საათზე, 1 საათში სახლიდან გავდივარ, ვჯდები ჩემს მანქანაში, მძღოლი არ მიმყავს, მივდივარ ბათუმში, გზად სამტრედიაში შევდივარ და იქ ვსაუზმობ, ლექცია მაქვს პირველის 20 წუთზე, ლექციის შემდეგ ვბრუნდები უკან, სამტრედიაში და ჩემს მშობლებთან ერთად ვსადილობ და როგორც წესი, თუ გადაუდებელი საქმე არ მაქვს, ვრჩები სამტრედიაში.“

მოგზაურობა სწორედ აქ, სამტრედიაში სრულდება.

სპეცპროექტი

# TEMPORARY ART

ავტორი: გიორგი კიკაბიძე



# TEMPORARY ART

# „ისინი არ მომკვდარან“

**გვანცა ჯიშკარიანი**



*გვანცა ჯიშკარიანმა სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის დინოზავრები „გააცოცხლა.“ მისი თქმით, ამ პროექტის იდეა ის არის, რომ დინოზავრები არ მომკვდარან:*

**„ეგ ტიპები, დინოზავრები, არ მომკვდარან, არ გადაშენებულან. უბრალოდ, იმალებოდნენ. ჰოდა, ახლა მათი გამოსვლის დრო დადგა. ვისაც რა უნდა, ის უნდა იგულისხმოს… ყველაზე სწორი ისაა, რაც მნახველს ჰგონია.“**

როგორც აღმოჩნდა, გვანცამ ზანდუკელის ქუჩაზე დინოზავრების „გაცოცხლება“ მხოლოდ ნახევარი საათით შეძლო. სახელდახელოდ შერჩეულ ადგილზე დამაგრებული რეზინის დინოზავრები ამჯერად არა დიდმა გამყინვარებამ, არამედ ადამიანებმა „გადააშენეს.“

**„მოგლიჯეს და დაყარეს, არც წაუღიათ… თორემ რომ მოხსნიდნენ, ვიცოდი“, – ამბობს ინსტალაციის ავტორი.**

გვანცა ჯიშკარიანი პროფესიით არქიტექტორია. ის სამხატვრო აკადემიასა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრში სწავლობდა. გვანცა უახლოეს მომავალში მეგობრებთან ერთად ვებ-გვერდის გაკეთებას გეგმავს, რომელიც ვიზუალური ხელოვნების, დიზაინის, არქიტექტურისა და მუსიკის სიახლეების ანალიზსა და კრიტიკაზე იქნება ორიენტირებული. ამავდროულად იგი სტრიტ არტით არის დაკავებული. ეს მისი ჰობია.





ახალგაზრდა არქიტექტორს უკვე რამდენიმე პროექტი აქვს გაკეთებული. ის ყველაფერს სპონტანურად აკეთებს. მისი თქმით, იდეა შეიძლება არ იყოს ჩამოყალიბებული, მაგრამ მას დაუფიქრებლად აკეთებს: „თუ ბევრი ფიქრი დავიწყე, შანსი არ არის – იმას არ დავასრულებ, მომბეზრდება.“

გვანცა თავის ნამუშევრებს იმით გამოარჩევს, რომ სხვა სტრიტ არტისტები ძირითადად გრაფიტსა და სტენსილს აკეთებენ:

**„არ მინდა, რომ ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ძალიან ერთფეროვანია, თუნდაც ვინც ხატავს – ერთნაირია, როგორც შიდა სივრცეში, ისე მსოფლიო მასშტაბითაც. რამდენიმე შეიძლება გამოარჩიო, რომლებიც განსხვავებულს აკეთებენ.“**

გვანცა ზოოპარკების არსებობის წინააღმდეგია და ამბობს, რომ ცხოველები ჩაკეტილ სივრცეში არ უნდა ბინადრობდნენ. მან ერთ-ერთი პროექტი სწორედ ამ თემას მიუძღვნა. გასულ წელს ახალგაზრდა არტისტმა რეზინის ცხოველები შეიძინა და თბილისის ქუჩებში სიმბოლურად „გაასეირნა“:

**„წარმოიდგინე, რომ შენ ხარ ქალაქის რაღაც ჩაკეტილ სივრცეში. ცხოველები ისე მოდიან და გიყურებენ, როგორც ჩვენ მივდივართ და ვუყურებთ მათ. ზუსტად ასე იყო: ცხოველები გამოვიყვანე ქუჩებში და აქეთ გვიყურებდნენ. ცხოველებს ძალიან „ჰკიდიათ“, ისინი თავიანთ სამყაროში არიან და საერთოდ არ აინტერესებთ ადამიანები. შენ არ უნდა შეაწუხო, როგორც ისინი არ გაწუხებენ.“**








# არტ მოზაიკა

**გაგოშა**

პროფესიით IT სპეციალისტისთვის ქუჩის ხელოვნება ჰობია, რადგან პროფესიულ დონეზე სტრიტ არტი არცერთ აკადემიაში არ ისწავლება.

მოზაიკის იდეა სტამბულში დაიბადა, როდესაც მან ამ მასალით შესრულებული ბევრი ინსტალაცია ნახა. არტისტი თავიდან ექსპერიმენტებს ატარებდა და ცდილობდა, მოზაიკის იდეა თბილისის ქუჩებში განეხორციელებინა. გაგოშა ამბობს, რომ საბოლოო ჯამში იდეამ გაამართლა და ექსპერიმენტმა შედეგი გამოიღო.

კაფელი თავიდან ბოლომდე კოლაბორაციული პროექტია. გაგოშასთვის კაფელით ხატვის პროცესი სხვა სიამოვნებაა: არტისტი დეტალებზე უფრო მეტ კონცენტრაციას ახდენს, ვიდრე სტენსილით ხატვის დროს.

**„სტენსილის „მუღამი“ ისაა, რომ რაღაც „პონტში“ კრიმინალია და შენ ის სწრაფად უნდა გააკეთო“, – ამბობს გაგოშიძე.**

კომერციულ შემოთავაზებებზე ბევრჯერ უარი აქვს ნათქვამი. კომერციულ შემოთავაზებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ მას სრული თავისუფლება ექნება და დახატავს იმას, რასაც თავად მოისურვებს. ნაკლებად აინტერესებს რეკლამების კეთება. მისი აზრით, ხელოვნება კომერციისგან ყოველთვის შორს იდგა, მაგრამ 21-ე საუკუნეში ბევრი არტისტი თანხმდება კომერციისა და ხელოვნების ერთმანეთთან შეთავსებაზე.

**„მე მაქვს სამსახური, რომლითაც ჩემი ცხოვრება უზრუნველყოფილია. ამის გამო თავისუფალ დროს მთლიანად ვუთმობ სტრიტ არტს. თუ მხოლოდ კომერციული არტი იქნებოდა ჩემი შემოსავლის წყარო, მომიწევდა დამეხატა. მაგით ჯიბის ფულს თუ იშოვი.“**

ერთი-ორი ნამუშევარი აქვს ისეთი, რომელიც ერთნაირია და თავის პერიოდს ჰგავს. თვლის, რომ ადამიანი დროთა განმავლობაში უნდა განვითარდეს თავის შემოქმედებაში:

**„პიკასოს კუბიზმი რომ გქონდეს ნანახი, შეიძლება ვერ იცნო მისი ცისფერი პერიოდი, ვარდისფერი პერიოდი. ძალიან ცუდი იქნება ერთნაირი შინაარსის ნახატების მრავალჯერ გაკეთება. ყოველთვის ვცდილობ, ერთნაირი არ იყოს და გავლენები არ მქონ-**




**დეს. ვხატავ ხელით, პასტელებით, მიქს-მედიით, მოზაიკით და ა.შ.“**

არტისტი ხატვის დროს ფოკუსირებას ახდენს სოციალურ პრობლემებზე. მას სახალისო ნამუშევრებიც გაუკეთებია. გაგოშა სტრიტ არტს სოციუმისთვის აკეთებს, სიახლე რომ შეიტანოს მათ ცხოვრებაში.

ქუჩის ხელოვნების მთავარ პრობლემად ის ქართველი არტისტების გამოუცდელობას და კოლაბორაციის ნაკლებობას ასახელებს. გაგოშა თვლის, რომ გამოცდილებას საქართველოში ვერ შეიძენ, თუნდაც იმიტომ, რომ უილსი და ბლუ აქ არასოდეს ჩამოვა. გამოცდილება კი სწორედ ასეთ არტისტებთან ურთიერთობას მოაქვს.

**„ჩემს ნამუშევრებს კი არა, ბენქსის ნახატებს შლიან. სტრიტ არტი იმიტომ იქმნება, რომ გაფუჭდეს. როგორც ლეონიძე ამბობდა: სილამაზე მალე კვდება, მარადიული არაფერია. ანუ, სტრიტ არტის „მუღამი“ ეგ არის, რომ გააკეთებ ნახატს, სურათს გადაუღებ და მორჩა მისი არსებობა.“**

მხატვარმა თავის ერთ-ერთ ნამუშევარში გამოიყენა „კრეატიული დესტრუქცია.“ არტისტი განმარტავს, რომ ამ დროს ხდება სამყაროს განახლება ნაყოფის დამწიფებით, რომელიც ჩამოვარდება ან მოკვდება: „ამით ახალი სიცოცხლე იწყება. ადამიანებიც მასე მრავლდებიან – ბუნება კლავს, რომ ახალი შექმნას.“

მან დახატა შიშველი ქალი, რომელსაც ჩააცვა ქაღალდის წითელი კაბა. მეორე დღეს ეს ნახატი მოხეული იყო, მაგრამ, ჩანაფიქრმა გაამართლა და კედელზე ნახატი მაინც დარჩა. „კრეატიული დესტრუქცია“ ავტორმა ნახატში ცვლილებების შესატანად გამოიყენა: მან ე.წ. „ვანდალები“ გამოიწვია და მოგებული თავად დარჩა.

გაგოშას პატრულთან პრობლემები არ ჰქონია, თუმცა ამბობს, რომ ჩამოყალიბებული კონცეპტი სამართალდამცავებს არ აქვთ – მათ არ იციან რა უქნან ნამუშევრებს.

**„საქართველოში არ იქმნება იმდენი სტრიტ არტი, რომ შეადარო ერთმანეთს. სულ 3-4 არტისტი თუ იქნება, მაგრამ ისინიც განყენებულ ნიშებში მუშაობენ.“**

სტრიტ არტის კეთება მან 4 წლის წინ დაიწყო; პოლონეთში ის მეგობართან ერთად ხატავდა კედლებზე. თბილისში რომ დაბრუნდა, გადაწყვიტა ეს საქმე გაეგრძელებინა; თავიდან პერსონაჟების ხატვა დაიწყო. მერე მიხვდა, რომ კონცეფცია უნდა შეემატებინა საკუთარი შემოქმედებისთვის. გაგოშამ ძალიან ბევრი არტისტი ნახა, გაეცნო მათ ნამუშევრებს და გაიზარდა მისი მოქმედების არეალი.







# კომერციული სტრიტ არტი

**მუსია ქებურია**

კომერციულ სტრიტ არტ-ზე მუსიამ მსხვილი შეკვეთები მას შემდეგ მიიღო, რაც სანაპიროზე დახატა „მოშარდვის რიგი." ეს პროექტი საპროტესტო ხასიათს ატარებდა; ბერლინიდან თბილისში დაბრუნებული მუსიას მეგობრები პირდაპირ აეროპორტიდან წაიყვანეს განყოფილებაში, ჩააბარებინეს შარდი და ჯარიმაც გამოუწერეს. მოგვიანებით სასამართლომ დაადგინა, რომ მათ მარიხუანა ისეთ გარემოებაში ჰქონდათ მოწეული, რომელიც საქართველოში არ ითვალისწინებდა დასჯას, რადგან გერმანიაში მარიხუანა ლეგალურია. როდესაც მუსიას მეგობრები დაიჭირეს, მან მეორე დღესვე, ღამის პირველ საათზე გადაწყვიტა, რომ გაეკეთებინა ეს ნახატი. როგორც თავად ამბობს, ამ პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

არტისტის თქმით, კომერციული სტრიტ არტი მისთვის მომგებიანია, რადგან ყურადღებას იქცევს და გაცილებით ეფექტურია. თუ დამკვეთი გადაწყვეტს, რომ რეკლამისთვის სტრიტ არტი გამოიყენოს, თავდაპირველად ხდება იდეაზე და ესკიზებზე მუშაობა, შემდეგ ადგილის შერჩევა, ბოლოს კი ფერებისა და ზომების



# TEMPORARY ART

გადაწყვეტა. მისი თქმით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მას თავად შეუთავაზებია დამკვეთისთვის ადგილი, სადაც სპეციალური ნებართვის აღება არ იყო საჭირო. ერთ-ერთი ასეთი ადგილი ვაკე-საბურთალოს გვირაბია, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან აჭრელდა.

სტრიტ არტ რეკლამაში მისთვის ყველაზე მაღალი ანაზღაურება 3000 ლარი იყო, ყველაზე მცირე კი 200, რომლის შექმნაზეც მხოლოდ 2 საათი დასჭირდა. როგორც თავად ამბობს, უკმაყოფილო კლიენტი არასოდეს ჰყოლია. მუსიას ყველანაირი ანაზღაურების გარეშე, ენთუზიაზმზეც მოუხატავს კედლები. იგი შემოთავაზებებს საკუთარი შემოქმედების დახვეწის მიზნით დათანხმებულა.

**„იყო ისეთი შეფასებები, რომ სტრიტ არტი როგორ შეიძლება იყოს კომერციული კუთხით წარმოდგენილი, ჩვენთვის მიუღებელია და ა.შ... რაც უფრო მეტი კონკურენცია და მრავალფეროვნება იქნება თუნდაც კომერციული ხელოვნების თვალსაზრისით და უფრო მეტი კედელი მოიხატება, ეს ხელს შეუწყობს სტრიტ არტის განვითარებას და პოპულარიზაციას საქართველოში. ჩემი აზრით, სტრიტ არტი არ მოითხოვს, ხულიგნურად, ნებართვის გარეშე მუშაობას. შეიძლება იყოს ნებადართულიც, ეს ბუნებრივია“.**

მუსიას ისეთი სტილის ნახატებიც გაუკეთებია ქუჩებში, რომლებიც ხალხისთვის მიუღებელი და ამორალური აღმოჩნდა, თუმცა თვითონ ამას მხოლოდ ხელოვნებად აღიქვამს. ის არ ფიქრობს, რომ სტრიტ არტი რაიმე სახით ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. მისი ერთ-ერთი ნახატი სწორედ ასეთი იყო: შიშველ მონა ლიზას მკერდზე მილი მიამაგრა, საიდანაც რძე ასხავდა. რამდენიმე დღეში ეს ნახატი გადაღებეს.

**„თუ ნახატებში სიშიშვლეა გამოყენებული და ესთეტიკური კუთხით არის გადმოცემული, საქართველოში უმეტესობისთვის ეს მიუღებელია, რატომღაც ყოველთვის წინააღმდეგები არიან. თუნდაც „მოშარდვის რიგი“ რომ გავაკეთე, მანდ ერთ-ერთი გმირი ბრიუსელის ცნობილი ბიჭია, რომელსაც რამდენიმე დღეში სასქესო ორგანო ჰქონდა მოხეული“.**

მისთვის მუშაობის პროცესი ძალიან სასიამოვნოა. როგორც თავად ამბობს, ხატვის დროს ხანდაზმული ქალბატონები მის მიმართ ყველაზე მეტ პოზიტივს ამჟღავნებენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბებოებს ის ჩაიზე დაუპატიჟებიათ და ფუნთუშებიც შეუთავაზებიათ. ერთ-ერთმა ბებიამ არტისტს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „გაიხარე შვილო, როგორ გვილამაზებ კედლებს.“

არტისტი თვლის, რომ მისი შემოქმედება ყველა ასაკისთვისაა განკუთვნილი. ერთ-ერთ პროექტში მან ცნობილი მულტფილმების გმირები გამოიყენა, რომელმაც ყველაზე მეტად ბავშვების და თინეიჯერების ყურადღება მიიქცია.



**„რამდენიც არ უნდა შემომთავაზონ, არ დავხატავდი პოლიტიკურ მესიჯებს, რადგან ვთვლი, რომ ეს ჩემს პირადს ეხება. ჩემს პრინციპებს ვერ გავყიდი.“**

მუსიამ იცის, რომ ნახატები მუდმივად არ დარჩება კედლებზე და ვერც ამაში ხედავს პრობლემას. მისთვის ქუჩის ხელოვნება დროებითია და ამბობს, რომ შეიძლება ნახატებმა მხოლოდ რამდენიმე დღე გაძლონ, ან პირიქით – დიდი ხნით შემორჩეს კედლებს; გააჩნია ადგილს, სივრცეს, ნახატს და შინაარს. იგი დამკვეთს წინასწარ აფრთხილებს ამის შესახებ.

მხატვრისთვის ეს ჰობია და ფიქრობს, რომ კომერციული სტრიტ არტი არ შეიძლება იყოს ძირითადი შემოსავლის წყარო. ის პროფესიით გრაფიკოს დიზაინერია და მუშაობს როგორც აუთსორს დიზაინერად, ასევე ფრილენსერად. მუსიას აქვს როგორც მუდმივი, ასევე პერიოდული შეკვეთები გრაფიკული დიზაინის კუთხით, სწორედ ეს არის მისი შემოსავლის წყარო. მას ძალიან ბევრი თავისუფალი დრო რჩება და აკეთებს იმას, რაც ყველაზე მეტად სიამოვნებს – ეს ქუჩის ხელოვნებაა.






# „READY-MADE TEXTS“

## Those Two

ისინი ორნი არიან. სწორედ ამიტომ დაირქვეს მარიამ ნატროშვილმა და დეთუ ჯინჭარაძემ „Those Two“. ეს სახელი ახლა აღარ მოს-წონთ და როდესაც აკეთებენ სტრიტ არტს, იყენე-ბენ წარწერას – „Detu Jincharadze and Mariam Natroshvili.“

პირველი პროექტი „პოეზია ბეტონზე“ 2011 წელს გააკეთეს; მათ კარლო კაჭარავას ლექსები ქუჩის ხელოვნებად აქციეს.

- **დეთუ, გამახსენე მერე რა იყო?**
- **არ ვიცი, აღარ მახსოვს.**

ისინი ფიქრობენ, რომ დღეს ხელოვნების ადგილი გარეთ არის, სადაც მათთვის მუშაობა უფრო საინ-ტერესოა, ვიდრე ჩაკეტილ სივრცეში. მიუხედავად ამისა, დეთუს და მარიამს თეთრ კუბებშიც გაუკე-თებიათ გამოფენები.

2012 წლიდან დაიწყეს პროექტი „hhtp“ და დღემდე მუშაობენ ტექსტების კედლებზე ორიგინალურად გადა-ხატვაზე. „hhtp“ ტექსტები, ძირითადად, მიტოვებულ ადგილებსა და საბჭოთა არქიტექტურულ შენობებზე იქმნება. მარიამის თქმით, ამ პროექტში, ტექსტებ-თან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ტრანსფორმირდება სივრცეები და ადგილები.

ისინი ინტერნეტში განთავსებულ სიტყვებს „Rea-dy-made ტექსტებს“ უწოდებენ. როდესაც ადამიანე-ბი იყენებენ სოციალურ ქსელებს (Facebook, Goo-gle...), პროგრამების ტექსტებს, ძირითადად, ამ სიტყვებს სხვა მნიშვნელობა აქვს, თუმცა, მათი თქმით, საჯარო სივრცეში ამ ტექსტების გადმოტა-ნა სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, „Change date and time from settings, I`m feeling












lucky“, არის გუგლიდან ამოწერილი. როდესაც დაიწყეს პროექტზე მუშაობა, „ფეისბუკზე“ საძიებო გრაფაში წაიკითხეს „Search for people places and things“ და გადაწყვიტეს ვირტუალური სივრციდან გადმოეტანათ ქუჩაში. მათი თქმით, თუ სტრიტ არტი არ ცდილობს რაღაცის შეცვლას, მაშინ აზრი არ აქვს ამის გაკეთებას.

მათთვის სტრიტ არტი თავისუფლებაა და ფიქრობენ, რომ რაღაც მომენტში ეს აჯანყებაცაა. მათი თქმით, ხელოვნება უნდა იყოს საჯარო სივრცეში, რადგან ის პროცესები, რაც დასავლეთში უკვე გაიარეს სხვა ქვეყნებმა, ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გაგვივლია:

**„საზღვარგარეთ სტრიტ არტი თანამედროვე ხელოვნებისა და დღევანდელი სისტემის წინააღმდეგობაში მოდის, თუმცა ჩვენ ეს პროცესი არ გაგვივლია. ამიტომ, არტისტები პირდაპირ უნდა გადავიდნენ ურბანულ ხელოვნებაზე, უნდა გადაახტნენ ხელოვნების ინსტიტუციონალიზმს და უნდა გავიდნენ გარეთ. ლეთუსთვის და მარიამისთვის სტრიტ არტი არის ის, რაც არაა ნებადართული“.**





Those Two კომერციული სტრიტ არტის წინააღმდეგია. მარიამის თქმით, ქუჩის ხელოვნება კომერციის წინააღმდეგი უნდა იყოს: „პარადოქსი გამოდის ის, რომ ქუჩის ხელოვნებას კომერციისთვის აკეთებ, შეუთავსებელია სრულიად.“

ყველა მხატვარი განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ ისინი ვერ ასახელებენ, თუ ვინ მუშაობს კარგად და ვინ – ცუდად.

**– ლეთუ, რამე თქვი?**

**– არ გამოვა კარგი, რომ დავასახელო...**

ერთი თვის მანძილზე, როდესაც შვეიცარიაში იყვნენ „hhtp“-ის პროექტისთვის, მეილზე მიღებულ „სპამებს“ კედლებზე გადასატანად იყენებდნენ. მათთვის ციურიხი სტერილური და სრულყოფილია. ლეთუმ და მარიამმა მარტივად გადაწყვიტეს, რომ შვეიცარიის დედაქალაქს „დასპამვა“ სჭირდებოდა.

მათი თქმით, საქართველოში ქუჩის ხელოვნებით არ არიან შეპყრობილნი და პირიქით, ფული აინტერესებთ. ფიქრობენ, რომ ხელოვნება არ უნდა იყოს რაღაცის რეკლამა, სადაც „ტიპებს“ სჭირდებათ ფული კომერციული სტრიტ არტის გასაკეთებლად.

**– ლეთუ, ძალიან არეულად ვლაპარაკობ, ხომ?**

**– არა!**

**„ჩემი ერთ-ერთი მთავარი ინსპირაცია იყო ჰაკიმ ბეის „პოეტური ტერორიზმი.“ სტრიტ არტი უნდა იყოს „პოეტური ტერორიზმი.“ რეკლამა ვერასოდეს იქნება ტერორიზმი. ამ ბრძენ კაცს უწერია, რომ თუ ვინმეს რამეს შეუცვლის, მაშინ ღირს ამის გაკეთება. სტრიტ არტი შეწინააღმდეგებაა, რეკლამით კი შენ არაფერს და არავის ეწინააღმდეგები.“**

ეს ტექსტები შეიძლება გაფრთხილება ან შეხსენება იყოს. არქიტექტურა, სადაც ამ ტექსტებს აკეთებენ, ძირითადად, გარეუბნებშია. ზოგი ისეთ ადგილზეა, შეიძლება 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთმა ადამიანმა გაიაროს იქ და სწორედ მისთვის აღმოჩნდეს ეს წარწერა.

**„სულ დავდივართ ქალაქში და კვლევას ვატარებთ. ადგილებს ვპოულობთ თუ არა, უკვე ვხვდებით, იქ რა წარწერა უნდა იყოს, რადან ეს ტექსტები წინასწარ შეგროვებული გვაქვს“.**

# TEMPORARY ART




თბილისში პროექტზე მუშაობისას არანაირი დაბრკოლება არ შექმნიათ. თუმცა, იხსენებენ ერთ ფაქტს, როდესაც პატრული მივიდა არტისტებთან და ჰკითხა, პოლიტიკურ წარწერას ხომ არ აკეთებთო. სამართალდამცველმა ჩაიწერა დეთუს და მარიამის პირადობის დამადასტურებელი ნომრები და უთხრეს: თუ შენობის მეპატრონეს პრეტენზია არ ექნებოდა, იმ შემთხვევაში მათ პრობლემა არ შეექმნებოდათ.

ციურიხში, „სპამის“ პროექტზე მუშაობისას, ერთ-ერთ რკინიგზასთან ახლოს, Those Two-ს სამართალდამცავთა 4 ეკიპაჟი „დაადგა“ – სპეცრაზმი, თავისი სათვალეებით. მათთვის ეს ისტორია ძალიან სახალისოა:

**„ხელბორკილები დაგვადეს. ძალიან მეცინებოდა და თან ბედნიერი ვიყავი. პატრულს ვეკითხებოდი, შეიძლება, რომ დეთუს ფოტო გადავუღო-თქო? ერთი ღამე, გვაყურყუტეს დროებითი დაკავების იზოლატორში და დილით გამოგვიშვეს. მეორე დღეს, რომ გამოვედით, მე და დეთუ ვხალისობდით – „Суки отняли свабоду“, Свобода – это рай და ა.შ.“**

მარიამის თქმით, საქართველოსა და უცხოეთს შორის ის განსხვავებაა, რომ იქ აკრძალულია სტრიტ არტი და გიჟდებიან. ციურიხში მათ გაიცნეს ისეთი არტისტები, რომლებიც, ქუჩაში ხატვის გამო, 5 თვე ისხდნენ ციხეში. მიუხედავად ამისა, ქართველი არტისტები ფიქრობენ, რომ შვეიცარიაში უკვე მეინსტრიმი გახდა სტრიტ არტი და დაინტერესებაც გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოში; საზღვარგარეთ ბევრად აქტიურები და მძაფრები არიან, ვიდრე ჩვენთან.

**– დეთუ, კიდევ რა განსხვავებაა?**

**– რავი...**

Those two „hhtp“ პროექტის გაგრძელებას აპირებს. მანამდე კი მათ დაგეგმილი აქვთ Outdoor-თან ერთად თბილისის ქუჩებში გააკეთონ „ბილბორდ გალერეა“, სადაც თვეში ერთხელ წარმოდგენილი იქნება ახალი არტისტის ნამუშევრები. ბილბორდებზე რეკლამას ხელოვნება ჩაანაცვლებს.

**„მე მგონია, რომ ჩემი პირადი აზრი მთავრდება იქ, როდესაც ამ ტექსტებს ვამთავრებთ. მერე, ამ ტექსტების მნიშვნელობები სუბიექტური ხდება და მნახველზეა დამოკიდებული. მნიშვნელობა არა აქვს, მე რისი თქმა მინდა… მნიშვნელობები თვითონ უნდა იპოვონ.“**








# არჩევანი საზღვრებს გარეთ

ავტორები: ნანუკა კუტიბაშვილი; მაგდა სარსევანიძე

21 წლის ილია ჯიქურაშვილი 1 წელია ნიუ-იორკში საზოგადოებრივი მომსახურებისა და სოციალური სამსახურის ფაკულტეტზე სწავლობს (Human services and Social work) და საქართველოში დაბრუნებას არ გეგმავს. მას თინეიჯერობის ასაკიდანვე უნდოდა საქართველოდან წასვლა. ილიამ იცოდა, რომ უცხოეთში უფრო მეტი თავისუფლება, სიმშვიდე, შესაძლებლობები და აღმოჩენები ექნებოდა. ამერიკა კი იმიტომ აირჩია, რომ მშობლები დიდი ხანია იქ ცხოვრობენ და უკან, საქართველოში დაბრუნებას აღარც ისინი გეგმავენ.

„საქართველოში ძალიან დიდი აკადემიური და კარიერული იმედგაცრუება გვხვდება. აქ ბევრად მეტი შესაძლებლობები მაქვს და რასაც გავაკეთებ, პირდაპირპროპორციულად დამიფასდება. ამასთან, ჩემი პროფესია საქართველოში არ არსებობს. შესაბამისად, მასზე მოთხოვნაც არ არის. ყოველთვის მიყვარდა ნიუ-იორკი. თუმცა, მეგობრები სიგიჟემდე მენატრებიან და ეს ყველაზე დიდი, გადაულახავი დაბრკოლებაა. დროთა განმავლობაში უბრალოდ ყველაფერს ეჩვევი... საზღვარგარეთ სწავლას ძალიან დიდი სარგებელი მოაქვს. განსხვავებული კულტურის, პოლიტიკური და სოციალური წყობილების ნაწილი ხდები. ამით კი იმ უნარ-ჩვევებს იძენ, რომლებიც ნებისმიერ სფეროში გამოგადგება“, – ამბობს ჯიქურაშვილი.

განათლების უცხოეთში მიღების ორი ვარიანტი არსებობს: სრული ხარისხის დიპლომის აღება სასურველ ქვეყანაში (ჩაბარება და დამთავრება), ან ერთი სემესტრის /კურსის იქ გატარება. ამისთვის სტუდენტებს ეხმარებათ გაცვლითი პროგრამები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე სხვადასხვა სასწავლო პროგრამები, მაგალითად, ერასმუსი. უცხოეთში სასწავლებლად საჭიროა ახალგაზრდა ფლობდეს უცხო ენას და ჰქონდეს ამ ენის ცოდნის შესაბამისი სერთიფიკატი, მაგალითად: ინგლისურში – TOEFEL, IELTS, FCE და SAT, ფრანგულში – DELF/DALF, გერმანულში – Sprachdiplom, onDaF/onSET და ა.შ

განათლების ექსპერტის, მერაბ მიქელაშვილის აზრით, ახალგაზრდების საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლას რამდენიმე მიზეზი აქვს: „საზღვარგარეთ სწავლა ზრდის იქვე დასაქმების პერსპექტივას, რაც ძალიან მომხიბვლელია სტუდენტებისთვის. ჩვენი განათლების სისტემა არაკონკურენტუნარიანია, რისი საფუძველიც სკოლაა. ჩემი აზრით, ჩვენთან სკოლა აღარ არსებობს. საქართველოში 72 უმაღლესი სასწავლებელია, რაც წარმოუდგენლად ბევრია. ადამიანური რესურსიც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ხარისხიანი სწავლა იქნეს უზრუნველყოფილი.“

მერაბ მიქელაშვილის თქმით, ქართული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები გაუმართავია, სხვადასხვა საგნის სილაბუსი ისეთ ლიტერატურას შეიცავს, რომელიც მართალია ქართულ ენაზეა, მაგრამ უკვე ძალიან მოძველებული და დაბალი დონისა.

„ზოგიერთი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, უბრალოდ, არ არსებობს. ასევე, არ არსებობს კავშირი სწავლებასა და მეცნიერულ კვლევას შორის, რაც არაპრაგმატულს ხდის სწავლის ხარისხს. სათანადოდ არავინ აკონტროლებს პროფესორთა კვალიფიკაციას, ეს კი აზარმაცებს მათ. არცერთი ქართული უნივერსიტეტის დიპლომი საერთაშორისოდ აღიარებული არ არის. სწავლა და სწავლება ერთ მთლიან კონტექსტში არ არის გააზრებული, რაც ზოგადად ხარისხს დაბლა წევს.“

ახალგაზრდებს საზღვარგარეთ კარგი განათლება იზიდავთ, თუმცა ზოგიერთს ავიწყდება ის, რომ თითოეულ ქვეყანას ინდივიდუალური სისტემა აქვს და იქ სწავლა გაცილებით რთულია: პირველი, არსებობს ენობრივი ბარიერი და მეორე – უნივერსიტეტები პასუხს აგებენ მათ მიერ გაცემულ დიპლომებზე; ახალ გარემოსთან ადაპტაცია კი გაცილებით რთულს ხდის სწავლის მაღალი ხარისხით გაგრძელებას.

განათლების ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა ფინანსები. 2014 წელს, საქართველოში ერთი ადამიანის განათლებაზე სახელმწიფომ, დაახლოებით, 96 აშშ დოლარი დახარჯა. გასულ წელს განათლების სამინისტრომ ჩვენი მოქალაქეების საზღვარგარეთ სწავლის დასაფინანსებლად, ბიუჯეტიდან 3 126 398 ლარი გამოყო. დაფინანსება სულ 80-მა სტუდენტმა მიიღო. აქედან უმეტესობა (30) აშშ-ში და (18) დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა.

განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც 2014 წელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით შეიქმნა, საზღვარგარეთ სწავლისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად 5 სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს. ცენტრის კოორდინატორის, ნინო სულავას თქმით, მთავარ მიზანს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება წარმოადგენს. ამის შემდეგ კი დაფინანსებულმა მოქალაქეებმა მიღებული ცოდნის რეალიზება საკუთარ ქვეყანაში უნდა მოახერხონ:

„გარდა იმისა, რომ უკვე საჯარო სამსახურში დასაქმებულებს ვაგზავნით კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხის მისაღებად, უცხოეთში ვაგზავნით კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებსაც. ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ მათ ეძლევათ 3 წელი იმისთვის, რომ თავიანთი ძალებით იპოვონ სამსახური. წარჩინებულ სტუდენტებს კი დასაქმებაში მთავრობა ეხმარება.“

ნინო სულავა ამბობს, რომ განათლების საერთაშორისო ცენტრი მთავრობის კანცელარიაზე მიბმული ერთეულია და ისინი საკუთარი პრიორიტეტების მიხედვით არჩევენ მონაწილეებს. 2014-2015 სასწავლო წლის პრიორიტეტებია: განათლება, აგრარული მეცნიერებები, ინჟინერია, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებები. სურვილის შემთხვევაში კანდიდატებმა ონლაინ რეგისტრაცია უნდა გაიარონ. პირობები და მოთხოვნები საიტზე აქვთ განთავსებული. გამარჯვებულებს საქართველოს მთავრობა დააფინანსებს.

ზოგჯერ საზღვარგარეთ წასული სტუდენტი აღარც ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებას. სტუდენტთა მიგრაცია ისეთ საფრთხესაც შეიცავს, როგორიცაა ე.წ. „ტვინების გადინება.“ ეს კი, თავის მხრივ, ქვეყნის ინტელექტუალური რესურსების შემცირებას და მისი განვითარების შე-

ფერხებას იწვევს. ახალგაზრდები საცხოვრებელ ქვეყანას ირჩევენ ცხოვრების სტილის, შესაძლებლობების, კარიერული წინსვლის, ან უბრალოდ გართობის შესაბამისად.

გივი მაგალაშვილი უკვე 3 წელია ბარსელონაში ცხოვრობს. მაგისტრატურაზე სწავლის დროს მიხვდა, რომ იქ უფრო შეძლებდა განვითარებას და დარჩენა გადაწყვიტა. გარემოსთან შეგუება ადვილად მოახერხა. ის კომპანია „Robin International“-ში მუშაობს. კითხვაზე, თუ რა გახდა მისთვის საქართველოდან წასვლის მიზეზი, გივის ასეთი პასუხი აქვს:

„ჩვენთან პატივს არ სცემენ პიროვნების არჩევანს. მაგალითად, თუ ვიღაცას ბავშვობიდან უნდა ვიოლინოზე დაკვრა, მას არანაირი პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, რომ ზურგზე ვიოლინომოგდებულმა იაროს. თუმცა, სხვისთვის, რომელიც არაფერს აკეთებს ქუჩაში დგომის გარდა, ის სასაცილო გახდება. არავინ იცის ვინ, რატომ, რა აირჩია. იმის გააზრებამ, რომ ეს ყველაფერი არასდროს შეიცვლებოდა, ყველაზე დიდი გავლენა იქონია ჩემს გადაწყვეტილებაზე. საზღვარგარეთ თავად ცხოვრების წესი გაძლევს საშუალებას, პირველ რიგში, იფიქრო და გაიაზრო, რა გინდა და რას წარმოადგენ. ყველაფერს ინდივიდუალურ დონეზე აღიქვამ. ადამიანი ადამიანს უაზროდ არ კიცხავს, რაც პირველი დიდი უპირატესობაა საქართველოსთან შედარებით“.

ელენე ალფაიძესთვის „დღესასწაული მუდამ მასთანაა.“ ის პარიზის ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლობს და საქართველოში ოჯახისა და მეგობრების სანახავად არდადეგებზე ჩამოდის. ძალიან ბევრს მოგზაურობს და ამას უცხოეთში სწავლისა და ცხოვრების ერთ-ერთ მომხიბვლელ ნაწილად მიიჩნევს. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა მან მე-11 კლასში გადაწყვიტა. ჯერ TOEFL-ისა და SAT-ის საგამოცდო ტესტები ჩააბარა, ამის შემდეგ საბუთებიც გააგზავნა საფრანგეთისა და ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტში.

„უცხოეთში არა მხოლოდ განათლების გამო, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და სხვადასხვა კულტურის გასაცნობად წამოვედი. განათლების მისაღებად უკეთესი პირობებია, თუმცა, არ ვთვლი, რომ საქართველოში სტუდენტს კარგი განათლების მიღება არ შეუძლია. ყველგან ერთი რამაა გადამწყვეტი: სტუდენტის შრომისმოყვარეობა და მონდომება. საზღვარგარეთ ხარისხის მიღება ნამდვილად არ არის ადვილი. მით უმეტეს იმისთვის, ვისაც უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრება უნდა. ამასთან ერთად უამრავი ცდუნებაა, მაგრამ დროის სწორად გადანაწილების შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია სწავლასთან ერთად გართობა და მოგზაურობა“, – ამბობს ელენე ალფაიძე.

ელენეს თქმით, მაღალანაზღაურებადი სამსახური ილუზიაა, რადგან კარიერის პირველ ეტაპზე არავის ნიშნავენ მაღალ თანამდებობაზე. მისი თქმით, შეიძლება თვიურად 1000 ევრო საქართველოსთვის ბევრია, მაგრამ პარიზში საცხოვრებლად არც ისე. ელენე თვლის, რომ უცხოეთში მიღებული განათლებითა და გამოცდილებით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერი ქვეყნის სტუდენტს. ახლა ის მე-2 კურსზეა და ზუსტად არ აქვს განსაზღვრული მომავალი, თუმცა ამბობს, რომ საფრანგეთში სიამოვნებით დარჩებოდა თავისი პროფესიით სამუშაოდ.

ხარისხიანი განათლება გლობალური ბაზრის პროდუქტი გახდა. სხვადასხვა ქვეყნის თითოეული უნივერსიტეტი ცდილობს, სასწავლო პროგრამები ერთმანეთს დაამთხვიოს. აქედან გამომდინარე, სტუდენტებიც და უნივერსიტეტებიც საერთაშორისო განათლების ქსელში ერთვებიან. საზღვარგარეთ სწავლა გაცილებით კონკურენტუნარიან კადრს ამზადებს. როგორც განათლების ექსპერტი მერაბ მიქელაშვილი განმარტავს, არცერთი ქართული უნივერსიტეტი საერთაშორისოდ აღიარებული არ არის. ამიტომაც უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად, სახელმწიფო და გაცვლითი პროგრამების გარდა, ქართველ სტუდენტებს ძირითადად მაინც საკუთარი ოჯახები აფინანსებენ.

ჩვენთან სკოლა აღარ არსებობს. საქართველოში 72 უმაღლესი სასწავლებელია, რაც წარმოუდგენლად ბევრია. ადამიანური რესურსიც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ხარისხიანი სწავლა ვუზრუნველყოთ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2013-2014 სასწავლო წელს სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებიდან, ჯამში 562 სტუდენტია წასული, ქვეყანაში შემოსულ სტუდენტთა რაოდენობა კი 3420-ია. ამავე კვლევის მიხედვით, ქართველი ახალგაზრდებისთვის ყველაზე პრიორიტეტული ქვეყნები თურქეთი და გერმანიაა. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის 2014 წლის კვლევის მიხედვით საქართველოდან გერმანიაში მიგრაცია, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, ძირითადად ორგანიზებული და რეგულირებულია; აქ ახალგაზრდები სასწავლო ან დასაქმების პროგრამების (მაგ. au pair) ფარგლებში მიდიან.





# თანამედროვე, სინთეზური ხელოვნება – მხატვრის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“

**„... ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე – პრეზენტიზმისა და ფუტურიზმის.“. /ტიციან ტაბიძე/**

**თანამედროვე, სინთეზური ხელოვნება** – მხატვრის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“- ეს არის პროექტი, რომელსაც „ტაია ფილმს“-ი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით ახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს სინთეზური ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ჟანრის – მხატვრის წიგნის შექმნას (ე.წ. Artist’s book) და მის სერიულ გამოშვებას. ამ სერიის პირველ წიგნად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იქნა არჩეული, ვინაიდან ნაწარმოებს უდიდესი კულტურული ღირებულება აქვს თითოეული ქართველისთვის. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრის წიგნად გარდაქმნაში მონაწილეობას იღებენ თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან: მამუკა ცეცხლაძე, უშანგი ხუმარაშვილი, მამუკა ჯაფარიძე, მაია სუმბაძე, მიშა გოგრიჭიანი, თემურ ჯავახიშვილი, თამუნა მელიქიშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, თამაზ ვარვარიძე, გოგი ალექსი-მესხიშვილი, ია მჭედლიშვილი, კოტე სულაბერიძე, რუსუდან გობეჯიშვილი.




თანამედროვე მხატვრების მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ვიზუალში წარმოჩენა ხელს შეუწყობს რუსთაველის პოემის ახლებურად გააზრებას, მისი წიგნის ფორმატში გავრცელება-რეალიზაციას, მხატვრების ნამუშევრების ორიგინალების პრეზენტაცია-გამოფენების მოწყობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, არა მარტო მხატვრის წიგნის, არამედ თანამედროვე ქართული ხელოვნებისა და საერთოდ ქართული კულტურის პოპულარიზაციას ჩვენშიც და საერთაშორისო არენაზე. აღნიშნული პროექტი 2017 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე იქნება წარმოდგენილი.

მხატვრების ნამუშევრები უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, სადაც წარმოდგენილი იქნება მუდმივი ექსპოზიციის სახით.

გამოფენა სინთეზური ხელოვნება – მხატვრის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ ჩატარდა 26 იანვარს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

**პროექტის ხელმძღვანელი და იდეის ავტორი: ქეთევან გაღდავაძე**



# კარგი მასწავლებლის მოლოდინში

**ავტორი, ფოტო: თენგო ტაბატაძე**

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ 8 არჩევით საგანს კიდევ ერთი – „სამოქალაქო განათლება“ დაემატა. საბოლოო გადაწყვეტილება „განათლებისა და შეფასების ეროვნულმა ცენტრმა“ უნივერსიტეტებს მიანდო. ისინი გადაწყვეტენ, დაიკავებს თუ არა „სამოქალაქო განათლება“ არსებული საგნების გვერდით ადგილს.

ეროვნული სასწავლო გეგმა – დოკუმენტი, რომლის საფუძველზე ხელმძღვანელობენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა 2006 წელს ჩამოყალიბდა. ამავე წლიდან დაიწყო სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება საქართველოს სკოლებში.

პროფესიით სოციოლოგმა ნონა ფიფიამ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო განათლების საგანში მეორე წელია ჩააბარა. მე-8 წელია 181-ე საჯარო სკოლაში ამავე საგნის ერთადერთი მასწავლებელია და მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებს თითქმის ყოველდღიურად უტარებს სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს.

დღეს, 10 დეკემბერს, ნონას გაკვეთილი მეცხრეკლასელებთან აქვს. ყველაფერი, ტრადიციულად, ზარის დარეკვითა და სიის ამოკითხვით იწყება. გაკვეთილის თემა 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიღების თარიღს ემთხვევა. გაკვეთილი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს. სპეციალურად, სამოქალაქო განათლების საგნისთვის გამოყოფილ პატარა ოთახში წინა რიგები გოგოებს აქვთ დაკავებული, უკან – ბიჭები სხედან.

„წლიდან წლამდე დასკვნებს ვაკეთებ და მოსწავლეები დაინტერესებულნი არიან სამოქალაქო განათლებით. ბავშვებს თამაშები ძალიან უყვართ. ამ დროს საგაკვეთილო პროცესში ყველა ჩართულია. საგნის ერთ-ერთი მთავარი ხიბლიც ესაა.“ /ნონა ფიფია/

## ეროვნული სასწავლო გეგმა – ცვლილებები სამოქალაქო განათლების საგანში

საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ერთგვარი ტრადიცია ჩამოყალიბდა, რომ ყოველ 5-6 წელიწადში ეროვნული საწავლო გეგმის რევიზია, ანუ განახლება უნდა მოხდეს. სხვა სასწავლო საგნებთან ერთად კურიკულუმის რევიზიების პროცესში სამოქალაქო განათლების საგანმაც ცვლილებები განიცადა. დღეს დაწყებით საფეხურზე „სამოქალაქო განათლება“ ინტეგრირებულია ისტორიასა და გეოგრაფისთან. საგანმანათლებლო სკოლების საბაზო (მე-9 და მე-10 კლასებში) საფეხურზე საგანი სავალდებულოა და კვირაში სამი საათით განისაზღვრება, ხოლო მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასში – არჩევითია.

კურიკულუმის რევიზია ხანგრძლივი პროცესია და მასში ბევრი ექსპერტი



მონაწილეობს. ბოლო, მესამე რევიზია 2013 წლის შუა ხანებიდან დაიწყო და ჯერ არ დასრულებულა. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის, ნათია ჯოხაძის თქმით, დღესდღეობით საშუალო და საბაზო საფეხურების რევიზია მიმდინარეობს. ეროვნული სასწავლო გეგმა მოქმედებაში 2016 წლიდან შევა. 2015 წლის გაზაფხულზე პროექტი უკვე შემუშავებული და შეჯერებული იქნება, მათ შორის სამოქალაქო განათლების საგანშიც.

სიახლეები „სამოქალაქო განათლებაში" გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები საგნის სწავლებას დაწყებით საფეხურზე დაიწყებენ. ცვლილების შემდეგ, საგანს აღარ ერქმევა „სამოქალაქო განათლება." დარგის სპეციალისტების აზრით, ეს იქნება სამოქალაქო აღზრდის გამაძლიერებელი ცალკე დისციპლინა. სავარაუდოდ მას, „მე და საზოგადოება" ერქმევა (ჯერ გადაწყვეტილი არ არის). განათლების ექსპერტის, გიორგი გახელაძის

**„არავის უკითხავს მაინტერესებდა თუ არა სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. დირექციამ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო, რაც ჩემი, როგორც მოსწავლის, უფლებების დარღვევა მგონია."**

თქმით, საგანი გათვლილი იქნება ადამიანის უფლებებზე, ჰუმანიზმსა და რაღაც ძირითადი ცნებების გააზრებასთან დაკავშირებულ დისციპლინაზე. აქამდე, ძირითადად, იგივე დანიშნულება დაწყებით საფეხურზე დაკისრებული ჰქონდა ბუნებისმეტყველებისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგნებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: ნაწილი ფიქრობს, რომ საგნის სწავლება პირველი კლასიდან უნდა დაიწყოს, ნაწილი – მესამე-მეოთხედან.

აქამდე არსებული ორივე რევიზიის თანაავტორისა და დარგის სპეციალისტის, გიორგი გახელაძის აზრით, სკოლის მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროგრამა უნდა შევთავაზოთ, რომ გაკვეთილები დაძლევადი, ხოლო სასწავლო გარემო – სასიამოვნო იყოს.

„ისეთი რამ არ უნდა დაგვემართოს, რომ კეთილშობილი მიზნებით დავამატოთ რაღაც საათები ამ პატარა ადამიანის ცხრილს და მას აღარ მოუნდეს სწავლა, იმიტომ რომ გადაიღლება. მისთვის შეიძლება საინტერესოც არ იყოს და გაუგებარი დარჩეს რაიმე, როგორც „სამოქალაქო განათლება" ასევე სხვა საგნები. მაგალითად: კურიკულუმის ფარგლებში გვაქვს ასეთი საგანი, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. ეს საათები დაემატა მოსწავლეთა განრიგს ისევე, როგორც სხვა საგნები და მივიღეთ გადატვირთული სასწავლო გეგმა საათობრივი ბადით, რომელსაც უბრალოდ ხარისხიანად ვეღარ ასრულებს, ვერც მასწავლებელი და ვერც მოსწავლე" – ამბობს გიორგი გახელაძე.

მარიამ ლეფსაია 179 საჯარო სკოლაში სწავლობს. წელს ის აბიტურიენტია. მე-11 კლასის დასასრულს საატესტატო გამოცდების ნაწილი ე.წ. „კატის" სისტემით ჩააბარა. ახლა – დარჩენილი საგნების ჩასაბარებლად ემზადება. მარიამი ამბობს, რომ სკოლაში გაკვეთილები ტარდება, მაგრამ მოსწავლეების უმრავლესობა გამოსაშვები ან ეროვნული გამოცდების საგნების მომზადებით არიან დაკავებულნი. ის „სამოქალაქო განათლებას" ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ აბარებს. მარიამის თქმით, დატვირთულ გრაფიკს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საგანიც დაემატა, რომელიც თვითონ არ აურჩევია:

„არავის უკითხავს მაინტერესებდა თუ არა სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. დირექციამ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო, რაც ჩემი, როგორც მოსწავლის, უფლებების დარღვევა მგონია."

## კვლევა სამოქალაქო განათლების საგნის შესახებ

2010 წელს „საქართველოს შეფასების ასოციაციამ", სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში (PH – international – საქართველოს პროექტი), აღნიშნული საგნის შესახებ კვლევა ჩაატარა. კვლევაში საქართველოს 10 რეგიონის 1633 რესპოდენტი მონაწილეობდა. გამოკითხულთა შორის იყვნენ: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტი შეთანხმდა, რომ „სამოქალაქო განათლება" საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საჭირო და აუცილებელია.

მოსწავლეების 71,1%-ის აზრით, საგანი საინტერესოა. საწინააღმდეგო აზრისაა გამოკითხულთა 3,7%. საშუალო საფეხურზე საგნისადმი დადებითად განწყობილ მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად იკლებს. მეათეკლასელთა 80%-ს საგანი აინტერესებს, 2,3 პროცენტს – არა. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა 7,7%-ისთვის საგანი უინტერესოა.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის წევრებისგან მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ სკოლებში „სამოქალაქო განათლება" „მეორეხარისხოვან" საგნად ითვლება. გარდა ამისა, საგნის სწავლების ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს პედაგოგთა დაბალი სამოქალაქო ცნობიერება და კულტურა – ვკითხულობთ კვლევაში.

პედაგოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგანში საერთოდ არ უნდა იყოს შეფასება. მათი აზრით, საგანი მთლიანად უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა მოტივაციას.

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი პედაგოგი პრობლემის არსს შემდეგნაირად ხსნის:

„როდესაც ბავშვი ხედავს, რომ სხვა მიდგომა გაქვს ერთ მოსწავლესთან, განსხვავებულად ექცევი, იმიტომ რომ ის შენი ნათესავია ან მეზობელია; როდესაც ერთი და იგივე აკადემიური მოსწრების ბავშვებიდან ერთს არ უწერ ნიშანს, იმიტომ რომ ვიღაცამ არ გითხრა, ან შენმა შინაგანმა „მემ" არ მოგცა უფლება, შენი ახლობლისთვის დაბალი ნიშანი დაგეწერა, როგორ უნდა ასწავლო სამოქალაქო განათლება? არ შეიძლება ბავშვების გამოყოფა იმის მიხედვით, „ჩემიანია თუ სხვი-

**როდესაც ბავშვი ხედავს, რომ სხვა მიდგომა გაქვს ერთ მოსწავლესთან, განსხვავებულად ექცევი, იმიტომ რომ ის შენი ნათესავია ან მეზობელია; როდესაც ერთი და იგივე აკადემიური მოსწრების ბავშვებიდან ერთს არ უწერ ნიშანს, იმიტომ რომ ვიღაცამ არ გითხრა, ან შენმა შინაგანმა „მემ" არ მოგცა უფლება, შენი ახლობლისთვის დაბალი ნიშანი დაგეწერა, როგორ უნდა ასწავლო სამოქალაქო განათლება?**





„სამოქალაქო განათლება“ არ გულისხმობს მარტო ცოდნას. „სამოქალაქო განათლება“ ნიშნავს ცოდნას და კეთებას – ორივეს ერთად. თუ კეთების ელემენტი არის ამოვარდნილი, ფაქტობრივად, გამოდის რომ ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ.

სიანია.“ ცუდია, როდესაც იმ ბავშვის აზრს იზიარებ, რომელიც შენსას დაემთხვა და მიუღებელია მოსწავლის აზრი, თუ ის განსხვავებულია შენი აზრისაგან. ჩვენ სახელები ვართ ბავშვებისთვის და თუ ჩვენ არ ვართ სამოქალაქო ღირებულებების მატარებელნი, რა უნდა ვასწავლოთ ბავშვს?“ კვლევაში გამოკითხულთა სახელები და გვარები ანონიმურია.

განათლების ექსპერტის, გიორგი გახელაძის თქმით, არაკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც „სხვაგვარ გამოცდილებაზე დაფუძნებულები“ იყვნენ, ვერ შეძლებენ საინტერესო გაკვეთილების ჩატარებას. არაკვალიფიციურობაში მოიაზრება: საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო უფლებებისა და საგნისთვის საჭირო თემების არცოდნა. ეს იყო ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც საგანი მცირე დოზით, მაგრამ მაინც ინტეგრირდა ბუნებისმეტყველების, ზუსტი და საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით.

„ბავშვებს ვუყალიბებთ მსოფლმხედველობას, კრიტიკულ აზროვნებას. ერთ-ერთი საგანია, სადაც ბავშვები აზროვნებენ, ეს მათთვის ფართო არეალია, აინტერესებთ... აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილი სხვა გაკვეთილებისგან განსხვავდება, არცერთი ბავშვი არ არის პასიური. ისეთი საკითხები, როგორიცაა პოლიტიკა და ხელისუფლება, საკმაოდ აქტუალური თემატიკაა“, – ამბობს კვლევაში მონაწილე სამოქალაქო განათლების პედაგოგი.

გამოკითხულ მშობელთა გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგება სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლებას.

„მოქალაქე უნდა იზრდებოდეს ოჯახში და არა რაიმე სხვა ტიპის დაწესებულებაში, – თუნდაც, სკოლაში“, – ამბობს ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი.

კვლევაში ვკითხულობთ, რომ სამოქალაქო განათლების მეთოდიკა სხვა საგნებთან შედარებით თავისუფალი გარემოს შექმნას ითვალისწინებს. შესაბამისად, ყველაფერი მასწავლებლის უნარებზეა დამოკიდებული.

„პედაგოგებმა უნდა შეძლონ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების „გახსნა“ და მათი დისკუსიაში ჩართვა“ – ვკითხულობთ კვლევაში.

## პოზიტიური ძვრები და მოსალოდნელი საფრთხე

კავკასიის უნივერსიტეტის ბორდმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო. უნივერსიტეტის რამდენიმე სკოლამ სამოქალაქო განათლების საგანი არჩევითი საგნების ნუსხაში შეიტანა. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ნუგზარ სხირტლაძის თქმით, უნივერსიტეტის ბორდს „შორს მიმავალი გეგმების“ და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ არ უფიქრია:











„ჩავთვალეთ,ზედმეტი არ იქნებოდა, საზოგადოებასთან ურთიერთობის, სახელმწიფო მართვის და სხვა რამდენიმე ფაკულტეტზე, „სამოქალაქო განათლება“, რომ ჩაებარებინათ,“ – ამბობს ნუგზარ სხირტლაძე.

განათლების ექსპერტები თანხმდებიან, რომ სამოქალაქო განათლების სწავლების მიმართულებით საქართველოს სკოლებში ბევრი „პოზიტიური ნაბიჯი“ გადაიდგა.

განათლების ექსპერტის, თამარ მოსიაშვილის აზრით, სამოქალაქო განათლების საგანში ეროვნული სასწავლო გეგმის არსებობა, ქვეყანაში მრავალმილიონიანი ღირებულების პროექტის „PH – international – საქართველოს“ სახით ფუნქციონირებაა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და სკოლებში სამოქალაქო კლუბების შექმნა, იმის მიმანიშნებელია, რომ „პოზიტიური ძვრები“ სამოქალაქო განათლების საგანში – არსებობს.

განათლების საკითხების სპეციალისტი, თამარ მოსიაშვილი მოსალოდნელ საფრთხეს გვიხსნის. მისი თქმით, სამოქალაქო განათლების მოხვედრა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების საგანთა ნუსხაში, თავდაყირა აყენებს საერთოდ სამოქალაქო განათლების იდეას:

„სკოლაში სხვა გარემო, სხვა ვითარება უნდა იყოს. იმგვარად უნდა სწავლობდნენ, რომ საქმით იმტკიცებდნენ მოქალაქეობას ჩვენი, ასე ვთქვათ, მომავალი თაობა.“

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ია ანთაძე თამარ მოსიაშვილის მოსაზრებას იზიარებს და სამოქალაქო განათლების საგნის მთავარ იდეაზე საუბრობს:

„სამოქალაქო განათლება“ არ გულისხმობს მარტო ცოდნას. „სამოქალაქო განათლება“ ნიშნავს ცოდნას და კეთებას – ორივეს ერთად. თუ კეთების ელემენტი არის ამოვარდნილი, ფაქტობრივად, გამოდის რომ ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ. ადამიანებს, რომლებსაც მაღალი სამოქალაქო ცნობიერება აქვთ, ეს არიან არა ის ადამინები, რომლებსაც ტესტში შეუძლიათ სწორი პასუხის შემოხაზვა, არამედ ისინი, რომლებიც ადგილზე თვითორგანიზებულ ჯგუფს ქმნიან, რაღაც საკითხის გადასაჭრელად.“

გიორგი გახელაძე „განათლებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს“, ზოგადი უნარების გამოცდის ტრანსფორმაციის იდეას სთავაზობს:

„არათუ არჩევით საგნად, არამედ ზოგადი უნარების გამოცდას ტრანსფორმაციას გავუკეთებდი. ზოგადი უნარების ნაწილად მივიჩნევდი სამოქალაქო კომპეტენციებსაც და არა მხოლოდ ლოგიკურ აზროვნებას ტექსტებთან ან რაოდენობრივ მიმართებაში“.



# პრაღის დროით



**ავტორი: გუკი გიუნაშვილი**
*კავკასიის უნივერსიტეტის მედია სკოლის სტუდენტი.*
*გუკი გაცვლითი პროგრამით იმყოფება პრაღაში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში*

16:24.

ჩემს ფანჯრებთან კი უკვე ისე ბნელა, როგორც თბილისში 9 საათის შემდეგ.

ტკბილი კენწეროს ძიების პროცესში, ჩემდა გასაკვირად ევროპის შუაგულში ამოვყავი თავი. არც მეტი, არც ნაკლები „ნიუ იორკის უნივერსიტეტი პრაღაში" მმასპინძლობს.

წვიმიანი დღეები, შეციებული ხალხი ავტობუსის გაჩერებაზე, ქოლგების შრიალი, გუბეებზე ხტუნაობა, შარფებში ჩამალული სახეები, მაგრამ მარად მშვიდი და მოწესრიგებული მეტრო. უნივერსიტეტამდე სანამ მივაღწევ, 45 წუთის განმავლობაში ამ ყველაფერთან შეხვედრა აუცილებლად მომიწევს. ქალაქის ძველი ნაწილის ჯადოსნური გარემოსაგან განსხვავებით სწორედ ესაა ჩემეული პრაღა. აქ არც ტურისტები ირევიან და არც სუვენირების მაღაზიებია ყოველი ფეხის ნაბიჯზე.

ჩემს პრაღაში არის სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელმაც მასწავლა როგორ უნდა ვუპატრონო საკუთარ თავს ზედმეტი წუწუნის გარეშე და ვეკონტაქტო მისაღებში მდივანს ენაზე, რომლის ერთი სიტყვაც არ ვიცი; ოთახის მოუწესრიგებელი მეზობლები, რომლებსაც აღმზრდელობით გაკვეთილებს ვუტარებ და თავი ეჭვიანი დედამთილი მგონია; დღის განმავლობაში ლექციების 6 საათი, პროექტები, კვლევები, გრძელი ღამეები და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული დღეები.

ორშაბათი დილა წესისამებრ დილის 7 საათზე იწყება. ამ დროს გარეთ ჯერ კიდევ უკუნეთია და მხოლოდ ავტობუსის გაჩერებაზე თუ შეამჩნევ დილის განსაკუთრებით მწარე ყინვის გამო მობუზულ რამდენიმე სილუეტს. მათ შემხედვარეს მეც ტანში უსიამოვნო შეგრძნება დამივლის და სასწრაფოდ გავდივარ სამზარეულოში ცხელი ყავის დალევის სურვილით შემართული. სიფხიზლე და სითბო – აი, რა მჭირდება გრძელი კვირის სასიამოვნოდ დასაწყებად.

ქალაქის უბნები უბრალოდ გადანომრილია – მე ამჟამად პრაღა 4-ში ვცხოვრობ. ჩემი რეზიდენციიდან უნივერსიტეტამდე, რომელიც ორ შენობაშია განლაგებული (ახალი ლონდინსკას ქუჩაზე, ძველი ლეგოროვაზე) ნახევარი ქალაქი უნდა გაიარო.

უნივერსიტეტის ახალი შენობა არც ისე დიდია, მაგრამ ყველაფერს საკუთარი ადგილი აქვს მიჩენილი – ვიღაც ყოველთვის ებრძვის შუშის კარს, რომელსაც გარკვევით აწერია რომელ მხარეს იღება და ვიეტნამელი ბიჭი კვლავ აქტიურად ყიდის სენდვიჩებს ლანჩის ოთახში.

იმის მიუხედავად, რომ მედიის სკოლის სტუდენტი ვარ, აქ ბიზნესის ფაკულტეტზე მიმიღეს.

კვირას ვიწყებ იმ ლექტორთან ერთად, რომელიც უნივერსიტეტში ძაღლის ფორმის ქეისით დადის.

ორშაბათს, დილის 9 საათზე, ჯიმ ქერის პროვოკაცია რომ გიტარებს მთვლემარეს ლექციას – ვეგეტარიანელი, რასისტი, ცინიკოსი, მრავალშვილიანი მამა, ცოლის მოძულე ქმარი, გიყვება ათას საინტერესო ნახევრად გამოგონილ ამბავს, გასწავლის ადამიანების გონებასთან თამაშს, იქიდან გამოსული ცოტა უფრო თამამი ხდები. მომაკვდავთ ზემოდან უცქერ.

ჰოდა, კელის ბრალია მე რომ ცხოვრებას ნეგატიური თვალით ვუყურებ.

ამის შემდეგ მსოფლიოს ეკონომიკის განვლილ ისტორიას, თბილად რომ ვთქვათ, თვალს ვავლებ ჩემს დეკანთან, პროფესორ კევიკ კაპუდერთან ერთად და ვაი, ამ გადავლებას. იმედია, წინა წინადადებაში გამოყენებული შორისდებულის დახმარებით სრულად გადმოვეცი ჩემი ამ საგნისადმი დამოკიდებულება და ბევრს აღარ ვილაპარაკებ. თუმცა, კაპუდერის პროფესიონალიზმი და გამოცდილება აღნიშვნის ღირსია, ისევე როგორც მისი ცნობილი ფრაზა, რომელიც ყველა იმ ადამიანს ახსოვს, ვინც კი მისი სტუდენტი ყოფილა: „Crazy white people, folks!"

აქ დადგენილი საგნების სია არ არსებობს. ყველას ჰყავს აკადემიური მრჩეველი, ვინც გეხმარება გადაწყვიტო, რისი სწავლა არის შენთვის უფრო მომგებიანი. უნივერსიტეტისათვის მთავარია სტუდენტს ინდივიდუალ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დაეხმაროს. ლექტორებს სპეციალურად აქვთ გამოყოფილი სტუდენტებთან შეხვედრის დრო – კონსულტაციის საათები.

სტუდენტური საბჭო აქტიურად გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებას და ინფორმაციასაც შესაბამისად ავრცელებს. კვირის დასაწყისში უნივერსიტეტის კედლები აჭრელებულია განცხადებებით და მომავალი კვირის განრიგით. აქ ყოველ დღე რაღაც ხდება. უმეტეს შემთხვევაში, საბჭოს მიერ ორგანიზებული საღამოები უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის უფასოა.

მოსწავლეები მთელი ქალაქის მასშტაბით 50-მდე დაწესებულებაში სპეციალური ფასდაკლებით სარგებლობენ.

ლექციაზე შეკითხვებს არ გვისვამენ განვლილ მასალაზე და არც ჩვენებურ ქვიზებს გვაწერინებს ვინმე. სემესტრის დასაწყისში გაძლევენ წასაკითხი წიგნების სიას და სემესტრის ბოლოს ფინალურ გამოცდაზე მოგიწევს დაამტკიცო, რისი თავი გაქვს, ან უფრო სწორად, თავში რა გაქვს.

ყველა ლექტორი ითხოვს სემესტრში ერთ კვლევას, რომელიც შენ თვითონ უნდა ჩაატარო და პრეზენტაციას, რომელსაც თან უნდა ახლდეს შენივე დაწერილი 5-7 გვერდი მასალა. რა თქმა უნდა, თუ ეს ლექტორი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჩარლზ ვებელი არ არის, რომელიც ამჟამად ტერორიზმის შესახებ ყოველ სამშაბათს მიკითხავს ლექციას. ის ჩემგან ყოველთვის მეცნიერულ დასკვნებს არ მოითხოვს ტერორიზმის აღმოცენების მიზეზებსა და მასთან ბრძოლის ხერხების შესახებ. თუმცა, რამდენადაც ბუზღუნა და მკაცრია, იმდენად საინტერესო პიროვნებაა. ამ კურსს მხოლოდ 5 ადამიანი ვესწრებით და ალბათ არასდროს ვინანებ, რომ მასთან მოხვედრის შანსი მომეცა.

მეგობრულ ლექტორებზე თუ ჩამოვარდება სიტყვა, მაშინ დენ რავიკზეც უნდა ვილაპარაკო, ცოტა მაინც. დენი მარკეტინგს მასწავლის. აი ასე, უბრალოდ, არც ბატონი, არც პროფესორი. დენი ლექციაზე იმისთვის არ შემოდის, რომ მარკეტინგის გაუგებარი ლექსიკით ავსებული წინადადებებით გამოუჭედოს ვინმეს ყურები. ის შენთან სასაუბროდ ყოველთვის მზადაა. აინტერესებს შენი იდეები, შენი მიდგომა მარკეტინგის ძირითად პრინციპებთან და ის, თუ როგორ გამოიყენებ ამ 15-კვირიან სასწავლო პერიოდს შემდეგ ცხოვრებაში. ამის გამო იმსახურებს სტუდენტების პატივისცემას და ყველა ყოველთვის მზადაა მის დავალებას პასუხისმგებლობით მოეკიდოს.

სულ დამავიწყდა! ლიტერატურასაც ვსწავლობ. კლერ ვოლასი ირლანდიელი ქალია. რამდენიმე დღის წინ სილაბუსს გადავხედე და ავტორების წარმომავლობაზე გავამახვილე უნებლიედ ყურადღება. რატომღაც უმეტესობა ირლანდიელია. ჩავთვალოთ, რომ ნამდვილად იმსახურებენ მათი წიგნები ჩემს ძვირფას დროს და ეს მხოლოდ მასწავლებლის ტენდენციური გადაწყვეტილების შედეგი არ არის.

როგორც ხედავთ, დროებით გაშვილებული ვარ სხვა უნივერსიტეტში. ბევრი რამ მომწონს, ბევრიც ახალია და ზოგი რამ კრიტიკასაც იმსახურებს.

უნივერსიტეტში სასტიკად ებრძვიან პლაგიატს და ყველა შესაძლო ხერხით ამოწმებენ სტუ–



ბლოგი

დენტების ნაშრომებს. პირველად UNYP-ში შევიტყე MLA ფორმატისა და ციტაციის საოცარი მნიშვნელობის შესახებ. რატომღაც აქ ნებისმიერ ლექტორს ჰგონია, რომ ყველა სხვა ქვეყნის განათლების სისტემა ისეთივე რუდუნებით ეკიდება აკადემიური ინგლისურის წერის პრინციპებს, როგორც თავად. შესაბამისად, ნაწერი არავითარ ლექსიკურ შეცდომას არ უნდა ატარებდეს. ასე მოვხვდი ერთი სემესტრით ევროპაში განათლების მისაღებად ჩამოხეტებული ქართველი სტუდენტი მესამე-მეოთხე კურსის მოსწავლე გამოცდილ ადამიანებთან ერთად. ჰოდა, წითელი მელანი არ მოჰკლებია ჩემს ნაწერებს.

საგან აქ სტუდენტებს სიხარულს ჰგვრის; ეს იმას ნიშნავს, რომ არც ისე კარგადაა შენი საქმე, ჩემო ძმობილო.

არ არსებობს ეგრეთ წოდებული ნიშნების გამჭვირვალე სისტემა, სადაც ყველას შეუძლია ნახოს, რა ნიშანი მიიღე ამა თუ იმ დავალებაში. აქ არ არის რეიტინგები, არც სტიპენდიები. ყველასთვის მთავარია, საგანი „დახუროს“ და რაიმე ხელშესახები მაინც შერჩეს მის გონებას.

ახლა გითხრათ ყველაზე საინტერესო – დღემდე არცერთი შესრულებული დავალების ქულა არ ვიცი. ყველა ქულა საბოლოო ქულის გარკვეული პროცენტული ნაწილია. ლექკურსის მენეჯერები და არც ისეთი ჯგუფი აქვთ, სადაც შეიძლება კავკასიის უნივერსიტეტში ცნობილი შეკითხვა „ფინანსურის ნომერი ხო არ იცით?“ დასვა; არც „არა იქნება არ დამიწეროს“ – მოუსმენს ვინმე.

ორშაბათის ლექციების შემდეგ საჭიროა საყიდლების წმინდა ტრადიცია აღსრულდეს. სიებით შეიარაღებული დავდივარ იმის შიშით, რომ რაიმე დამავიწყდება. დიდ სავაჭრო ცენტრში ბოდიალის შემდეგ, რომელიც ჩემს საცხოვრებელთან სულ 10 წუთის სავალზეა, სახლში შემოსულს არც ვინმე მეგებება და არც გემრიელი საჭმლის სუნი მიღიზიანებს ყნოსვის რე-

ორშაბათს, დილის 9 საათზე, ჯიმ ქერის პროვოკაცია რომ გიტარებს მთვლემარეს ლექციას - ვეგეტარიანელი, რასისტი, ცინიკოსი, მრავალშვილიანი მამა, ცოლის მოძულე ქმარი, გიყვება ათას საინტერესო ნახევარად გამოგონილ ამბავს, გასწავლის ადამიანების გონებასთან თამაშს, იქიდან გამოსული ცოტა უფრო თამამი ხდები. მომაკვდავთ ზემოდან უცქერ. ჰოდა, კელის ბრალია მე რომ ცხოვრებას ნეგატიური თვალით ვუყურებ.

---

რასაც ჩვენ ყველაზე ნაკლებად ვაკეთებთ და რაც, ალბათ, ჩვენს სასწავლო გეგმებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, ეს არის წერა. „თქვენ შემდეგი ლექციისათვის უნდა დაწეროთ სამხრეთ კორეის ეკონომიკური მოდელის შესახებ 2547 სიტყვა, 8 ფურცელი, 12p შრიფტით, ამისათვის უნდა წაიკითხოთ 600-გვერდიანი წიგნი. სამწუხაროდ, ეს წიგნი მხოლოდ ერთი ცალია ბიბლიოთეკაში და ჯგუფში ამჟამად 20 კაცი ხართ... თუმცა, თქვენ ამას შეძლებთ“ – მსგავსი ფრაზების მოსმენა, დამიჯერეთ, მრავლად მომიწია.

ლექტორი არასოდეს გეტყვის ნიშანს სხვა სტუდენტების თანდასწრებით და არ განიხილავს შენს აკადემიურ ჩართულობას. „See me at my office“ უკანასკნელი ფრაზაა, რისი მოსმენაც ლექტორი თავად ინიშნავს რამდენ ქულას გიწერს ცალკეულ დავალებაში; საბოლოოდ, თავადვე ანგარიშობს და ადმინისტრაციას სემესტრის ბოლოს აწვდის. ეს იმას ნიშნავს, რომ სემესტრის დასრულებიდან, დაახლოებით, ერთ კვირაში შეგიძლია გაიგო ნიშანი. წესითა და რიგით, არსებობს ელექტრონული სისტემა, მაგრამ მას, უბრალოდ, არავინ ანახლებს.

არ არსებობს გამოცდებისათვის მოსამზადებელი პერიოდი. შესაძლებელია, ერთ დღეში 3 შეუალედური გამოცდის დაწერა მოგიწიოს. არავინ გადაწევს გამოცდის რიცხვს და, მითუმეტეს, არავინ გაითვალისწინებს სტუდენტების საწყალ მზერასა და „ამ საკითხს გამოცდაში ნუ შეიტანთ, პატივცემულოს“. სოციალურ ქსელებს აქ ნაკლებად იყენებენ; არ ჰყავთ ცეპტორებს. ამიტომ მიწევს ჩემით ვიფუსფუსო და კიდევ უფრო მეტად მომენატროს ყველაფერი, რასაც მშობლიურ ქალაქში არ ვაფასებდი – ჩემი ოჯახი.

ვისაც უცხო ქვეყანაში ცხოვრება მხოლოდ მშობლებისაგან გათავისუფლება, წვეულებებზე გათენებული ღამეები, ბევრი ახალი მეგობარი და, მოკლედ რომ ვთქვა, „დროსტარება“ ჰგონია, მინდა მოვუწოდო, რომ გაიღვიძონ.

რა თქმა უნდა, მეც მყავს ახალი მეგობრები. ვიქენდებზე მეც ვახერხებ გართობას და ჩემი მარტოობითაც ხშირად ვტკბები, მაგრამ ევროპული სტუდენტური ცხოვრების არასწორი, სტერეოტიპული სურათი წარსულს რომ გავატანოთ, აჯობებს. ყოველ შემთხვევაში, მათ მაინც, ვისაც უნდა, რომ თამამად თქვას „მე ... ვსწავლობდი.“





საბაკალავრო პროგრამები:
ჟურნალისტიკა
მედია და ხელოვნება
PR (პიარი)

კავკასიის მედიის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF MEDIA

სამაგისტრო პროგრამები:
ჟურნალისტიკა
სტრატეგიული კომუნიკაცია




საბა
ელექტრონული
წიგნების
სახლი

იკითხეთ თქვენს
iPHONE, iPAD, ANDROID, WINDOWS, MAC
ელექტრონულ მოწყობილობებში!

saba.com.ge